ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო
უნივერსიტეტის ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტი

ელენე ბრეგვაძე

რუსეთ-საქართველოს ეკონომიკური ურთიერთობები

ეკონომიკის სამაგისტრო პროგრამა

ნაშრომი შესრულებულია ეკონომიკის მაგისტრის აკადემიური
ხარისხის მოსაპოვებლად

სამეცნიერო ხელმძღვანელი: **აკადემიკოსი ვლადიმერ პაპავა**

თბილისი
2019

ანოტაცია

საქართველოსა და ქართველი ერის წინაშე მდგარ ყველა სიძნელეში რუსულ კვალი შეიმჩნევა. ყველა პრობლემა, ეხება ეს პოლიტიკას, ეკონომიკას, კულტურას თუ სულიერებას, დაკავშირებულია ქართულ-რუსულ ურთიერთობებთან. დღეს ეს ურთიერთობები უკიდურესად დაძაბულია, ამდენად როგორც ქვეყნის ხელისუფლების ასევე მთელი საქართველოს მოქალაქეების წინაშე დგას რუსეთის ფედერაციასთან საგარეო ეკონომიკური კავშირების განვითარებისა და სახელმწიფოს ნაციონალურ ინტერესებში მოქცევის პრობლემათა გადაწყვეტა.

სამაგისტრო ნაშრომის კვლევის **ობიექტია** საქართველოს საგარეო ეკონომიკური ურთიერთობები, ხოლო კვლევის **საგანია** საქართველო-რუსეთის ეკონომიკური ურთიერთობები.

სამაგისტრო ნაშრომის **მიზანს** წარმოადგენს საქართველო-რუსეთის ეკონომიკური ურთიერთობების დახასიათება და გაანალიზება პრიორიტეტულ საკითხთა აქცენტირების საფუძველზე.

დასახული მიზნის მისაღწევად არჩეული გვაქვს შემდეგი **ამოცანების** შესრულება:

- რუსეთ-საქართველოს სავაჭრო ურთიერთობათა განხილვა 2008 წლის შემდგომ პერიოდში ინდიკატორების გაანალიზების საფუძველზე;
- რუსეთის პირდაპირი უცხოური ინვესტიციების განხორციელების დახასიათება დიპლომატიური ურთიერთობების გაწყვეტამდე და მათი გაწყვეტის შემდგომ;
- რუსეთის მიმართ სახელმწიფო ვალის წარმოშობის საკითხის გაანალიზება და მისი რეორგანიზაციის შესაძლებლობათა დახასიათება.

სამაგისტრო ნაშრომი შესრულებულია კვლევის ინდუქციისა და დედუქციის, ლოგიკური და ისტორიული ანალიზის, სტატისტიკისა და შედარების **მეთოდთა** გამოყენების საფუძველზე.

კვლევის შესრულების პროცესში გამოყენებულია ქართველ და უცხოელ მეცნიერთა ნაშრომები, ასევე სტატისტიკის სახელმწიფო ეროვნული სამსახურის

მონაცემთა ბაზა, ენერგეტიკისა და ფინანსთა სამინისტროს მასალები, სამთავრობო გადაწყვეტილებები და საქართველოში მოქმედი კანონმდებლო აქტები.

Russia-Georgia economic relations

Annotation

The Russian trace is observed in all the difficulties that Georgia and the Georgian people face. Each issue related to politics, economics, culture or spirituality is associated with Georgian-Russian relations. Today, these relations are extremely tense, so the government of the country and all its citizens are faced with solving the problems of developing foreign economic relations with the Russian Federation within the framework of

Georgia and Russia on the basis of priority issues.

The object of the study of the master's thesis is foreign economic relations of Georgia, and the subject of the study is Georgian-Russian economic relations.

To achieve this goal, we have the following tasks:

• the national interests of the Georgian state.

The **purpose** of the master's work is to characterize and analyze the economic relations between Discussion of Russian-Georgian trade relations based on the analysis of indicators in the period after 2008;

• Description of Russian foreign direct investment in Georgia before and after the break in diplomatic relations

• Analyze the problem of the emergence of the state debt of Georgia to the Russian Federation and characterize its reorganization.

Master's work is based on the use of such **research methods** as: induction and deduction, logical and historical analysis, statistical and comparison method.

In the process of the study, the works of Georgian and foreign scientists, as well as the database of the State National Statistical Office, materials of the Ministry of Energy and Finance, government decrees and legislative acts in Georgia were used.

შინაარსი

შესავალი..... გვ.7

I თავი. რუსეთ-საქართველოს სავაჭრო ურთიერთობები 2008 წლის შემდგომ პერიოდში..... გვ. 15

1.1.რუსეთთან ვაჭრობის განვითარება საქართველოს დსთ-დან გამოსვლის შემდგომ პერიოდში.....გვ. 15

1.2.რუსეთ-საქართველოს ურთიერთობათა პრობლემებირუსეთის მსოფლიო სსავაჭრიო ორგანიზაციაში შესვლასთან დაკავშირებით.....გვ.36

1.3.რუსეთ-საქართველოს სავაჭრო ურთიერთობათა პოლიტიკური წინააღმდეგობები და მათი დაძლევის შესაძლებლობი.....გვ.45

II თავი. რუსეთის პირდაპირი უცხოური ინვესტიციები საქართველოში..... გვ. 55

2.1.რუსეთის კაპიტალის შემოსვლა საქართველოში პოლიტიკური დაძაბულობის პირობებში..... გვ.55

2.2.რუსეთის პირდაპირი უცხოური ინვესტიციები საქართველოში დიპლომატიური ურთიერთობების გაწყვეტის შემდგომ.....გვ.65

III თავი. საქართველოს დავალიანება რუსეთთან და მისი შემცირების შესაძლებლობები..... გვ.78

3.1. რუსეთთთან დავალიანების ჩამოყალიბების პროცესის დახასიათება-ანალიზი..... გვ.78

3.2. საქართველოს ვალის მართვის ეფექტიანობის ამაღლების შესაძლებლობები…….....გვ.87

დასკვნა.....გვ.92

გამოყენებული ლიტერატურა..... გვ.94

შესავალი

სამაგისტრო ნაშრომის აქტუალურობის განმსაზღვრელი პირობები. საქართველოში ალბათ არ მოიძებნება უფრო აქტუალური და პრობლემური საკითხი, ვიდრე საქართველო-რუსეთის ურთიერთობაა. ყველა პრობლემა, ეხება ეს პოლიტიკას, ეკონომიკას, კულტურას თუ სულიერებას, რაღაცით უკავშირდება ქართულ-რუსულ ურთიერთობებს. საქართველოსა და ქართველი ერის წინაშე მდგარ ყველა სიძნელეში რუსულ კვალი შეიმჩნევა. საქართველო-რუსეთის ურთიერთობის თემა განსაკუთრებით ინტენსიურად ბოლო წლებში განიხილება. ჩვენი საზოგადოება თითქოს ორ დაპირისპირებულ პოლუსად გაიყო. ერთნი ფიქრობენ, რომ საქართველოს რუსეთზე დიდი მტერი არ ჰყავს და ჩვენი ყველა უბედურების სათავე სწორედ რუსეთია, მეორენი კი (რომელთა რაოდენობამ უკანასკნელ ხანს საგრძნობლად მოიმატა, უფრო სწორად კი, სააშკარაოზე გამოვიდნენ) მიიჩნევენ, რომ მხოლოდ რუსეთს შეუძლია საქართველოს პრობლემების გადაჭრა და რუსეთის გარეშე ჩვენს ქვეყანას მომავალი არ აქვს. სახელმწიფოს ეროვნული ინტერესები ძალიან ფართო და ბევრის მომცველი ცნებაა. იგი მნიშვნელოვნად განსხვავდება იმისდა მიხედვით, თუ რომელი ქვეყნის ინტერესებზეა ლაპარაკი და რა როლს თამაშობს მოცემული ქვეყანა საერთაშორისო ასპარეზზე.

სასიცოცხლო ინტერესები ყველა ქვეყანას ერთნაირი აქვს. ესენია: სუვერენიტეტი, ტერიტორიული მთლიანობა, უსაფრთხოება, პრესტიჟი, მოსახლეობის მატერიალური კეთილდღეობა. ეს ინტერესები მუდმივია და ნებისმიერი სახელმწიფო მზადაა უკიდურესი ნაბიჯიც კი გადადგას მათ დასაცავად. მცირე და სუსტი სახელმწიფოს ეროვნული ინტერესები, როგორც წესი, სწორედ ამ სასიცოცხლო ინტერესების დაცვისკენ არის მიმართული და მათი საგარეო პოლიტიკაც ამ მიზანს ემსახურება. სახელმწიფოთა ნაწილის ეროვნული ინტერესები რეგიონული ლიდერობის მიღწევას და მეზობელ ქვეყნებზე გავლენის გავრცელებას გულისხმობს, ხოლო ე.წ. ზესახელმწიფოების ეროვნული ინტერესები გლობალური მასშტაბისაა და მათი გავლენის სფეროდ მთელი დედამიწა მოიაზრება. საერთაშორისო ურთიერთობების მთელი ისტორია ეროვნულ

ინტერესებს შორის ბრძოლის ისტორიაა. სახელმწიფოთა შორის მხოლოდ მაშინ მყარდება მეგობრული ურთიერთობა, როცა ადგილი აქვს ინტერესების თანხვედრას. თუ სახელმწიფოების ეროვნული ინტერესები წინააღმდეგობაში არ არის ერთმანეთთან, მაშინ მყარდება მშვიდობიანი, ურთიერთსარგებლობაზე დამყარებული, პრაგმატული ურთიერთობები. მაგრამ ინტერესების შეუთავსებლობის და, მით უფრო, დაპირისპირების შემთხვევაში, ურთიერთობა იღებს დაძაბულ, მტრულ ფორმას, რაც კონფლიქტამდე და ომამდეც შეიძლება მივიდეს. ამგვარად, სახელმწიფოებს შორის მეგობრული თუ მტრული ურთიერთობა დამოკიდებულია იმაზე, თუ როგორ შეესაბამება მათი ეროვნული ინტერესები ერთმანეთს. ალბათ ეს ჰქონდა მხედველობაში XIX საუკუნის ცნობილ ინგლისელ პოლიტიკოსსა და დიპლომატს ლორდ პალმერსტონს თავის ცნობილ სიტყვებში: „ინგლისს არ ჰყავს მუდმივი მტრები და მეგობრები. ინგლისს აქვს მუდმივი ინტერესები“.

რუსეთის ჯერ საეკლესიო, შემდეგ კი სახელისუფლო წრეებში დროთა განმავლობაში ჩამოყალიბდა ქრისტიანულ-მართლმადიდებლური სამყაროს მხსნელის მისიის იდეა. რუსეთმა მოჩვენებითი და მესიანური როლი იკისრა. იგი ბიზანტიის იმპერიის მემკვიდრედ, ხოლო მოსკოვი – მესამე რომად ცხადდებოდა(რომისა და კონსტანტინეპოლის შემდეგ). მოსკოვის მთავარმა ივანე IV მრისხანემ მიიღო რუსეთის მეფის ტიტული (რუსულად царь, ანუ ცეზარი, იგივე კეისარი, რაც ბიზანტიის იმპერატორის ტიტული იყო), ხოლო ბიზანტიის გერბი (ორთავიანი არწივი, რომლის ერთი თავი დასავლეთით, ხოლო მეორე აღმოსავლეთით იყურება) რუსეთის გერბად გამოაცხადა. ეს ნიშნავდა, რომ რუსეთი იყო ბიზანტიის მემკვიდრე და პრეტენზია ჰქონდა დაებრუნებინა ოსმალეთის დაპყრობილი ტერიტორიები და გაეთავისუფლებინა მართლმადიდებელი ძმები.

ქრისტიანობის მხსნელისა და მოძმეთა განთავისუფლების მისია, წარმოადგენს რუსეთის საგარეო პოლიტიკის იდეოლოგიურ საფუძველს. რეალურად ამ ლოზუნგის უკან იდგა გამოკვეთილი გეოპოლიტიკური მიზანი – კონსტანტინოპოლის აღება და ბოსფორისა და დარდანელის სრუტეების ხელში ჩაგდება, რითაც უზრუნველყოფილი იქნებოდა ხმელთაშუა ზღვაზე გასვლა. სწორედ ეს იყო რუსეთის ეროვნული ინტერესი, რომ ამ უზარმაზარ ქვეყანას,

რომელსაც პრაქტიკულად არ ჰქონდა გაუყინავი ნავსადგურები, მისცემოდა შესაძლებლობა სამხრეთის თბილ ზღვებზე გასულიყო. ამგვარად, სამხრეთით გაფართოება იქცა რუსეთის უმნიშვნელოვანეს მიზნად. აქ მისი ინტერესები შეეჯახა თურქეთის, სპარსეთის და, მოგვიანებით, ინგლისის ინტერესებს. ამ ინტერესების დაპირისპირება იყო ამ ქვეყნებს შორის ურთიერთობების საფუძველი. ამგვარად, უკვე XVIII საუკუნიდან (ოფიციალურად 1721 წლიდან) რუსეთი იმპერიაა და იმპერიული ინტერესები აქვს, რაც გულისხმობს: ტერიტორიულ გაფართოებას, შემოერთებული ტერიტორიების შენარჩუნებასა და თავის გავლენის ქვეშ მოქცევას. ეს განსაზღვრავდა რუსეთის იმპერიის ქცევასა და როლს საერთაშორისო ეკონომიკურ ურთიერთობათა სისტემაში. მას ჰქონდა თავისი გარკვეული გავლენის სფეროები, რომლის გაფართოებისთვისაც იბრძოდა და კონფლიქტებს წარმოშობდა.

1917 წლის რევოლუციის შემდგომ რუსეთის იმპერიის ეკონომიკური ინტერესები საბჭოთა კავშირის ინტერესებად ცხადდებოდა.საბჭოთა კავშირი რეგიონულ ზესახელმწიფოს წარმოადგენდა და პრეტენზიები მთელ მსოფლიოზე ჰქონდა. მეორე მსოფლიო ომის შემდეგ ძირეულად შეიცვალა საერთაშორისო სისტემა: იგი ორპოლუსიანი (ბიპოლარული) გახდა.დასავლეთ ევროპამ და აშშ-მა საბჭოური(კომუნისტური) ექსპანსიის შეჩერებამოახერხა. სოციალიზმის კრახი და საბჭოთა კავშირის დაშლა რუსეთმა უკრაინამ და ბელარუსიამ განახორციელა, მაგრამ რუსეთმა ყველაფერი ეს მოკავშირე რესპუბლიკებს გადააბრალა.რუსეთის მოქალაქეებმა ისევე როგორც უკრაინელებმა და ბელარუსებმა მიმდინარე პროცესები დიდ ეროვნული ტრაგედიად მიიჩნიეს.ამ პოზიციას იზიარებდნენ ნობელის პრემიის ლაურეატები ცნობილი რუსი მწერალი ა. სოლჟენიცინი და ფიზიკოსი, ადამიანის უფლებებისთვის მებრძოლი, დისიდენტი ა. სახაროვი(იგი სსრკ-ს დიდ იმპერიად, ხოლო საქართველოს, სამწუხაროდ, მცირე იმპერიად მოიაზრებდა).

სამხედრო-პოლიტიკური და ეკონომიკური თვალსაზრისით მსოფლიოს მეორე სახელმწიფო, რომელიც თავს კაცობრიობის მესიად თვლიდა, უეცრად რიგით ქვეყნად იქცა და მთლიანი შიგა პროდუქტის მოცულობით სახელმწიფოების პირველი ათეულის მიღმა აღმოჩნდა.

დღეს რუსეთის მთავარი ეროვნული ინტერესი ძველი დიდების აღდგენა და ზესახელმწიფოს პრესტიჟის დაბრუნებაა. რუსეთის კორუმპირებული ხელმძღვანელობის თვალსაზრისითა და ოლიგარხთა ეკონომიკური ინტერესებით მათი ქვეყნის გავლენის სფერო საკუთარ საზღვრებს უნდა გასცდეს და მეზობელ ქვეყნებზე(ყოფილ საჭოთა რესპუბლიკებზე) უნდა განხორციელდეს. მას შემდეგ რაც ბალტიისპირეთის ქვეყნები ევროკავშირისა და ნატოს წევრები გახდნენ ისინი რუსეთისთვის მიუწვდომელნი არიან. ამიტომ რუსეთის სტრატეგიულიმიზანია არ დაუშვას ყოფილი საბჭოთა რესპუბლიკების(განსაკუთრებით უკრაინის, მოლდოვასა და საქართველოს) ინტეგრაცია დასავლეთთან და ახალი(არა დსთ-ს ტიპის) პოლიტიკურ-ეკონომიკური ალიანსის შექმნა. დღეს მართლმადიდებელთა დამცველის ფუნქცია რუსეთმა თავად უარყო, რადგან უკრაინასთან, საქართველოსა და მოლდოვასთან სეპარატისტების დახმარებით სისხლისმღვრელი შეტაკებები გამართა და ამ ქვეყნების ტერიტორიების ოკუპაცია მოახდინა.უარყოფილი ფუნქციის ადგილი რუსეთის ეკონომიკურ ინტერესებში ევრაზიიზმის კონცეფციამ დაიკავა. აღნიშნული კონცეფციის მიმდევართა აქტიურობის გამოვლინებაა ევრაზიული კავშირი, რომელსაც რუსეთი ევროკავშირის ალტერნატივად მიიჩნევს. იგი უკვე ფუნქციონირებს ევრაზიული საბაჟო კავშირის ფორმით(რუსეთის, ბელარუსის, ყაზახეთისა, ყირგიზეთისა და სომხეთის შემადგენლობით) და რომელშიც რუსეთის სურვილით მომავალში ყველა ყოფილი საბჭოთა რესპუბლიკა უნდა შევიდეს.

საქართველო ყოველთვის წარმოადგენდა მსოფლიოს უძლიერესი იმპერიების გეოპოლიტიკური ინტერესების სფეროს და მათ შორის ბრძოლის ასპარეზს. შესაბამისად, თითქმის არ ყოფილა ისტორიაში საუკუნე(შეიძლება მხოლოდ XII საუკუნე მივიჩნიოთ გამონაკლისად), როცა საქართველო ან რომელიმე დიდი იმპერიის გავლენის სფეროში არ ყოფილიყო მოქცეული, ან ამ იმპერიებს შორის ბრძოლის არეალს არ წარმოადგენდა. ასეთი ისტორიული ბედის გამო საქართველოს მთავარ მიზანი საკუთარი ეროვნული თვითმყოფადობის დაცვა და სახელმწიფოებრიობის შენარჩუნება იყო. ამ პერმანენტულ და უთანასწორო ბრძოლებში მცირე სახელმწიფოს გადარჩენა თითქმის შეუძლებელია და თუ საქართველომ ეს შეძლო, ამის მიზეზი არა მარტო თავგანწირული ბრძოლა, არამედ,

ეკონომიკურ ინტერესთა თანხვედრის შესაძლებლობათა მოძიების სწორად განსაზღვრული სტრატეგია და დასახული მიზნებისადმი ერთგულება იყო. ცხადია, ნებისმიერ სახელმწიფოს და, პირველ რიგში, მცირე ქვეყანას მკაფიოდ უნდა ჰქონდეს განსაზღვრული თავისი პოლიტიკური ორიენტაცია და არჩევანი გააკეთოს იმ ძალასთან ალიანსზე, რომელთანაც კავშირი ყველაზე მეტად შეესაბამება მის ეროვნულ-ეკონომიკურ ინტერესებსა და სახელმწიფოებრიობის შენარჩუნებას. ამ ურთულესი დილემის წინაშე იდგა ქართველი ხალხი მთელი თავისი ისტორიის მანძილზე. მას არჩევანი უნდა გაეკეთებინა ორ(ან მეტ) ძალას შორის, იმის სასარგებლოდ, რომელიც უფრო ხელსაყრელი იყო მისთვის ან ნაკლებად დააზარალებდა(ცუდსა და უარესს შორის არჩევანის პრინციპი). შეიძლება დაბეჯითებით ითქვას, რომ საქართველო თითქმის ყოველთვის სწორი გზით მიდიოდა და არჩევანს აკეთებდა იმ ძალის სასარგებლოდ, რომელიც უფრო პროგრესული, ცივილიზებული და ქვეყნის ეროვნული ინტერესებისათვის შესაფერისი იყო. საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ საქართველოს წინაშე კვლავ დადგა პოლიტიკური ორიენტაციის საკითხი. დღეს ეს საქართველოს ერთ-ერთი მთავარი პრობლემაა და განსაზღვრავს კიდეც ჩვენი ქვეყნის ფაქტობრივ მდგომარეობას.

თანამედროვე საქართველოს წინაშე საგარეო პოლიტიკურ-ეკონომიკური ორიენტაციის ორი ალტერნატივაა: ჩრდილოეთთან ან დასავლეთთან ჰარმონიული ურთიერთობათა დამყარების გზების ძიება. ნეიტრალიტეტის პოზიცია, სამწუხაროდ,რეალურ ვითარებას და შესაძლებლობებს არ შეესაბამება.

ჩრდილოეთზე ორიენტაცია რუსეთის სატელიტად ქცევას გულისხმობს. ამ არჩევანის შემთხვევაში, საქართველომ თავი უნდა დაანებოს ნატოსა და ევროკავშირში გაწევრიანებაზე ფიქრს და რუსული, პოსტსაბჭოთა (ევრაზიული) სივრცის ნაწილი გახდეს, რაც თითქმის სუვერენიტეტის დაკარგვის ტოლფასია. ბუნებრივია, იმ ქვეყნის მოსახლეობის უმრავლესობა, რომელმაც ორასწლიანი ლოდინისა და ბრძოლის შემდეგ დამოუკიდებლობა აღიდგინა, საეჭვოა შეელიოს თავისუფლებას და რუსეთის პოლიტიკურ-ეკონომიკურ სივრცეში დაბრუნება მოისურვოს, მით უფრო, რომ ეს აშკარად ისტორიული ლოგიკის საწინააღმდეგო, წარსულში დაბრუნების ტოლფასი ნაბიჯი იქნება(მითუმეტეს, რომ ადრე თუ გვიან

თვითონ რუსეთს მოუწევს დასავლური ორიენტაციის არჩევა). მიუხედავად ამისა ასეთი ორიენტაციის მომხრეები საქართველოში არიან. ისინი თავიანთ არჩევანს იმ არგუმენტებით ასაბუთებენ, რომ ორასი წლის მანძილზე საქართველო რუსეთის ნაწილი იყო და პოლიტიკურად, ეკონომიკურად და კულტურულად ისე დაუკავშირდა მას, რომ მის გარეშე არსებობა უკიდურესად გაუჭირდება(ბოლო ხანებში განსაკუთრებით უსვამენ ხაზს ქართველებისა და რუსების ერთმორწმუნეობას). ამავე დროს არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ მხოლოდ რუსეთთან გონივრული ურთიერთობით(ეკონომიკურ ინტერესთა თანხვედრის საფუძველზე) უნდა განვახორციელოთ საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის აღდგენა.

დასავლეთზე ორიენტაციის პირველი ნაბიჯები ჩვენმა დიდმა წინაპარმა სულხან საბა ორბელიანმა გადადგა. მანვე დაგვიტოვა გენიალური ნაწარმოები, რომელშიც დასავლულ ღირებულებებზე ორიენტირებული ქართული სოციალური ღირებულებები და ტექნოლოგიებია გადმოცემული [1].

დღესაც დასავლურ კულტურასა და ღირებულებებზე ორიენტაცია რჩება იმ გზად, რასაც უნდა მიჰყვებოდეს ჩვენი ქვეყანა. მხოლოდ ამ გზით შეიძლება საქართველო გახდეს განვითარებული, დემოკრატიული, აყვავებული და უსაფრთხო სახელმწიფო, ცივილიზებული საზოგადოების ღირსეული წევრი, რაც ქართველი ხალხის აბსოლუტური უმრავლესობის მიზანია. ცხადია, ამის მიღწევა ადვილი არ არის. საქართველოს ისევე როგორც რუსეთს მთელი რიგი პრობლემის გამო გართულებული აქვს დასავლეთთან ინტეგრაცია(დაბალგანვითარებული ეკონომიკა, ტერიტორიული მთლიანობის პრობლემა, არასაკმარისი დემოკრატია, კულტურული განსხვავებები და სხვ.), მაგრამ სხვა ალტერნატივა პრაქტიკულად არ არის. მართალია, ეს არჩევანი უკვე გაკეთებულია, მაგრამ ყოფილი საბჭოური უშიშროების ორგანიზაციის ,,კგბ“-ის ჯერ კიდევ ბევრი მუშაკი ფიქრობს, რომ „ევროპამ ვერ გაამართლა“ და ჩვენი გზა ისევ ჩვენ „მშობლიურ, ერთმორწმუნე რუსეთისკენ“ არის. შეიძლება აფხაზეთი და ცხინვალის რეგიონი ვეღარ დავიბრუნოთ, მაგრამ სამაგიეროდ ჩვენი ღვინო და მანდარინი, მინერალური წყლები და ვაშლი დაუბრკოლებლად გავა რუსეთში, ხალხიც თავისუფლად იმოძრავებს და რუსი ტურისტებით ისევ გაივსება ჩვენი კურორტები. რაც მთავარია, აღარ გვექნება შეიარაღებული კონფლიქტებისა თუ რუსეთის მხრიდან თავდასხმის

შიში და მშვიდობა და უსაფრთხოებაც გარანტირებული იქნება. ცხადია, ეს მოსაზრება საფუძველშივე მცდარია, რადგან თავისუფლებას ვერ ჩაანაცვლებს რუსული უსაფრთხოება. უსაფრთხოება და თავისუფლება ერთმანეთის ალტერნატივა არ არის. ამერიკელმა მეცნიერმა, მწერალმა და პოლიტიკოსმა ბენჯამინ ფრანკლინმა განაცხადა „ის, ვინც თანახმაა გაცვალოს თავისუფლების თუნდაც მცირე ნაწილი უსაფრთხოებაზე, არ იმსახურებს არც თავისუფლებას, არც უსაფრთხოებას“. შეუძლებელია არ გავიზიაროთ პროფესორ ზურაბ დავითაშვილის მოსაზრება იმასთან დაკავშირებით, რომ ევროპული ორიენტაციის რუსული ორიენტაციით შეცვლა საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის აღდგენას კიდევ უფრო დაგვაშორებს [2].

მას მერე რაც 2008 წელს რუსეთმა აღიარა აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის დამოუკიდებლობა, მის კეთილმეზობლობაზე ილუზიაც კი გაქრა. ამ ნაბიჯით რუსეთმა დროში გააგრძელა საქართველოს ევროატლანტიკური და ევროპული ინტეგრაციის პროცესი, მაგრამ საქართველოზე ზემოქმედების ბერკეტები დაკარგა, მით უფრო, რომ დიპლომატიური ურთიერთობები გაწყდა და ეკონომიკური კავშირები მინიმუმამდე დავიდა. დღეს მდგომარეობა რამდენადმე შეცვლილია, მაგრამ ჩვენი ქვეყნის ეკონომიკური ინტერესების დაცვისათვის(რაც უპირველეს ყოვლისა საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის აღდგენას გულისხმობს) ძალზე ფრთხილი და პრაგმატული ნაბიჯები უნდა გადავდგათ. რუსეთთან ეკონომიკური დაახლოების პროცესი ძალზე ფრთხილად უნდა წარიმართოს იმ რისკების მაქსიმალური გათვალისწინებით რომელიც ამ ქვეყანასთან ეკონომიკურ ურთიერთობებს ახასიათებს. თემის აქტუალობა დაკავშირებულია ეკონომიკურ ურთიერთობათა განვითარების უსაფრთხო გზების ძიებასა და ამ პროცესის თანმხლები რისკების შეზღუდვის საკითხებთან.

წარმოდგენილი სამაგისტრო ნაშრომის კვლევის **ობიექტია** საქართველოს საგარეო ეკონომიკური ურთიერთობები რუსეთთან.

სამაგისტრო ნაშრომის **მიზანს** წარმოადგენს საქართველო-რუსეთის ეკონომიკური ურთიერთობების დახასიათება და გაანალიზება პრიორიტეტულ საკითხთა აქცენტირების საფუძველზე.

დასახული მიზნის მისაღწევად არჩეული გვაქვს შემდეგი **ამოცანების** შესრულება:

- რუსეთ-საქართველოს სავაჭრო ურთიერთობათა განხილვა 2008 წლის შემდგომ პერიოდში ინდიკატორების გაანალიზების საფუძველზე;
- რუსეთის პირდაპირი უცხოური ინვესტიციების განხორციელების დახასიათებადიპლომატიური ურთიერთობების გაწყვეტამდე და მათი გაწყვეტის შემდგომ;
- რუსეთის მიმართ სახელმწიფო ვალის წარმოშობის საკითხის გაანალიზება და მისი რეორგანიზაციის შესაძლებლობათა დახასიათება.

სამაგისტრო ნაშრომი შესრულებულია კვლევის ინდუქციისა და დედუქციის, ლოგიკური და ისტორიული ანალიზის, სტატისტიკისა და შედარების **მეთოდთა** გამოყენების საფუძველზე.

კვლევის შესრულების პროცესში გამოყენებულია ქართველ და უცხოელ მეცნიერთა ნაშრომები, ასევე სტატისტიკის სახელმწიფო ეროვნული სამსახურის მონაცემთა ბაზა, ენერგეტიკისა და ფინანსთა სამინისტროს მასალები, სამთავრობო გადაწყვეტილებები და საქართველოში მოქმედი კანონმდებლო აქტები.

ნაშრომის შესრულების პროცესში შევხვდი წინააღმდეგობებსა და პრობლემებს, მათ შორის:

- სამთავრობო გადაწყვეტილებები არასრულყოფილადაა ასახული ონლაინ სივრცეში;
- სტატისტიკის სამსახური ძალზე მწირ მონაცემებზე გვაძლევს ხელმისაწვდომობას;
- არ მოიპოვება მასალა რუსეთის მიერ საქართველოში განხორციელებულ ინვესტიციების ეფექტიანობის საკითხებზე;
- საქართველოს მხარე არ ახორციელებს საზღვრისპირა სავაჭრო ურთიერთობათა აღრიცხვას;
- არ არსებობს ინფორმაცია იმის შესახებ თუ რატომ მოაწერა საქართველოს მხარემ ნულოვან ვარიანტის დოუმენტს, რადგან სანაცვლოდ თითქმის არაფერი მიუღია.

I თავი. რუსეთ-საქართველოს სავაჭრო ურთიერთობები 2008 წლის შემდგომ პერიოდში

1.1. რუსეთთან ვაჭრობის განვითარება საქართველოს დსთ-დან გამოსვლის შემდგომ პერიოდში

სავაჭრო ურიერთობები, რუსეთ-საქართველოს მთელი პოსტ-საბჭოთა ურთიერთობების ყველაზე პარადოქსული შემადგენელი ნაწილია. საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ დამოუკიდებელ სახელმწიფოთა თანამეგობრობა(დსთ) შეიქმნა. მასში ბალტიისპირეთის სამი ქვეყნის გარდა ყველა ყოფილი საბჭოთა რესპუბლიკა გაერთიანდა. საქართველო ამ გაერთიანებაში 1993 წელს ედუარდ შევარდნაძის(საქართველოს განთავისუფლების შემდგომ მეორე პრეზიდენტი) ინიციატივით შევიდა. უნდა აღინიშნოს, რომ სავაჭრო-ეკონომიკური კონტაქტები საქართველოს მიერ დამოუკიდებლობის აღდგენის შემდეგ, კრიზისული პერიოდების არსებობის მიუხედავად, არასდროს შეწყვეტილა.

სტატისტიკური მონაცემები მოწმობს, რომ საქართველოსთვის რუსეთი ყოველთვის უმნიშვნელოვანესი ბაზარი იყო. ექსპერტთა მოსაზრებით როგორც 2008 წლამდე ასევე დღესაც რუსეთი კვლავ რჩება ქვეყნის მთავარ სავაჭრო პარტნიორად. ამ მდგომარეობას ციფრებიც(მონაცემები) ადასტურებს. 2005 წელს, რუსეთში 65 მილიონი დოლარის ღირებულების ღვინის ექსპორტი განხორციელდა, რაც ღვინის მთლიანი ექსპორტის 87 პროცენტი იყო. რუსეთის მიერ საქართველოსადმი ”ემბარგოს” დაწესება რომ არ მომხდარიყო,ღვინის ექსპორტი 100 მილიონ დოლარს გადააჭარბებდა. 2005 წელს, რუსეთში 25 მილიონი დოლარის ღირებულების მინერალური წყლის ექსპორტი განხორციელდა. აღნიშნული ექსპორტის მოცულობის 65 პროცენტი „ბორჯომის“ წყალზე მოდიოდა. [3]

მინერალური წყალი ექსპორტის მზარდ სეგმენტს წარმოადგენდა დაექსპერტები ვარაუდობდნენ, რომ 2006 წელს ექსპორტი რუსეთში კიდევ 10 მილიონი დოლარით გაიზრდებოდა. 2005 წელს, საქართველოდან რუსეთში სულ 156 მილიონი დოლარის ღირებულების ექსპორტი განხორციელდა, მაშინ, როცა 2010 წელს ეს ციფრი 34 მილიონამდე დაეცა. 2011 წლის მონაცემებით კი 31 მილიონზე

ოდნავ მეტი იყო, რაც იმაზე მეტყველებს, რომ ქართულ ბიზნესს რუსულ ბაზარზე დასაბრუნებლად მხოლოდ მთავარია სანიტარული ექიმის ონიშენკოს კეთილგანწყობა ნადვილად არ ეყოფოდა [4].

ომიდან 10 წლისთავზე, 2018 წლისიანვარ-ივნისის მონაცემებით, ექსპორტის მიმართულებით რუსეთი 12,8%-ით პირველ ადგილზეა, იმპორტით კი 10,1%-ით მეორე ადგილზე. გარდა ვაჭრობისა, ოკუპანტი რუსეთი ლიდერია ეკონომიკის სხვა დარგებშიც: ტურიზმი, უძრავი ქონების ყიდვა-გაყიდვა, მშენებლობა და ა.შ. [5]

როგორ იცვლებოდა აგვისტოს ომის შემდეგ რუსეთ-საქართველოს ეკონომიკური ურთიერთობები - ამსაკითხზე IDFI-მ 2016 წელს სპეციალური კვლევა ჩაატარა [6].

აგვისტოს ომიდან 10 წლის შემდეგ რუსეთი საქართველოს ეკონომიკაზე ეგავლენას ზრდის. ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტის მონაცემებით, საქართველოში უცხოური ვალუტის შემოდინების მნიშვნელოვანი წყარო რუსეთის ფედერაციაში მცხოვრები დიდი ქართული დიასპორაა, რომლის არაოფიციალური რაოდენობა იმ დროისათვის დაახლოებით 800 ათასს შეადგენდა. რუსეთი ლიდერობს ექსპორტ-იმპორტშიც. ,,ნორმალიზაციის" პროცესს გარკვეული წარმატებებიც მოჰყვა, რომელთა შორისაც ყველაზე მნიშვნელოვანი ქართულ პროდუქტებზე აკრძალვის მოხსნაა(ღვინო, მინერალური წყალი, სოფლის მეურნეობის პროდუქცია და სხვა.), რომელიც 2006 წელს დაწესდა ,,სანიტარიული პრობლემების" გამო, ხოლო დღეს ისევ ბუმერანგივით დაგვიბრუნდა. ეკონომიკური და სავაჭრო ურთიერთობების აღდგენას გასათვალისწინებელი შედეგები მოჰყვა. საქართველოს ექსპორტი რუსეთის მიმართ 300%-ზე მეტით გაიზარდა და შედეგად 2013 წელს მოსკოვი თბილისის მეოთხე ყველაზე დიდი საექსპორტო პარტნიორი გახდა(იხ. ცხრილი № 1), ხოლო საქართველო რუსეთში ღვინის მესამე ყველაზე დიდი იმპორტიორი და 2014 წლის პირველი სამი თვის განმავლობაში ესპანეთსაც გაუსწრო. თუმცა ამ პროცესსაც თან ახლდა გართულებები. 2013 წლის ივლისში რუსეთის ეკონომიკური განვითარების სამინისტროს ინიციატივით შემუშავდა რუსეთსა და საქართველოს შორის თავისუფალი ვაჭრობის შეთანხმების შეჩერების კანონპროექტი. აღნიშნული შეთანხმება 1994 წლის თებერვალში გაფორმდა. ამ შეთანხმების შეჩერება, შესაძლოა, ნიშნავდეს ქართული პროდუქციისთვის საბაჟო

შეღავათების მოხსნას და ზოგიერთი ქართული პროდუქტის რუსული ბაზრიდან თანდათანობით გამოძევებას(ეს პროცესები უკვე დაიწყო პოლიტიკური პრობლემების საბაბით).

2012 წლის შემდეგ ,,ნორმალიზაციის" პროცესისა და რუსეთთან ეკონომიკური ურთიერთობების თანდათანობით აღდგენის შედეგად, ორ ქვეყანას შორის სავაჭრო ურთიერთობები საგრძნობლად გაიზარდა. 2014 წლის იანვარ-აგვისტოს მონაცემებით აზერბაიჯანის და სომხეთის შემდეგ რუსეთი ქართული პროდუქციისთვის მესამე ყველაზე დიდი საექსპორტო ქვეყანაა(იხილეთ ცხრილი№1). რუსეთის ბაზრის წილი საქართველოს მთლიანი ექსპორტის 10%-ს შეადგენს. ეს მაშინ, როცა რუსეთი მეოთხე ყველაზე დიდი საექსპორტო ქვეყანა იყო 2013 წელს, ხოლო 2012 წელს პირველ ათეულშიც კი ვერ მოხვდა. ბოლო მონაცემების მიხედვით, 2013 წელს საქართველოს ექსპორტი რუსეთში ოთხჯერ გაიზარდა 2012 წელთან შედარებით. 2012 წელს საქართველომ პირველად 2006 წლის ემბარგოს შემდეგ ღვინის გატანა დაიწყო რუსეთში. აქედან მოყოლებული ექსპორტირებული ღვინის რაოდენობა გამუდმებით იზრდება. 2013 წელს საქართველომ ორჯერ მეტი ღვინო და მინერალური წყალი გაიტანა, ვიდრე წინა წელს. 2014 წლის აგვისტოს თვის ღვინის ექსპორტი 69 %-ით გაიზარდა წინა წლის იგივე პერიოდთან შედარებით, ხოლო ღვინის ექსპორტის შემოსავალი 83%-ით. ღვინის გარდა, ორ რაუნდიანი ინსპექციის შემდეგ განახლდა მინერალური წყლის და სოფლის მეურნეობის პროდუქციის ექსპორტი რუსეთში. 2014 წლის აგვისტოსთვის, მინერალური წყლის ექსპორტი 64%-ით გაიზარდა. ყოველივე ამის შედეგად რუსეთმა პირველი ადგილი დაიკავა ქართული ღვინის საექსპორტო ქვეყნებს შორის 65 %-იანი წილით. 2014 წლის პირველი ექვსი თვის განმავლობაში საქართველოს ექსპორტის ყველაზე დიდი ზრდა რუსეთთან ჰქონდა (3-ჯერ). მთლიანობაში 2014 წლის განმავლობაში რუსეთი საქართველოს რიგით მეოთხე სავაჭრო პარტნიორია თურქეთის, აზერბაიჯანის და ჩინეთის შემდეგ [7].

იმ ფაქტის გათვალისწინებით, რომ 2013 წელს საქართველოს ექსპორტი რუსეთში თითქმის 124 %-ით მეტია 2005 წლის მონაცემებთან შედარებით, შეიძლება მტკიცება, რომ რუსეთზე ეკონომიკური დამოკიდებულება ისევ განახლდა და მზარდი ტენდენციით ხასიათდება(იხ. ცხრილი №1).

ცხრილი №1.საქართველოს სავაჭრო ურთიერთობები რუსეთის ფედერაციასთან(მლნ. აშშ. დოლარი)

წლები	2005	2008	2009	2010	2011	2012	2013	2014	2015	2016	2017	2018	2019[1]
ექსპორტი	153,7	29,7	21,1	34,7	36,6	46,8	190,6	274,7	162,8	206,0	396,6	437,3	81,2
იმპორტი	381,5	423,3	290,8	289,7	387,9	476,8	583,9	575,5	625,0	675,6	796,6	935,6	122,3
ბრუნვა	535,2	453	311,9	324,4	424,5	523,6	774,5	850,2	787,8	881,6	1193,2	1372,9	203,5

[1]2019 წლის იანვარ-თებერვალის მონაცემებით.წყარო: GEOSTAT.GE .

საქართველოს სავაჭრო ურთიერთობებში დივერსიფიკაციის ნაკლებობამ და რუსეთის ბაზარზე ზედმეტმა მიჯაჭვულობამ შესაძლოა რუსეთის ხელში დაკარგული ეკონომიკური და შემდგომში პოლიტიკური ბერკეტები აღადგინოს. ეს განსაკუთრებით პრობლემატურია იმ ფონზე, როცა რუსეთს ეკონომიკური ურთიერთობები არაერთხელ გამოუყენებია მეზობლების დასასჯელად ემბარგოს საშუალებით. საქართველოს, მოლდოვას, უკრაინას და ბელორუსსაც კი სხვადასხვა დროს ცალ-ცალკე გამოცდილი აქვთ რუსეთის აკრძალვები მათ საექსპორტო საქონელზე. გარდა ამისა იმ ფონზე, როდესაც ოფიციალური თბილისი უარს აცხადებს საგარეო პოლიტიკაში დასავლური ორიენტაციის უარყოფაზე უფრო ცხადი ხდება, რომ რუსეთი ნებისმიერ ზომას მიმართავს და მათ შორის ეკონომიკურ ბერკეტებსაც, რათა თბილისს გადაწყვეტილება შეაცვლევინოს. ამ პოტენციური პრობლემების აღქმა მთავრობის წევრების მიერ ცალკე გამოწვევაა, რადგან იქმნება შთაბეჭდილება, რომ მმართველი პოლიტიკური ძალა ამ ურთიერთობებში უფრო მოკლევადიან სარგებელზე კონცენტრირდება, ვიდრე საფრთხეებზე, რომლებიც გრძელვადიან ეკონომიკურ დამოკიდებულებას შეიძლება მოჰყვეს.

ეკონომიკური დამოკიდებულება და ბაზრის დივერსიფიკაციის საჭიროება. საქართველოს მთავრობა ხშირად ხაზს უსვამს რუსეთთან გაუმჯობესებული სავაჭრო და ეკონომიკური ურთიერთობების დადებით ასპექტებს, თუმცა იმავდროულად, გარკვეულწილად, არასათანდოდ აფასებს პოტენციურ საფრთხეებს. განახლებული სავაჭრო ურთიერთობები რუსეთან, ამავე პერიოდის პრემიერ მინისტრების შეფასებით, არის „საქართველოს მთავრობის კონსტრუქციული,

პრაგმატული, სწორი, გონივრული და ეროვნულ იდეოლოგიაზე დაფუძნებული პოლიტიკის შედეგი“. მეორე მხრივ, იშვიათად, მაგრამ მთავრობის ზოგიერთი წარმომადგენელი მაინც აღნიშნავს რუსულ ბაზარზე მზარდი დამოკიდებულების საფრთხეებს და ბიზნესის წარმომადგენლებს სხვა ქვეყნების გამოცდილების გათვალისწინებას ურჩევს იმისათვის, რომ რუსეთის ბაზარი მხოლოდ და მხოლოდ დივერსიფიკაციის საშუალებად განიხილონ და თავიდან აიცილონ მასზე დამოკიდებულება. ფიქრობენ რა, რომ ქართული ბიზნესი ამრჩევას გაითვალისწინებს, საქართველოს ხელისუფლების წარმომადგენლები საჯარო სივრცეში საკმაოდ ინდიფერენტულები ჩანან რუსეთის პოტენციურ ქმედებებთან და ამ უკანასკნელის მიერ ეკონომიკური დამოკიდებულების პოლიტიკურ ბერკეტად შესაძლო გამოყენებასთან დაკავშირებით. მაგალითად, რუსეთის საკანონმდებლო პროექტი თავისუფალი ვაჭრობის ხელშეკრულების გაუქმებასთან დაკავშირებით, მცირეოდენ ცვლილებად იყო აღქმული, განსაკუთრებით, ევროკავშირთან ეკონომიკური ურთიერთობების გაღრმავების ფონზე.

საქართველოს მთავრობა, რომელიც დარწმუნებულია, რომ შესაძლებელია რუსეთთან და ევროკავშირთან საქართველოს სავაჭრო ურთიერთობების ურთიერთშეთავსება, არ ელის რაიმე ,,დრამატულ ცვლილებებს” ქართულ-რუსულ ეკონომიკურ ურთიერთობებში. როგორც საქრთველოს პრემიერ-მინისტრის სპეციალური წარმომადგენელი, რუსეთთან ურთიერთობის საკითხებში ზურაბ აბაშიძე ამბობს: ,,რუსეთის მხარე ცდილობს გაარკვიოს ზოგადად ეს ახალი რეალობა, ანუ უკრაინის, მოლდოვას და საქართველოს მიერ ასოცირების შესახებ შეთანხმების გაფორმება ხომ არ შეუქმნის რაიმე საფრთხეს რუსეთის ეკონომიკას და რუსეთის ბაზარს. ჩვენი პოზიცია ცნობილია. ჩვენ ვერანაირ წინააღმდეგობას ვერ ვხედავთ”. [8]

ამასთან დაკავშირებით საყურადღებოა, რომ მოსკოვმა აღადგინა ემბარგო მოლდოვურ პროდუქციაზე მას შემდეგ, რაც ამ უკანასკნელმა ევროკავშირთან ასოცირების ხელშეკრულებას მოაწერა ხელი, თუმცა კრემლს ჯერჯერობით საქართველოსთან მიმართებაში საბოლოო გადაწყვეტილება არ მიუღია(1994 წელს ხელმოწერილი თავისუფალი ვაჭრობის გაუქმების პროექტი მომზადდა, მაგრამ პროექტის საბოლოო ბედი ჯერჯერობით გაურკვეველი რჩება).

საქართველოს ხელისუფლებისგან განსხვავებით, რუსი პოლიტიკოსები უფრო მეტად ფრთხილები არიან საკუთარ შეფასებებში. გრეგორი კარასინმა ზურაბ აბაშიძესთან შეხვედრის შემდეგ ყურადღება გაამახვილა საკითხის საფუძვლიანად შესწავლის აუცილებლობაზე. საგარეო საქმეთა მინისტრმა, სერგეი ლავროვმა განაცხადა, რომ რუსეთი დააკვირდება მოვლენების განვითარებას, ხოლო პრემიერმა მედვედევმა ხაზი გაუსვა რუსეთის ეკონომიკის დაცვის საჭიროებას.

უმთავრესი მიზეზი, რის გამოც, შესაძლოა, მოსკოვმა სცადოს და შეზღუდოს ქართული პროდუქციისთვის რუსული ბაზრის ხელმისაწვდომობა, არის რე-ექსპორტის შიში: DCFTA-ის ძალაში შესვლის შემდეგ, როდესაც ევროპული საქონელი საქართველოში შემოვა, რუსული მხარის განცხადებით, შესაძლოა, მოხდეს ამპროდუქციის რეექსპორტი რუსეთში, რადგან ამ ეტაპზე რუსეთი და საქართველო დსთ-ში მოქმედი თავისუფალი სავაჭრო სივრცის ნაწილს წარმოადგენს. თუმცა ეს არგუმენტი არამყარია, რადგან ქართული ბაზარი ასოცირების ხელშეკრულების ხელმოწერამდეც ღია იყო ევროკავშირის პროდუქციისთვის, შესაბამისად, რე-ექსპორტის საფრთხე, ამ ლოგიკით, აქამდეც უნდა დამდგარიყო [9].

აქედან გამომდინარე, შეიძლება ვივარაუდოთ, რომ მოსკოვის გაღიზიანება დიდ წილად როგორც ყოველთვის პოლიტიკური ფაქტორებითაა განპირობებული, მაგალითად, ისეთი ფაქტებით, როგორიცაა ის, რომ ევროკავშირმა ასოცირების ხელშეკრულებების მოლაპარაკებები აღმოსავლეთ პარტნიორობის სამ ქვეყანასთან ორმხრივ ფორმატში აწარმოა და რუსეთი ამ პროცესიდან გამოთიშული იყო, რის შედეგადაც, ამ უკანასკნელმა ვერ მოახერხა საკუთარი ინტერესების დაცვის უზრუნველყოფა მოლაპარაკებებში ჩართულობის გზით. შესაბამისად, შეიძლება ითქვას, რომ რუსეთის პოლიტიკური დაუცველობის შეგრძნება ეკონომიკურ არგუმენტებშია შეფუთული და წარმოდგენილია საკუთარი პოლიტიკური ამბიციების ლეგიტიმაციის მიზნით. შედეგად, როდესაც რუსული პოლიტიკა იჭრება ეკონომიკის სფეროში, უსაფრთხოების შესახებ შეკითხვები ბუნებრივად ჩნდება. ამიტომაც საჭიროა, ქართულ-რუსული ეკონომიკური ურთიერთობების პოლიტიკური და უსაფრთხოების ასპექტების განხილვაც. №2 ცხრილში მოცემულია საქართველოს ვაჭრობის მოცულობა ევროკავშირთან. მონაცემები ცხადყოფს, რომ

საქართველოს სავაჭრო ურთიერთობები ევროკავშირთან განუხრელად იზრდება და რამდენჯერმე აღემატება საქართველო-რუსეთის სავაჭრო ურთიერთობებს.

ცხრილი №2.საქართველოს სავაჭრო ურთიერთობები ევროკავშირთან(მლნ. აშშ დოლარი)

წლები	2008	2009	2010	2011	2012	2013	2014	2015	2016	2017	2018	2019[1]
ექსპორტი	335,1	237,7	309,2	424,4	352,9	607,2	624,2	645,2	565,5	655,1	730,2	118,2
იმპორტი	1764,2	1335,4	1470,0	2054,8	2431,5	2266,2	2371,9	2080,8	2214,8	2200,1	2632,3	309,1
ბრუნვა	2099,3	1473,1	1779,2	2479,2	2784,4	2873,4	2996,1	2726,0	2780,3	2855,2	3362,5	427,3

[1] 2019 წლის იანვარ-თებერვლის მონაცემები.წყარო: geostat.ge.

აღსანიშნავია, რომ საქართველოს მთავრობის ბოლო წლების მცდელობის შედეგად მეტ-ნაკლებად მოაგვარა ორმხრივი სავაჭრო ურთიერთობები რუსეთთან და სავაჭრო ბრუნვა მნიშვნელოვნად გაიზარდა.

2013 წლიდან 2014 წლამდე რუსეთში ექსპორტის მოცულობამ შეადგინა 274,7 მილიონი აშშ დოლარი. ამ პერიოდში იგი შეადგენდა მთლიანი ექსპორტის 9,1%-ს. შედარებისთვის, იმავე პერიოდში ევროკავშირის ქვეყნებში ექსპორტის მოცულობამ შეადგინა 624 მლნ აშშ დოლარი (მთლიანი ექსპორტის 22% - იხ. ცხრილი№3). რუსეთში საქართველოს ექსპორტის სტრუქტურა კონცენტრირებულია ძირითადად საკვებ პროდუქტებზე: ღვინო (111 მლნ აშშ დოლარი) და წყალი (70 მლნ აშშ დოლარი) მთლიანი ექსპორტის 2/3 ნაწილს შეადგენს ღვინო წყალი სპირტი საკვები პროდუქტები სატრანსპორტო საშუალებები მეტალი ბოსტნეული მინერალური პროდუქტები სხვა ექსპორტი რუსეთში სასაქონლო ჯგუფების მიხედვით(იხ. ცხრილი №3).

ცხრილი №3. საქართველო-რუსეთისვა ჭრობის დინამიკა (მლნ. აშშ დოლარი)

წლები	2008	2009	2010	2011	2012	2013	2014	2015	2016	2017	2018	2019
ექსპორტი	29,7	21,1	34,7	36,6	46,8	190,6	274,7	162,8	206,0	396,6	437,3	81,2
იმპორტი	423,3	290,8	289,7	387,9	476,8	583,9	575,5	625,0	675,6	796,6	935,6	122,3
ბრუნვა	453	311,	324,	424,	523,	774,	850,	787,	881,	1193	1372	203,

		9	4	5	6	5	2	8	6	,2	,9	5
რუსეთის ადგილი საქართველოს სავაჭრო პარტნიორების სიაში	8	9	7	6	6	6	3	2	2	2	2	2

წყარო: გაანგარიშებულია საქსტატის მონაცემთა საფუძველზე http://www.geostat.ge/?action=page&p_id=133&lang=geo.

№1 და №2 დიაგრამებში მოცემულია საქართველოს ექსპორტი რუსეთში და იმპორტი რუსეთიდან.



დიაგრამა №1

დიაგრამა №2



საინტერესოა, თუ როგორ შეიცვალა რუსეთში ექსპორტის სასაქონლო სტრუქტურა ემბარგოს გაუქმების შემდეგ: მოხდა თუ არა ქართული წარმოების პროდუქციისთვის საექსპორტო ბაზრების დივერსიფიკაცია, თუ ემბარგოს გაუქმებამ რუსეთს კვლავ დაუბრუნა პერსპექტიული საექსპორტო ბაზრის სტატუსი?

ემბარგოს გაუქმების შემდეგ, რუსეთში უმსხვილესი საექსპორტო საქონელი ასე გამოიყურება(იხ. ცხრილი№4). უმსხვილეს სასაქონლო პოზიციებში პირველ ადგილს, ტრადიციულად, კვლავ ღვინო იკავებს. მეორე ადგილზე მინერალური წყლებია, ხოლო მესამეზე - ფეროშენადნობები. უმსხვილესისაექსპორტო საქონელიააგრეთვე თხილი, სპირტიანი სასმელები და ციტრუსი. მიუხედავად იმისა, რომ ექსპორტში ღვინო ლიდერობს, უნდა აღინიშნოს, რომ მისი მოცულობა მკვეთრად არის შემცირებული. რაც შეეხება 1 ლიტრის საშუალო საექსპორტო ფასებს ემბარგომდე 1,7 აშშ დოლარიდან „ემბარგოს“ შემდგომ პერიოდში 3,4 აშშ დოლარამდე არის გაზრდილი. თუმცა, თავად ის ფაქტი, რომ 7-წლიანი პაუზის შემდეგ, 2013 წლის ივნისიდან, ქართული ღვინო კვლავ დაბრუნდა რუსეთის ბაზარზე, უდავოდ დადებითი მოვლენაა. 2000 წლიდან დღემდე არსებულ დინამიკაში, ქართული ღვინის უმსხვილესი საექსპორტო ბაზრების ხუთეულში, 2007-2012 წლებში ჩავარდნის მიუხედავად, წამყვან ადგილს კვლავ რუსეთი იკავებს.

ღვინის ექსპორტის მხრივ, საქართველოსთვის ყოველთვის ყველაზე მეტად მიმზიდველი და გახსნილი რუსეთის ბაზარი იყო. 2000-2006 წლებში საქართველოსთვის ღვინის საექსპორტო ქვეყნების ნუსხა ტრადიციულად რუსეთით იწყებოდა. 2006 წლამდე ქართულ ღვინოს რუსეთის ღვინის ბაზრის 10%-ზე მეტი ეკავა, რაც საქართველოს ღვინის მთელი ექსპორტის 74-80%-ის ფარგლებში მერყეობდა. 2005 წელს საქართველოდან ექსპორტირებულ იქნა 81 მლნ აშშ დოლარის ღვინო, ხოლო რუსეთის ბაზრის ჩაკეტვის შემდეგ, ეს მონაცემი ჯერ განახევრდა, 2007 წელს კი ღვინის ექსპორტი 29 მილიონ აშშ დოლარამდე დაეცა. 2010 წლიდან, ახალი ბაზრების ათვისების ხარჯზე, ექსპორტი გაიზარდა. რაც შეეხება მდგომარეობას „ემბარგოს“ გაუქმების შემდეგ, 2013 წელს ღვინის ექსპორტმა 128 მლნ აშშ დოლარს მიაღწია და მასში რუსეთის წილმა 44%-ს გადააჭარბა. ამ მხრივ, რეკორდული მაჩვენებლები დაფიქსირდა 2014 წელს. ღვინის ექსპორტმა საქართველოდან 180 მლნ აშშ დოლარი შეადგინა, აქედან, მხოლოდ რუსეთში 111 მლნ აშშ დოლარის ღვინის ექსპორტი განხორციელდა. თუმცა, აქვე უნდა აღინიშნოს ორი ფაქტი. პირველი - ასეთი მაღალი მაჩვენებლები ნაწილობრივ გამოწვეული იყო ღვინოზე საექსპორტო ფასის გაზრდით და მეორე - მიუხედავად რეკორდული ღირებულებისა, რუსეთის წილი ღვინის ექსპორტში (62%) არ წარმოადგენდა ისტორიულ მაქსიმუმს, რომელიც დაფიქსირდა 2005 წელს - 77%. სამწუხაროდ, 2015 წელს წინა წელთან შედარებით, საქართველოდან ღვინის ექსპორტი თითქმის განახევრდა და რუსეთის წილი 45%-მდე შემცირდა. აქვე უნდა აღინიშნოს ისიც, რომ 2015 წლიდან ექსპორტის საერთო დონის შემცირებასაც ჰქონდა ადგილი. 2016 წლის იანვარ-აგვისტოს მონაცემებით, საქართველოდან მხოლოდ 66 მლნ აშშ დოლარის ღვინო იქნა ექსპორტირებული, მაგრამ მიუხედავად ამისა, დღეისათვის რუსეთი საქართველოდან ღვინის ექსპორტის 48%-იანი წილის მფლობელია. ეს ფაქტი კიდევ ერთხელ ცხადყოფს „ჩრდილოეთის ბაზრის“ მნიშვნელობას ქართული ტრადიციული დარგის აღორძინების სტიმულირებისათვის. ფაქტია, რომ ქართული ღვინისთვის რუსეთის ბაზრის პერსპექტივა ილუზიიდან კვლავ რეალობად იქცა. თუმცა, საინტერესოა, რამდენად არის იმპორტირებულ ღვინოზე მოთხოვნა რუსეთის ბაზარზე. ოფიციალური სტატისტიკური მონაცემები ცხადყოფს, რომ რუსეთში ღვინით თვითუზრუნველყოფის კოეფიციენტი არც თუ ისე მაღალია. 2011

წლის მონაცემებით ის მხოლოდ 49%-ს შეადგენს, რაც იმას ნიშნავს, რომ ქვეყანაში ღვინოზე არსებული მოთხოვნის დაკმაყოფილება 51%-ით იმპორტის ხარჯზე ხორციელდება. ასეთ პირობებში ინტერესს არ უნდა იყოს მოკლებული საქართველოს შესაძლებლობა, საკუთარი წარმოების ღვინით რამდენად შეუძლია დააკმაყოფილოს როგორც ქვეყნის შიდა მოთხოვნა, ასევე, განახორციელოს მისი ექსპორტიც. ამის გარკვევის შესაძლებლობას იძლევა საქართველოს ყურძნის წარმოების(ბალანსის) მონაცემები, რომელის თანახმად, 2014 წელს საქართველოში ყურძნით თვითუზრუნველყოფის კოეფიციენტი 141%-ია და დინამიკაც ცხადყოფს, რომ ეს მაჩვენებელი ტრადიციულად საკმაოდ მაღალია. აღნიშნული ფაქტი განაპირობებს ქართული ღვინის საკმაოდ მაღალ შანსს თავი დაიმკვიდროს არა მხოლოდ რუსეთის ბაზარზე, არამედ მაღალი ევროპული სტანდარტების დაკმაყოფილების შემთხვევაში, შეძლოს ახალი ბაზრების ათვისებაც. მეორე პოზიციას, როგორც უკვე აღვნიშნეთ, მინერალური წყლები იკავებს, რომლის საწარმოებლად საქართველოს ბუნებრივი უპირატესობა გააჩნია. ჩვენი ქვეყანა მდიდარია მიწისქვეშა წყლებით, ამასთან, ეს რესურსი საკმაოდ კარგი ხარისხისაა და მაღალი მინერალიზაციით ხასიათდება. მინერალური წყლის ექსპორტის დინამიკა მზარდი ტენდენციით ხასიათდება. ამ საქონლის ექსპორტმა მაქსიმალურ ნიშნულს 2014 წელს მიაღწია და 137,1 მლნ აშშ დოლარი შეადგინა. რუსეთის წილი მინერალური წყლების ექსპორტში ემბარგომდე 70%-ს აჭარბებდა [10].

„ემბარგოს“ მოხსნის შემდეგ, 2014 წელს, ეს მაჩვენებელი მხოლოდ 48%-ით განისაზღვრა(იხ. ცხრილი №4). ისევე, როგორც ღვინის შემთხვევაში, ექსპორტის კლების საერთო ტენდენციის ფონზე, მინერალური წყლების ექსპორტის მოცულობაც შემცირებულია. 2016 წლის იანვარ-აგვისტოს მონაცემებით, რუსეთის წილი მინერალური წყლების ექსპორტში 45%-ს აღწევს. საექსპორტო ქვეყნების პირველ ხუთეულს ყოფილი საბჭოთა კავშირის ქვეყნები შეადგენენ. აღსანიშნავია, რომ რუსეთის ემბარგოს შემდეგ, 2006 წელთან შედარებით მინერალური წყლების ექსპორტი საქართველოდან კვლავ გაიზარდა და ემბარგოს მოქმედების პერიოდში უკრაინამ, ფაქტობრივად, ჩაანაცვლა რუსეთის ბაზარი. თუმცა, აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ემბარგოს მოხსნის შემდეგ რუსეთმა კვლავ აღიდგინა ლიდერის პოზიცია. ეს ფაქტი კიდევ ერთხელ ადასტურებს, რომ რუსეთის ბაზარი ამ

დარგისთვისაც საკმაოდ მიმზიდველია. ბოლო წლების ინფორმაციით, რუსეთთან ექსპორტში მესამე პოზიციას მყარად იკავებს ფეროშენადნობები. რუსეთის მხრიდან ქართული წარმოების პროდუქციის ექსპორტზე ემბარგოს დაწესებამ, ამ სამრეწველო საქონელზეც მნიშვნელოვანი გავლენა მოახდინა, თუმცა მისი გაუქმების შემდეგ აშკარა პოზიტიური ძვრები შეიმჩნევა ფეროშენადნობების ექსპორტში. მიუხედავად იმისა, რომ რუსეთის წილობრივი მონაცემები 2000-2006 წლებში საშუალოდ 27% იყო, ხოლო 2016 წლის იანვარ-აგვისტოს მონაცემებით მხოლოდ 17%-ს შეადგენს, ზრდის ტენდენცია უდავოდ იმედის მომცემია. უმსხვილეს საექსპორტო საქონელში მნიშვნელვანი ადგილი უჭირავს ქართულ თხილს. საქართველოსთვის თხილი სტრატეგიული საექსპორტო დარგია. ჩვენი ქვეყანა თხილის მწარმოებელი მსოფლიოს უმსხვილესი ქვეყნების ხუთეულში შედის და არა მხოლოდ რუსეთის, არამედ ევროკავშირის ბაზარზეც ერთ-ერთ მსხვილ მიმწოდებლად ითვლება. კაკლოვანი კულტურებისა და მშრალი ხილის მსოფლიო კონგრესის (World Nuts and Dried Fruit Congress) ანგარიშის თანახმად, 2012 წელს საქართველოს თხილის მწარმოებელ ქვეყანათა რეიტინგში მეხუთე ადგილი ეკავა (თურქეთის, იტალიის, აშშ-სა და აზერბაიჯანის შემდეგ). 2013 წლისათვის, 342 ერთი ადგილით წინ გადაინაცვლა და მეოთხე ადგილი დაიკავა (ჩამოიტოვა აზერბაიჯანი). რაც შეეხება ექსპორტს, საქართველო რეიტინგით მესამე ექსპორტიორი ქვეყანაა მსოფლიოში თურქეთის და იტალიის შემდეგ. როგორც ვხედავთ, თხილის წარმოებისა და ექსპორტის კუთხით საქართველო მსოფლიო ბაზარზე წინ მიიწევს და საკმაოდ კარგი პერსპექტივები აქვს. თხილის ექსპორტმა რუსეთში რეკორდულ მაჩვენებელს 2005 წელს მიაღწია და 13.7 მლნ აშშ დოლარი შეადგინა [11].

ამ პერიოდში რუსეთის წილი თხილის ექსპორტში 20%-ს უდრიდა. ემბარგოს შემოღების შემდეგ, 2010-2013 წლებში, თხილის გატანა მეზობელ ქვეყანაში საერთოდ შეწყდა. ემბარგოს გაუქმების შემდეგ, 2015 წლის მონაცემებით, თხილის ექსპორტმა რუსეთთან მეოთხე პოზიციაზე გადაინაცვლა და მისი ექსპორტის მოცულობაც საგრძნობლად გაიზარდა, თუმცა რუსეთის წილი მხოლოდ 6%-ით შემოიფარგლა. მაგრამ, აქვე უნდა აღინიშნოს, რომ 2016 წლის იანვარ-აგვისტოს მონაცემებით რუსეთის წილი10%-მდე გაიზარდა. ქართული თხილის ექსპორტიორ ქვეყნებში ტრადიციულად ლიდერობს გერმანია, იტალია და ესპანეთი. როგორც

უკვე აღვნიშნეთ, თხილის ექსპორტში რუსეთის წილი საკმაოდ არის შემცირებული, თუმცა არაოფიციალურ წყაროებზე დაყრდნობით, მაღალია არაკონტროლირებადი ტერიტორიებიდან ჩრდილოეთის მიმართულებით თხილის გატანის ალბათობა. რაც შეეხება თხილით რუსეთის თვითუზრუნველყოფის კოეფიციენტს, FAO-ს მონაცემებით, მისი სიდიდეც მცირეა და ტენდენციაც კლებადი. შედარებისთვის, 2011 წელს საქართველოში თხილის წარმოებამ 31,1 ათასი ტონა შეადგინა, მაშინ როცა იმავე პერიოდის მაჩვენებელი რუსეთში 13 ათას ტონას აღწევს. ასე, რომ საქართველოს თხილის წარმოების პოტენციალის და პროდუქციის მაღალი ხარისხის გათვალისწინებით, შესაძლოა რუსეთის ბაზარი კვლავ დაინტერესდეს ქართული თხილის იმპორტის გაზრდით, რაც ისედაც მზარდ დარგს მომავლის უკეთეს პერსპექტივას შეუქმნის. რუსეთთან ექსპორტში მეხუთე პოზიციაზე მყოფი სპირტიანი სასმელების ექსპორტში, ზოგადად ქვეყნის მასშტაბით, ბოლო წლების მანძილზე კლება შეინიშნება, თუმცა სპირტიანი სასმელები ათეულში მუდმივად ფიგურირებს. 2015 წლის მონაცემებით რუსეთის წილი 16%-ს შეადგენდა. მდგომარეობა რადიკალურად განსხვავებული იყო 2000-2005 წლებში, როცა რუსეთი ლიდერის პოზიციას იკავებდა. ამ პერიოდში მისი წილი სპირტიანი სასმელების მთლიან ექსპორტში 64-87%-ის ფარგლებში მერყეობდა. უნდა აღინიშნოს, რომ „ემბარგოს“ გაუქმების შემდგომ პერიოდში, სპირტიანი სასმელების ექსპორტის ზრდა ძირითადად ფასების მატებით არის გამოწვეული. საინტერესოა, აქვს თუ არა მეხუთე უმსხვილეს პროდუქციას რუსეთის ბაზრის კვლავ ათვისების შანსი? გაეროს სურსათისა და სოფლის მეურნეობის ორგანიზაციის (FAO) ინფორმაციით, რუსეთში სპირტიანი სასმელებით თვითუზრუნველყოფის კოეფიციენტი დინამიკაში საკმაოდ მაღალია და 2011 წელს 92%-ს შეადგენდა. ამგვარად, საქართველოდან რუსეთში ექსპორტირებული სპირტიანი სასმელების მოცულობის დინამიკის და ამ პროდუქტის წარმოებაში ჩრდილოელი მეზობლის შესაძლებლობების გათვალისწინებით, რუსეთის მიმართულებით სპირტიანი სასმელების ექსპორტის გაზრდაზე დიდი იმედები არ უნდა დავამყაროთ. განსხვავებული ტენდენცია იკვეთება ციტრუსის ექსპორტში(იხ. ცხრილი№4). ემბარგოს მოხსნის შემდეგ, რუსულ ბაზარზე ქართული ციტრუსის ექსპორტის რეკორდული მაჩვენებელი დაფიქსირდა და 2015 წელს რუსეთის წილმა 72% შეადგინა. აღსანიშნავია, რომ 2014-

2015 წლებში, საქართველოდან ციტრუსის ექსპორტის კლების ფონზე რუსეთში ექსპორტის მაჩვენებლები პირიქით, იზრდება. 2009-2012 წლებში რუსეთის ბაზარი ქართული ციტრუსისთვის იყო დაკეტილი, რამაც დიდი ზიანი მიაყენა ქართველ ფერმერებს. ტერიტორიული სიახლოვის გამო მცირე სატრანსპორტო დანახარჯების და საქონლის გზაში გაფუჭების დაბალი რისკის, ასევე, საგემოვნო სპეციფიკაციის და საქართველოში ციტრუსის მოყვანის პოტენციალის გათვალისწინებით, საქართველოს რუსეთის ბაზარზე დამკვიდრების უზარმაზარი შანსი გააჩნია, რასაც ჩვენი ქვეყანა წარმატებით იყენებს კიდეც.

ზემოაღნიშნული დასკვნებისა და თანამედროვე მოთხოვნების გათვალისწინებით, მიმდინარე ეტაპზე ქვეყანამ კვლავაც უნდა გაატაროს ექსპორტზე ორიენტირებული სტრატეგიული სავაჭრო პოლიტიკა. 2012 წლის შემდეგ ,,ნორმალიზაციის" პროცესის შედეგად, ორ ქვეყანას შორის სავაჭრო ურთიერთობები საგრძნობლად გაღრმავდა.

ცხრილი №4. საქართველოდან რუსეთში ექსპორტირებული უმსხვილესი სასაქონლო ჯგუფები(მლნ. აშშ დოლარი)

პროდუქტები	2013	2014	2015	2016	2017(იანვარი-ივნისი)	2018(იანვარი-ივნისი)
სულ	190,8	274,8	162,9	118,2	185,3	204,4
ყურძნის ნატურალური ღვინოები	56,2	111,4	43,3	31,8	40,6	53,1
მინერალური და მტკნარი წყლები	33,8	66,4	33,0	24.2	22,7	24,6
ფეროშენადნობები	13,2	16,9	22,6	19,5	69,7	68,3
თხილი და კაკალი	0,0	4,0	10,7	4,5	11,7	3,1
ეთილის სპირტი და სპირტიანი სასმელები	4,7	17,6	10,6	6,6	9,2	8,9
ციტრუსი	7,7	9,1	9,6	0,7	7.5	10,9
ცენტრიფუგები; აგრეგატები სითხის ან აირის საფილტრავი ან გასაწმენდი	-	-	-	-	0,0084	5,8
დანარჩენი	75,1	49,5	33,1	31,0	42,9	43,3

პროდუქტები						

წყარო:http://www.economy.ge/uploads/files/2017/foreign_trade/2018_6_month.pdf; http://www.economy.ge/uploads/files/2017/foreign_trade/trade_turnover_2017_12_month_final_11.pdf; http://www.economy.ge/uploads/files/sagareo_vachroba/Trade_turnover_2016.pdf; http://www.economy.ge/uploads/files/sagareo_vachroba/FTT-_2015__6_month.pdf; http://www.economy.ge/uploads/files/sagareo_vachroba/2014_FTT___28_01_2015.pdf; http://www.economy.ge/uploads/files/sagareo_vachroba/2013_trade_turnover_final.pdf.

ცხრილი №5. საქართველოში რუსეთიდან იმპორტირებული უმსხვილესი სასაქონლო ჯგუფები(მლნ. აშშ დოლარი)

პროდუქტები	2013	2014	2015	2016	2017(იანვარი-ივნისი)	2018(იანვარი-ივნისი)
იმპორტი სულ	588	578	625	675,0	344,9	445,6
ნავთობი და ნავთობპროდუქტები		45,9	22,1	102	44,0	93,8
ხორბალი და მესლინი	138,2	132,0	43,4	86,1	47,7	48,0
კოქსი და ნახევარკოქსი, რეტორტის ნახშირი	-	-	-	-	5,3	19,8
მზესუმზირის ზეთი	-	16,8	9,6	27,5	14,4	15,9
სატელეფონო აპარატები	-	-	-	-	14,9	14,2
დანარჩენი პროდუქტები	449,8	383,3	549,9	459,4	218,2	253,8

წყარო:http://www.economy.ge/uploads/files/2017/foreign_trade/2018_6_month.pdf;http://www.economy.ge/uploads/files/2017/foreign_trade/trade_turnover_2017_12_month_final_11.pdf; http://www.economy.ge/uploads/files/sagareo_vachroba/Trade_turnover_2016.pdf; http://www.economy.ge/uploads/files/sagareo_vachroba/FTT-_2015__6_month.pdf; http://www.economy.ge/uploads/files/sagareo_vachroba/2014_FTT___28_01_2015.pdf; http://www.economy.ge/uploads/files/sagareo_vachroba/2013_trade_turnover_final.pdf.

აღსანიშნავია, რომ სტატისტიკის ეროვნული სამსახურის მიერ დამუშავებული და მოწოდებული მასალა 2013 წლამდე საკმაოდ მწირია, რადგან არ შეიცავს ინფორმაციას ცალკეული ქვეყნების მიხედვით ექსპორტირებულ და იმპორტირებულ სასაქონლო ჯგუფებზე. ამავე დროს შეინიშნება, რომ 2014 წელთან შედარებით რამდენადმე შემცირდა საქართველოს ექსპორტის მოცულობა.

სავარაუდოდ ეს მდგომარეობა ალბათ ევროკავშირის მიერ მოთხოვნილ საქართველოს პროდუქციის ხარისხთან არის დაკავშირებული. ცხადია ასეთი მოთხოვნა მხოლოდ ხელს შეუწყობს ქართული ექსპორტის დივერსიფიკაციასა და ამაღლებას.

საქართველოდან რუსეთში ემიგრირებულია მილიონამდე საქართველოს მოქალაქე. მათ შორის გარკვეულმა რაოდენობამ უკვე რუსეთის მოქალაქეობა მიიღო, მაგრამ უმრავლესობას ოჯახები ან ნათესავები საქართველოში ჰყავს და ისინი ფულად გზავნილებს იღებენ. №3 დიაგრამაზე მოცემულია საქართველოში ფულადი გზავნილები რუსეთიდან 2008-2015წწ., საიდანაც ჩანს, რომ 2013 წლამდე გზავნილების მიხედვით რუსეთიდან მეტიფულადი თანხა მოდიოდა ვიდრე ყველა დანარჩენი ქვეყნიდან ერთად აღებული. 2013 წლიდან მდგომარეობა იცვლება და ევროკავშირთან უვიზო მიმოსვლის რეჟიმის შემოღებასთან ერთად გაიზარდა სამუშაო მიგრანტების რაოდენობა, რომლებმაც გზავნილების საფუძველზე უფრო მეტი თანხების გადმორიცხვა მოახერხეს. დღეს უკვე სამუშაოდ ქართველების უდიდესი ნაწილი ევროპასა და ჩრდილო ამერიკის კონტინენტზე მიემართება და არა რუსეთში.

დიაგრამა №3

ხაზგასმით გვინდა აღვნიშნოთ, რომ რუსეთ-საქართველოს საომარმა მოქმედებამ ყველა სფეროზე იმოქმედა საქართველოში გარდა ტურიზმის დარგისა. რუსი ტურისტების ნაკადმა შემცირების მაგივრად მოიმატა, უფრო მეტიც

თბილისის თავისუფლების მოედანზე ხშირად რუსული სიმღერებიც ისმის ტურისტების ,,მოსაზიდად“.

დიაგრამა №4 გვიჩვენებს რუსეთიდან შემოსვლების მზარდ სტატისტიკას.

დიაგრამა №4

რა ხდება აგვისტოს ომიდან 10 წლისშემდეგ

საქსტატის მიხედვით, წინასწარი შეფასებით, წინა წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით 2018 წლის ივნისში რეალური მთლიანი შიგა პროდუქტის ზრდისტემპმა 4,0 პროცენტი შეადგინა. 2018 წლის II კვარტალის საშუალო რეალური ზრდა 6,0 პროცენტით, ხოლო 2018 წლის პირველი ექვსი თვის საშუალო რეალური ზრდა 5,7 პროცენტით განისაზღვრა. რა შეიცვალა საქართველოს ეკონომიკაში ომიდან 10 წლის შემდეგ?

ეკონომიკის დოქტორი ირაკლი მაკალათია ასე პასუხობს: „საქართველო ეკონომიკურად კიდევ უფრო მეტად გახდა დამოკიდებული რუსეთზე. თავის დროზე სავაჭრო ბრუნვა რუსეთთან 18 %-მდე მოდიოდა, „ემბარგოს“დაწესების შემდეგ 3%-მდე ჩამოვიდა, რამაც მაშინ უდიდესი დარტყმა მიაყანა საქართველოს

ეკონომიკას. ეს კარგად იცის ჩვენმა მეზობელმა, ამიტომაც გარდა ტერიტორიების ანექსიისა, იგი ეკონომიკურ ანექსიასაც ეწევა. ფაქტია, რუსული ბიზნესი მეტ მოგებას ნახულობს საქართველოში, ამიტომაც ზრდის კაპიტალდაბანდებას ჩვენს ქვეყანაში ან ობიექტებს ყიდულობს. საბოლოო ჯამში, როცა ასეთი ტენდენციაა, ჩვენი მხრიდან რუსეთის წინააღმდეგ პოლიტიკური განცხადებების გაკეთება, იქნება უდიდესი რისკი. მას დღეს აქვს ეკონომიკური ბერკეტი, რისი ამოქმედებაც ქვეყანას უფრო გააღარიბებს“ [12]

ცხადია რუსეთის სახელმწიფოს ხელისუფლებას ყოველთვის ექნება საქართველოზე, როგორც მის მეზობელ ქვეყანაზე ზემოქმედების ბერკეტები. რადგანაც ყველაფერს რომ თავი დავანებოთ მისი ბაზარი იმდენად საინტერესოა ჩვენთვის, რომ იგი ყოველთვის მონოფსონის მდგომარეობაში იქნება რაც შეეხება ,,რუსეთი დიდ მოგებას ღებულობს საქართველოში“ ამ მოსაზრებას დამტკიცება სჭირდება ფაქტობრივი მასალით, რასაც სამწუხაროდ პატივცემული დოქტორი ირაკლი მაკალათია არ გვაწვდის.

სამაგისტრო ნაშრომის შესრულების პროცესში ვეცადეთ, რომ მოგვეპოვებინა რუსული პირდაპირი უცხოური ინვესტიციების ეფექტიანობის შესახებ კონკრეტული ინფორმაცია და, სამწუხაროდ,ასეთ ინფორმაციას სატატისტიკის ეროვნული სამსახური არ ფლობს.

ირაკლი მაკალათიას თქმით, გამოსავალი ხელისუფლების დამოკიდებულებაშია. სახელმწიფომ კერძო სექტორის განვითარებას უნდა შეუწყოს ხელი, რათა ბიზნესი რეალურად განვითარდეს, გაიზარდოს ინვესტიციების წილი დასავლეთის ქვეყნებიდან და გაღრმავდეს სავაჭრო ურთიერთობები ევროზონასთან. თუმცა ეკონომისტის მტკიცებით, დღეს ამ ყველაფერს ერთადერთი რამ უშლის ხელს - პოლიტიკური ნება. „პოლიტიკური ნება რომ იყოს, სახელმწიფოს საკუთრებაში არ იქნებოდა ეკონომიკური აქტივების 80 %-მდე. ეს უკანასკნელი ხელისუფლებამ უნდა გადასაცეს კერძო სექტორს, რათა რეალურად დაწინაურდებს ბიზნესი. ასეთ შემთხვევაში გაჩნდება საშუალო ფენაც და დასავლეთთანაც მეტი კავშირები დამყარდება. არ ვამბობ, რომ რუსეთის ბაზარზე უარი უნდა ვთქვათ, უბრალოდ, უნდა მოხდეს ბაზრების დივერსიფიცირება, რათა ჩრდილოეთ მეზობელზე არ ვიყოთ ასე დამოკიდებული. სამწუხაროდ, დღეს სახლემწიფო კერძო

სექტორს არ ანვითარებს“,- განმარტავს მაკალათია. სამწუხაროა, რომ ეკონომისტი ექსპერტი ი. მაკალათია არ აკონკრეტებს თუ როგორ უნდა განავითაროს სახელმწიფომ კერძო ბიზნესი. ისიც ბუნდოვანია თუ რა აქტივების 80% დარჩა სახელმწიფო სექტორში დღეს რისი გაყიდვაც შესაძლებელია მიწის ფონდს თუ არ გულისხმობს იგი. [13]

საქართველოს ეკონომიკამ ზრდის ტემპებთან დაკავშირებით 2007 წელს თავის ისტორიულ მაქსიმუმს მიაღწიადა მშპ-ს ზრდამ ოფიციალური მონაცემით 12,6 % შეადგინა. ომის შემდეგ კი, 2008 წელსკი ეს მაჩვენებელი 2,4%-მდე დაეცა და მომდევნო ორი წელი ეკონომიკის ყველა მიმართულებით კრიზისული აღმოჩნდა. ომის გარდა ვითარება გლობალურმა ეკონომიკურმა კრიზისმა უფრო დაამძიმა. შედეგად 2008 წლის მესამე კვარტლიდან შემცირდა ექპორტ-იმპორტი, პრობლემები შეექმნა საბანკო სექტორს, ვითარება გაუარესდა საერთაშორისო რეიტინგების თვალსაზრისითაც. კერძოდ, საერთაშორისო შემფასებლებმა Fitch Ratings-მა და Standard and Poor's-მა საქართველოს სასესხო რეიტინგი კრედიტუნარიანობის გაუარესების გამო, BB- -დან B+ -მდე დააქვეითა.

მთავარი დარტყმა კი მაინც საფინანსო სექტორმა მიიღო. იგი 2007 წელს 16,9 %-ს აღწევდა, ხოლო ომის შემდეგკი 3,3%-მდე დაეცა. გლობალური კრიზისის შედეგად შეფერხდა სამშენებლო დარგის განვითარება. საერთო ჯამში, სპეციალისტების გათვლებით, პირდაპირი ზარალის მაჩვენებლმა 2 მლრდ აშშ. დოლარს მიაღწია. [14]

ყველა მიმართულებით შეიქმნა კრიზისული ვითარება. ერთადერთი რასაც მაშინდელი ხელისუფლება იმეორებდა არისის, რომ თითქოს ტურიზმთან დაკავშირებით აგვისტოს ომის შემდეგ ვითარება გაუმჯობესდა და ტურისტების რაოდენობამ მოიმატა. რეალურად კი მოხდა ფაქტის დამახინჯება, რადგან რაოდენობა გაიზარდა უცხოელი დამკვირვებლებისა და ბიზნეს საქმიანობიდან გამომდინარე, ანუვიზიტორთა ხარჯზე. ამიტომ, ტურიზმიც არ ყოფილა სახარბიელო სიტუაციაში. ზოგადად, ომის შემდგომი ორი წელი იყო ძალზე კრიზისული, რასაც შემდგომ უკვე სიტუაციის მეტნაკლები დასტაბილურება მოჰყვა.

რუსეთთან ვაჭრობის განვითარებას ექსპორტის ზრდა მოჰყვება რაც უდავოდ კარგია, მაგრამ ვაჭრობის შეზღუდვას რუსეთის არამდგრად ბაზარზე ნაკლები

დამოკიდებულება მოჰყვება რაც აგრეთვე არ წარმოადგენს ტრაგედიას.ქართველ ექაპერტთა მოსაზრებით რუსეთის მთავრობას გააზრებული უნდა ჰქონდეს, რომ საქართველოსთან ვაჭრობის შეფერხების ზემოქმედებას ქართველ მეწარმეებზე შესაძლოა მოჰყვეს საქართველოსთვის ისეთი სასიკეთო შედეგები გრძელვადიან პერიოდში როგორიცაა:

- ღვინის როგორც სტრატეგიული დარგის პროდუქციის ექსპორტირების ილუზიები შესუსტდება, რაც ქართველი მეწარმეებსა და ექსპორტიორებს სასიკეთოთ იმოქმედებს მათი აქტივობის სფეროების დივერსიფიკაციის მიმართულებით;
- გაიზრდება ქართული არაფალსიფიცირებული ღვინის ექსპორტის კონკურენტუნარიანობა. რადგან მაშინ ჩვენი ღვინის ექსპორტიორებს მოუწევთ ისწავლონ ფრანგ, ესპანელ და იტალიელ მეღვინეებთან კონკურენცია, არა მხოლოდ რუსულ ბაზარზე, არამედ სხვაგანაც. მხოლოდ ასეთი მდგომარეობა მისცემს ჩვენ ექსპორტიორებს შესაძლებლობას ჩაერთონ კონკურენციაში ევროკავშირის ბაზარზე;
- კიდევ ერთხელ დაამტკიცებს, რომ რუსული,ისევე როგორც ევროკავშირის ბაზარი მიმზიდველია, უპირველეს ყოვლისა, მხოლოდ მაღალ ხარისხიანი პროდუქციისა და მომსახურების მწარმოებელი მეწარმეებისთვის. მხოლოდ მაშინ მივაღწევთ რისკის მინიმიზაციას. სხვა შემთხვევაში კი ისევ განზოგადებული ,,ონიშჩენკოების“ სურვილებზე ვიქნებით დამოკიდებულები;
- ქართველმა ბიზნესმენებმა კარგად უნდა გაიაზრონ ის ფაქტი, რომ მხოლოდ რუსული ბაზარი კი არ არის არამდგრადი არამედ მათი პროდუქციის ხარისხია საეჭვო და სწორედ ამიტომაა მათი ბიზნესის პოზიციები არამდგრადი;
- არა მარტო ბიზნესმა არამედ მთელმა ქართულმა საზოგადოებამ უნდა გაითავისოს, რომ ვერავითარი პოლიტიკური ნება და ცალკეულ(თუნდაც უაღრესად ავტორიტეტულ) პიროვნებათა მცდელობა ამ მდგომარეობას ვერ გამოასწორებს ხანგრძლივი პერიოდით. ერთადერთი გზა ამ მხრივ

პროდუქციისა და მომსახურების სტანდარტების ამაღლება და საექსპორტო პოტენციალის დიფერენცირებაა;

- პროდუქციისა და მომსახურების დიფერენცირება(ინტელექტევადი პროდუქტებისა და მომსახურების წარმოების მიმართულებით) ხელს შეუწყობს ქართველი ექსპორტიორებისათვის ბაზრების დივერსიფიკაციას. მით უფრო, რომ ეს ერთადერთი გზაა ჩვენი მცირე ღია ეკონომიკის განვითარებისთვის(ევროკავშირთან ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი ვაჭრობის შესახებ შეთანხმების, ჩინეთთან და ევროპის თავისუფალი ვაჭრობის ასოციაციასთან უკვე არსებული და აშშ-სთან მომავალი თავისუფალი ვაჭრობის შესახებ შეთანხმებების გათვალისწინებით);
- საქართველოს ეკონომიკის დარგობრივ სტრუქტურის ცვლილებები ინტელექტტევადი საქონლისა და მომსახურების წარმოების განვითარების მიმართულებით ჩვენს ქვეყანას დაუმკვიდრებს ღირსეულ და დამსახურებულ ადგილს შრომის საერთაშორისო დანაწილების სისტემაში.

1.2. რუსეთ-საქართველოს ურთიერთობათა პრობლემები რუსეთის მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციაში შესვლასთან დაკავშირებით

მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციაში (WTO) რუსეთის გაწევრიანებასთან დაკავშირებულ, დახურული მოლაპარაკების პარალელურად, 2011 წლის აგვისტოში რუსეთის მომხმარებელთა უფლებების დაცვასა და ადამიანის კეთილდღეობაზე ზედამხედველობის ფედერალური სამსახურის უფროსმა გენადი ონიშენკომ კიდევ ერთხელ მოუწოდა ქართული ღვინისა და მინერალური წყლის მწარმოებლებს დაბრუნდნენ რუსეთის ბაზარზე.

ეს ონიშენკოს უკვე მესამე მოწოდება იყო. ქართული პროდუქციის შეტანა რუსეთში იმავე ონიშენკოს გადაწყვეტილებით **2006 წლის მარტიდან** აიკრძალა. აკრძალვის ოფიციალურ მიზეზად, მაშინ დაბალი ხარისხი და დიდი რაოდენობით ფალსიფიცირებული ქართული პროდუქცია დასახელდა(რაც ცხადია სიმართლეს

შეესაბამებოდა).თუმცა, რუსულ პოლიტიკურ წრეებშიც აღიარებდნენ, რომ ეს გადაწყვეტილება საქართველოზე პოლიტიკური ზეწოლით იყო მოტივირებული.

2011 წელს კი რუსეთის მთავარი სანიტარული ექიმი პირიქით მოუწოდებს ქართულ ბიზნესს დაბრუნდეს რუსეთში. სრულიად მოულოდნელად ონიშენკოსა და ქართველ მეწარმეებს შორის შუამვლად, ოპოზიციური პარტია „თავისუფალი საქართველოს“ ლიდერი კახა კუკავა იქცა.თბილისის საკრებულოს წევრი ონიშენკოს მოსკოვში სამჯერ შეხვდა. **გენადი ონიშენკომ** და **კახა კუკავამ** ბოლო შეხვედრის შემდეგ განაცხადეს შემდეგი:

გენადი ონიშენკო: „კახა კუკავასთან ეს საკითხი კიდევ ერთხელ განვიხილეთ. რუსეთის მხრიდან დავადასტურეთ გამჭირვალე პოზიცია, რომ ჩვენ მზად ვართ შევხვდეთ ქართულ ბიზნესს, იმ მწარმოებლებს, რომლებსაც აქვთ პროდუქცია და მზად არიან შემოიტანონ ქართული ღვინო, ღვინომასალები და მინერალური წყლები. რაც დღევანდელი ხელისუფლების ყველა ძალისხმევის მიუხედავად ჯერ კიდევ არ გამქრალა რუსების გონებიდან. დავუშვათ ისინი, ბაზარზე, იმ მოთხოვნების შესაბამისად, რომელიც განსაზღვრულია რუსეთის სანიტარული კანონმდებლობით.“

კახა კუკავა: „ჩვენი პრიორიტეტული პროგრამა არის, რომ ახალ წლამდე დაიწყოს რამოდენიმე სახეობის პროდუქციის ექსპორტი საქართველოდან რუსეთში. ის, რომ ერთ-ერთი კომპანიის განაცხადის შესწავლა დაიწყო ეს არის ძალიან დიდი პლიუსი, ძალიან დიდი პოზიტივი, თუმცა, ჩვენ კარგად ვაცნობიერებთ, იმისთვის, რომ ექსპორტი დაუბრუნდეს 2006 წლამდე დონეს აუცილებელია ათეულობით და ასეულობით ქართულმა კომპანიამ მიმართოს ანალოგიური განაცხადით რუსეთის შესაბამის სამსახურს.“

კახა კუკავას ინფორმაციით, ონიშენკოს უწყებას საკუთარი პროდუქციის სერთიფიცირებისთვის უკვე მიმართა IDS Borjomi Russia-მ, 2006 წლის აკრძალვის შემდეგ, ეს კომპანია რუსეთის ბაზარზე წარმოდგენილია მხოლოდ მინერალური წყლებით - „ედელვაისით“, „სვიტოი ისტოჩნიკითა“ და „მირგოროდსკაიათი“. IDS Borjomi Russia არის უმსხვილესი ჰოლდინგის IDS Borjomi International-ის შემადგენელი ნაწილი, რომელშიც ასევე შედიან IDS Borjomi Georgia, IDS Borjomi Europa და IDS Group Ukraine. ბორჯომის ჰოლდინგი მსოფლიოს 30 ქვეყანაში ყიდის

მინერალურ წყალს, მათგან ყველაზე პოპულარულები, რუსეთში აკრძალული - „ბორჯომი“ და „ლიკანია“. IDS Borjomi Georgia-ს პრესს-სამსახურმა კატეგორიულად უარყო ონიშენკოსა და კუკავას გავრცელებული ინფორმაცია. ამასთან, კომპანიაში არ აკონკრეტებდნენ, აპირებენ თუ არა რუსეთის ბაზარზე დაბრუნებას. „ბორჯომი“, ისევე როგორც სხვა ქართული კომპანიები მწვანე შუქს საქართველოს მთავრობისგან ელოდებოდა. საგარეო საქმეთა ყოფილი მინისტრი გრიგოლ ვაშაძე ამბობდა: „ეს ქართული ბიზნესის კერძო საქმეა. სახელმწიფო ამაში ვერ ჩაერევა. კონსტატაცია შემიძლია მხოლოდ ერთი ფაქტის გავაკეთო, რომ ქართველი ბიზნესმენები არ ჩქარობენ რუსეთისკენ გამგზავრებას“.

ეკონომიკის ყოფილი მინისტრი აკადემიკოსი **ვლადიმერ პაპავა** მიიჩნევდა, რომ ამ კრიტიკულ სიტუაციაში, რუსეთმა მომგებიანად შემოაგდო „ბორჯომისა“ და ქართული ღვინის დაბრუნების საკითხი, თანაც ქართული ოპოზიციის დახმარებით. [15]

ისმება სრულიად ლოგიკური კითხვა: რის სანაცვლოდ აბრუნებდა მოსკოვი ქართულ პროდუქციას რუსეთის ბაზარზე?! იყო თუ არა ეს ნაბიჯი მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციაში რუსეთის გაწევრიანების წინაპირობა და, რაც ყველაზე უფრო მთავარია იქნებოდა თუ არა ეს „გაცვლა“ თანაბარი?! ამ კითხვებზე მრავალი მოსაზრება არსებობდა და ეხლაც არსებობს.

ქართულ პროდუქციაზე ემბარგოს მოხსნა საქართველოს ხელისუფლების ერთ-ერთი ძირითადი საკითხი იყო. რუსეთისთვის წაყენებული ყველაზე პრობლემური მოთხოვნა კი ფსოუსა და როკის გვირაბის საბაჟოების გაკონტროლებაა. ასეთი ხისტი პოზიციის გამო ექსპერტები არ გამორიცხავდნენ რომ თბილისს შესაძლოა საერთაშორისო თანამეგობრობის რისხვა დაემსახურა.

აკადემიკოსი ვლადიმერ პაპავა თვლის, რომ ,,ქართული პროდუქტების რუსულ ბაზარზე დაბრუნების საკითხის მიბმა რუსეთის მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციაში გაწევრიანების საკითხთან, თუნდაც ფორმალური თვალსაზრისით არ არის მართლზომიერი.... რუსეთის მსოფლიო სავაჭრო ორგანოზაციაში გაწევრიანებისთვის საქართველოს თანხმობის სანაცვლოდ თბილისმა უნდა მოსთხოვოს მოსკოვს, რომ ამ ორ ქვეყანას შორის საბაჟო საკითხების მოწესრიგების საქმეში ჩაერთონ საერთაშორისო ორგანიზაციები (მაგალითად, ევროკავშირი), მათ

შორის _ მსოფლიო საბაჟო ორგანიზაცია. მოცემული პრობლემის მოსაგვარებლად დიდი მნიშვნელობა აქვს ამ ორგანიზაციების მზაობას, მიიღონ მონაწილეობა საბაჟო საკითხების მოწესრიგებაში საქართველო-რუსეთის საზღვრების აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის მონაკვეთებზე. ამისათვის საართველოს ხელისუფლებამ ევროკავშირის შესაბამის სტუქტურებთან და მსოფლიო საბაჟო ორგანიზაციის ხელმძღვანელობასთან უნდა დაიწყოს მოლაპარაკებები.“ [16]

რუსულ-ქართულმა სავაჭრობრუნვამ 1 მილიარდ დოლარს მნიშვნელოვნად გადააჭარბა(იხ. ცხრილი №3). რუსეთი გახდა ქართული ექსპორტისათვის ყველაზე დიდი ბაზარი 14,3%-ით (314 მილიონი დოლარი 2203 მილიონი დოლარიდან), ხოლო აზერბაიჯანი მეორე ადგილს იკავებს სულ რაღაც 8,8%-ით. ქართული საექსპორტო ეკონომიკის ზოგიერთ სფეროში დომინირება უფრო დრამატულია. 2017 წლის პირველი ათი თვის განმავლობაში ქართველმა მეწარმეებმა საექსპორტოდ გაიტანეს 61 მილიონი ბოთლი ღვინო, საერთო ღირებულებით 134,6 მილიონი დოლარი. რუსული ბაზარი ყველაზე დიდი მომხმარებელი იყო 38,3 მილიონ ბოთლზე უფრო მეტით (62,7%, 84,6 მილიონი დოლარი), ხოლო უკრაინა მეორე ადგილზე იყო სულ რაღაც 6,2 მილიონიბოთლით (10,1%). ესა ციფრები აშკარად აჩვენებს, რამდენად სერიოზულადაა დამოკიდებული ქართული ღვინის წარმოების ინდუსტრია რუსულ ბაზარზე. რეგიონში რუსეთის ექსპანსიური პოლიტიკისა და, განსაკუთრებით კი, ქართული ტერიტორიების მცოცავი ოკუპაციის შედეგად, ორ ქვეყანას შორის ორმხრივი პოლიტიკური კლიმატის გაუმჯობესების ძალიან მცირე შესაძლებლობა არსებობს (თუ საერთოდ არსებობს). ეს არც ორმხრივ მდგრად ეკონომიკურ თანამშრომლობის მდგრადობას უწყობს ხელს. ქართული ღვინის საშუალო საკონტრაქტო ფასი, სულ 2,2 დოლარია. არსებული ტენდენციების მიხედვით, დაახლოებით 73-75 მილიონი ბოთლი ღვინო გადის ექსპორტზე. აუცილებელია იმის გათვალისწინება, რომ რაოდენობრივ ზრდას თავისი ბუნებრივი ლიმიტები აქვს. დროა დავიწყოთ ფიქრი, რომ ქართულმა ღვინომ შეიცვალოს პოზიცია მსოფლიო ბაზარზე და გადავიდეს უფრო მაღალი დონის სეგმენტში - უფრო მცირე რაოდენობით, მაგრამ უფრო მაღალი ფასით. თუკი ეს ტენდენცია მართლაც განხორციელდება, სამომავლოდ ჩვენი ძირითადი ბაზარი რუსეთი კი აღარ იქნება, არამედ ევროკავშირი, ჩინეთი, აშშ,

იაპონია და სხვა. ეს არ ნიშნავს, რომ ქართულმა ღვინომ უნდა დათმოს უკვე დამკვიდრებული ადგილი მეგობარი ქვეყნების ბაზრებზე, იქნება ეს უკრაინა, ბელარუსი, აზერბაიჯანი, ყაზახეთი და ა.შ., ან თუნდაც არამეგობარი ქვეყნის - რუსეთის ბაზარი. ცხადია ხარისხისა და, შესაბამისად, ფასის ზრდის, ისევე როგორც მიმზიდველ, მაგრამ რისკიან ბაზარზე დამოკიდებულების შემცირების სტრატეგიის ჩამოყალიბებისა და განხორციელების პროცესი ფრთხილად და თანმიმდევრულად უნდა წარიმართოს“. [17]

უკრაინასა და რუსეთს შორის ეკონომიკური თანამშრომლობის პროგრამა შეჩერებულია. რა ზარალი შეიძლება მიიღოს საქართველომ, მსგავსი გადაწყვეტილების შემთხვევაში. როგორც სპეციალისტები აღნიშნავენ, უკრაინისგან განსხვავებით(თუმცა არც ეს არის სარწმუნო) საქართველო რუსეთის წინააღმდეგ ვერ წავა და რადგან ამ ბრძოლაში მხოლოდ თავად დაზარალდება.

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი გიორგი პაპავა თვლის, რომ: „საქართველოს შემთხვევაში სხვადასხვა გზით არის შესაძლებელი რუსეთთან ეკონომიკური თანამშრომლობის გაწყვეტა. ეს შეიძლება იყოს ემბარგოს დაწესება, რუსეთის კონკრეტულ მოქალაქეებზე სანქციების დაწესება ან ფულადი გადარიცხვების შეჩერება. დღევანდელ პირობებში ჯობია სახლემწიფომ სხვა პოლიტიკური ბერკეტები გამოიყენოს კონკრეტული მესიჯების გასაგზავნად. ამ ეტაპზე რუსეთის ბაზარი ქყვენისთვის ძალიან მნიშვნელოვანია“ [18].

გიორგი პაპავას მოსაზრებას იზიარებს, ეკონომიკის დოქტორი ირაკლი მაკალათიაც. მისი თქმით, 2006 წლამდე, ანუ სანამ რუსეთი საქართველოს ემბარგოს დაუწესებდა, ექპორტის 18 % სწორედ რუსეთის ბაზარზე მოდიოდა, შემდგომ კი ეს მაჩვენებლი 2%-მდე შემცირდა. შედეგად ქვეყნის ეკონომიკა მნიშვნელოვნად დაზარალდა. იგი აღნიშნავს: „მაშინ მკვეთრად უარყოფითი შედეგები მივიღეთ. დღეს უკვე ექპორტის თითქმის 16% მოდის რუსეთის ბაზარზე, ანუ ექსპორტი ისევ გაზრდილია. დღევანდელ პირობებში, როცა არ ვაწარმოებთ მაღალი ხარისხის პროდუქციას, რუსეთი საუკეთესო ალტერნატივაა, ამიტომ მასთან ურთერთობის გაწყვეტა არა სწორი იქნებოდა. მეორე საკითხია, რომ ამ პირობებში ისევ დამოკიდებულნი ვხდებით რუსეთზე და ეს შესაძლოა პოლიტიკური მანიპულაციის

საშუალებაც გახდეს. უკრაინას თავს ვერ შევადარებთ. იმ შემთხვევაში რუსეთიც ზარალდება, აქ კი მხოლოდ ჩვენ ვიზარალებთ. ეკონომიკაში უნდა მოხდეს ბაზრის დივერსიფიკაცია იმ მიზნით, რომ ბიზნესებმა ევროპის ბაზრების ათვისება შეძლონ. ამისათვის საჭიროა ადგილობრივი წარმოება გახდეს ბევრად ხარისხიანი, რათა დავაკმაყოფილოთ მაღალი სტანდარტები. ასევე მიმაჩნია, რომ ეკონომიკაში მთავრობა მინიმალურ დონემდეც კი არ უნდა ერეოდეს“ [19].

რუსეთთან ეკონომიკური ურთიერთობის გაწყვეტას კატეგორიულად ეწინააღმდეგება ექპერტი ევროკავშირთან ვაჭრობის საკითხებში თსუ-ის ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის დეკანი პროფესორი გიორგი ღაღანიძეც, რომლის თქმითაც ზარალი დიდი იქნება. იგი აღნიშნავს: „ეს იქნება არა სწორი გადაწყვეტილება. ზოგადად ქვეყნის ეკონომიკური განვითარებისათვის მნიშვნელოვან ამოცანას ბაზრების დივერსიფიკაცია წარმოადგენს, თუმცა კიდევ უფრო ყურადსაღებია სასაქონლო-საექსპორტო პროდუქციის დივერსიფიკაცია, რადგან საქართველოს პრობლემა წორედ აქ აქვს და არა ბაზრებში“ [20].

დღევანდელი მდგომარეობით(2019 წლის ივლისი) რუსეთის სათათბირომ საქართველოსთვის ახალი ეკონომიკური სანქციების დაწესებას მხარი დაუჭირა - 416 მომხრე, არც ერთი წინააღმდეგი. ასე გამოეხმაურა დუმა ტელეკომპანია ,,რუსთავი 2“-ის ჟურნალისტის უხამს მონოლოგს. თუმცა საბოლოო გადაწყვეტილება ვლადიმერ პუტინმა უნდა მიიღოს. უცენზურო მონოლოგის ადრესატმა მოინდომა თავად გადაწყვიტოს, დააკისრებს თუ არა მორიგ სასჯელს საქართველოს. აკრძალვა შეეხება ქართული ღვინისა და მინერალური წყლების იმპორტს რუსეთში და საქართველოს მიმართულებით ფულად გზავნილებებს [21].

ყველასთვის საინტერესოა შეიძლება თუ არა, რომ საქართველო არ იყოს რუსეთის ბაზარზე მნიშვნელოვნად დამოკიდებული? ამასთან დაკავშირებით სპეციალისტების მოსაზრება ერთმანეთს დაემთხვა. მათი თქმით, დღეს მთავარი გამოწვევა სასაქონლო პროდუქტის ხარისხია. რუსეთში შესაძლებელია შედარებით დაბალი ხარისხის პროდუქტის გატანა და ამიტომაც საქართველო აქტიურად პარტნიორობს მასთან. იმისათვის, რომ ადგილობრივმა ბიზნესმა წარმატებას ევროპასა და სხვა ქვეყნებში მიაღწიოს, პირველ რიგში წარმოებული პროდუქტის ხარისხი უნდა გააუმჯობესოს. გიორგი პაპავას მოსაზრებით საქართველოსთვის,

ალბათ, უფრომ ნიშვნელოვანია, რომ ბიზნესს სხვა ბაზრებზე გაეხსნათ გზა და ბუნებრივად მოხდეს რუსეთის ბაზრის ჩანაცვლება. ამისთვის, თანამედროვე სტანდარტების დანერგვა არის აუცილებელი, თუმცა ესეც ეტაპობრივად უნდა მოხდეს. მაგალითად, დღეს თუ ქვეყანაში ისეთი რამ დაინერგება, რაც ადგილობრივ წარმოებას იმპორტირებულთან შედარებით არაკონკურენტულს გახდის, ბუნებრივია არასწორი იქნება. ამიტომ მთავარია პროცესები წარიმართოს თანმიმდევრულად [22].

აღსანიშნავია, რომ 2011 წელს რუსეთთან სავაჭრო ურთიერთობათა აღდგენაზე არავინ არ ფიქრობდა. ,,ჩვენ რუსეთთან არ გვაქვს სავაჭრო ურთიერთობა და ეს მომავალშიც არ არის მოსალოდნელი", – ამბობდა ახალი ეკონომიკური სკოლის ვიცე–პრეზიდენტი გია ჯანდიერი. რაც როგორც ვხედათ არ გამართლდა [23].

მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციაში(WTO) რუსეთის შესვლის საკითხებზე მომუშავე ჯგუფის საბოლოო მასალები 2011 წლის 15–17 დეკემბერს ჟენევის კონფერენციაზე განიხილეს WTO–ს წევრი 153 ქვეყნის წარმომადგენლებმა. რუსეთს, ვაჭრობის მსოფლიო ორგანიზაციაში გაწევრიანების სანაცვლოდ, იმპორტზე საბაჟო გადასახადის დაწევა, სოფლის მეურნეობის მხარდაჭერის ორჯერ შემცირება და ბუნებრივ აირზე შიგა ფასების ლიბერალიზაცია მოუხდა.

ვაჭრობის მსოფლიო ორგანიზაციის ხელმძღვანელის პასკალ ლამის განცხადებით, რუსეთი WTO–ში გაწევრიანების შემდეგ მიიღებს რიგ უფლებებს და აიღებს ვალდებულებებს, რითაც შეძლებს გლობალურ სავაჭრო სისტემაში ღია და არადისკრიმინაციულ ქმედებას. მან განაცხადა, რომ ,,რუსეთი უკვე თანახმაა, საბაჟო ტარიფი დაწიოს რიგ საქონელზე და მომსახურებაზე. ეს პროცესი 8 წლის განმავლობაში გაგრძელდება. საბაჟო ტარიფი ახალ მსუბუქ ავტომანქანებზე 30–დან 25 პროცენტამდე დაიწევს. ხოლო მომდევნო 7 წლის განმავლობაში 15 პროცენტამდე შემცირდება. რუსეთი ვალდებული იქნება, გარდამავალ პერიოდში შეამციროს საშუალო შეწონილი განაკვეთი იმპორტის ტარიფებზე. WTO–ში შესვლის შემდეგ, 2018 წლიდან, რუსეთი ვალდებული იქნება, ორჯერ შეამციროს(9 მილიარდი დოლარიდან 4 მილიარდ დოლარამდე) სოფლის მეურნეობის სუბსიდირება. ასევე რუსეთი თანახმაა, საექსპორტო განაკვეტებზე ბაჟის შეზღუდვა მოახდინოს 700

სახეობის საქონელზე. მათ შორის, თევზის, ტყავის ნაწარმზე, მინერალებზე და ზეთებზე, ცელულოზასა და ფერად ლითონებზე [24].

ცვლილებები შეეხება მომსახურების ბაზარსაც. სადაზღვევო კომპანიები ფილიალების გახსნას ახლ ბაზრებზე რუსეთის WTO–ში შესვლიდან მხოლოდ 9 წლის შემდეგ შეძლებენ, ხოლო ტარიფები სარკინიგზო გადაზიდვებზე 2013 წლის 1 ივლისიდან იგივე გახდება, რაც შიგა გადაზიდვებზეა. WTO–ში გაწევრიანების შემდეგ რუსეთი ვალდებულია, რომ ამ ორგანიზაციის წევრებთან ცივილიზებული სავაჭრო ურთიერთობები დაამყაროს. WTO–ს წესდების თანახმად, რუსეთი იძულებული იყო, საქართველოს ბაზარი გაეხსნა, თუმცა საქართველოს ხელისუფლება ამ თემაზე არ საუბრობდა დარუსეთის ბაზარზე ქართული პროდუქციის დაბრუნების პერსპექტივას არ განიხილავდა.

ახალი ეკონომიკური სკოლის ვიცე–პრეზიდენტ გია ჯანდიერის მოსაზრებით რუსეთის WTO–ში გაწევრიანების შედეგად საქართველო რაიმე ეკონომიკურ სარგებელს არ ელოდება: „ჩვენთვის ეს იყო პოლიტიკური საკითხი, რომ საქართველოს შეძლებოდა თავისი საზღვრების გაკონტროლება იმ ტერიტორიებზე, რომელზეც ჩვენი იურისდიქცია არ ვრცელდებოდა. რაც შეეხება თვითონ ეკონომიკურ სარგებელს, ეს ამ ეტაპზე რთულად დასანახია, რადგან საქართველოს ოფიცილურად არავინ არაფერს დაპირებია. თუმცა მოსალოდნელია, რომ საქართველოს გაუადვილდეს მომავალში სხვადასხვა ღონისძიებების გაადჭრა. ჩვენ რუსეთთან არ გვაქვს სავაჭრო ურთიერთობა და ეს მომავალშიც არ არის მოსალოდნელი. ვთვლი, რომ ეს ამ ეტაპზე არც არის სასურველი. უმჯობესია თავი შევიკავოთ აგრესორთან ამ ურთიერთობების დაწყებისაგან, ვიდრე თვითონ არ გადმოდგამს ნაბიჯებს“ [25].

ბატონი ჯანდიერი შიშობდა, რომ საქართველო რუსეთის ბაზარზე შესვლის შემთხვევაში ისევ მახეში აღმოჩნდება:„ქართულმა მხარემ ბაზრის გახსნის საკითხი არ უნდა დასვას. რუსეთთან სავაჭრო ურთიერთობებში შესვლა არის ფაქტობრივი მახე. არ არის გამორიცხული, რომ ბაზარზე შეგვიშვას, შემდეგ კი ისევ გამოგვაძევოს და ჩვენი მეწარმეები ისევ მძიმე მდგომარეობაში აღმოჩდნენ,“– ამბობდა ჯანდიერი. ამ მოსაზრებას არ იზიარებს პროფესორი ნოდარ ხადური. იგი რუსეთის ბაზრის გახსნაში საფრთხეს ვერ ხედავს ,,მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციის წესების

შესაბამისად, რუსეთს არ ექნება უფლება, რომ ბაზარზე ჩვენი პროდუქცია უსამართლოდ დაბლოკოს. რუსეთს შეუძლია ხარისხის კონტროლი დააწესოს, მაგრამ კრიტერიუმები უნდა იყოს ყველასთვის თანაბარი. თუ ხარისხის სტანდარტია, ყველა ქვეყნისათვის უნდა იყოს ერთნაირი. სხვა შემთხვევაში საქართველოს აქვს იმის შესაძლებლობა, რომ მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციის სასამართლოში იჩივლოს“ [26].

პროფესორი იოსებ არჩვაძე მიიჩნევს, რომ რუსეთის ვაჭრობის მსოფლიო ორგანიზაციაში გაწევრიანება პირდაპირ არ ნიშნავს რუსული ბაზრის გახსნას: „ეს არის სასაქონლო ნაკადებზე მონიტორინგის წარმოება შვეიცარიის მიერ დაქირავებული მონიტორების მიერ. დღეს რომ გახსნას რუსეთმა ბაზარი და ქართული საქონელი შეუშვას, არავითარი ილუზია არ არის იმის თაობაზე, რომ ქართული პროდუქცია იგივე ნიშას დაიკავებს, რაც მას ემბარგოს შემოღებამდე ჰქონდა. წმინდა ადგილი თავისუფალი დიდხანს არ რჩება, ნათქვამია და ჩვენ მოგვიწევს ძალიან დიდი ძალისხმევა რეკლამის, მარკეტინგის მხრივ, ხარისხს რომ თავი დავანებოთ, იმისთვის, რომ რუსი მომხმარებლის კეთილგანწყობა დავიბრუნოთ,“– ამბობს ი. არჩვაძე. ი. არჩვაძის შეფასებით, WTO–ში გაწევრიანების შემდეგ სავაჭრო ბარიერები და პრობლემები მნიშვნელოვნად დაიკლებს.

„2005 წელს რუსეთის ბაზარზე საქართველოდან შევიდა დაახლოებით 40 მილიონ ბოთლზე მეტი ღვინო. ეს არის ოთხი მეხუთედი ჩვენი საერთო ექსპორტისა. მსოფლიო ბაზრების დივერსიფიცირების შემდეგ ეს მაჩვენებელი რამდენიმე წლის შემდეგ შეიძლება გახდეს მიღწევადი. ამიტომ თვით რუსეთის ბაზარზე ქართული ღვინის დაშვების შემთხვევაშიც კი, ექსპორტი თავიდან მოკრძლებული იქნება. თუ ჩვენ გამოვრიცხავთ პოლიტიკურ ფაქტორებს, რუსეთის ბაზარი საინტერესოა არა მარტო ქართული პროდუქციისთვის, არამედ მსოფლიოს ნებისმიერი ბიზნესისთვის, ისევე, როგორც ყველა დიდი ბაზარი“–ამბობდა ი. არჩვაძე [27].

2006 წლის ემბარგოს შემდეგ საქართველომ ბაზრების დივერსიფიცირება მოახდინა, თუმცა მაინც არასაკმარისად, ხოლო 2013 წლიდან ქართული ექსპორტი რუსეთში მნიშვნელოვნად გაიზარდა.

1.3.რუსეთ-საქართველოს სავაჭრო ურთიერთობათა პოლიტიკური წინააღმდეგობები და მათი დაძლევის შესაძლებლობები

ეკონომიკური ურთიერთობების პოლიტიკური რისკები. არსებობს რამდენიმე ფაქტორი, რამაც შეიძლება თბილისსა და მოსკოვს შორის ,,გადატვირთვის პოლიტიკა" საბოლოოდ დაასამაროს. მიუხედავად იმისა რომ საქართველოს ხელისუფლება ცდილობს რუსეთთან მხოლოდ სავაჭრო-ეკონომიკური, კულტურული და ჰუმანიტარული ურთიერთობების აღდგენას, დიპლომატიური ურთიერთობების აღდგენა ამ ორ ქვეყანას შორის უახლოეს მომავალში კვლავ წარმოუდგენელი რჩება, იმდენად რამდენადაც რუსეთს ოკუპირებული აქვს საქართველოს საერთაშორისოდ აღიარებული ტერიტორიის ნაწილი. თბილისს კიდევ ერთი წითელი ხაზი გააჩნია, რომელზეც მოლაპარაკება და რაიმე სახის კონსენსუსის მიღწევა, პრაქტიკულად, შეუძლებელია. ეს არის საგარეო პოლიტიკის დამოუკიდებლად წარმართვისა და ალიანსების არჩევის სუვერენული უფლება. იმავდროულად რუსეთსაც აქვს საკუთარი წითელი ხაზი: რუსმა პოლიტიკოსებმა და მაღალი რანგის ოფიციალურმა პირებმა არაერთგზის განაცხადეს, რომ მოსკოვი არ აპირებს აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის დამოუკიდებლობის აღიარების გაუქმებას. მეტიც, რამდენადაც საქართველოს დასავლური ორიენტაცია უცვლელი რჩება, არსებობს მოლოდინი, რომ რუსეთის ქმედებებს უკრაინაში მნიშვნელოვანი გავლენა ექნება უსაფრთხოების დინამიკაზე რეგიონში და აქ არსებულ კონფლიქტურ ზონებზე, ისევე როგორც ქართულ პოლიტიკურ ლანდშაფტზე. ამასთან, ნათელია, რომ საქართველოსა და რუსეთის ეროვნული ინტერესები და ორი ქვეყნის ხედვა რეგიონის უსაფრთხოების არქიტექტურასთან დაკავშირებით წინააღმდეგობაში მოდის ერთმანეთთან. აქედან გამომდინარე, მიუხედავად იმისა, რომ ქართულ-რუსული დიალოგის ფონზე მკაცრი რიტორიკა შერბილდა, ორმხრივ ურთიერთობებში რადიკალური ცვლილებების მოლოდინი არ არსებობს. შესაბამისად, არ აქვს მნიშვნელობა, თუ რა შედეგით დასრულდება თბილისის დაახლოების მცდელობა მოსკოვთან, რადგან ოქროს შუალედის პოვნა რუსეთთან კონფრონტაციასა და კაპიტულაციას შორის კვლავ რჩება ქართული პოლიტიკის ერთ-ერთ ურთულეს ამოცანად.

2014 წლის 24 ნოემბერს სოჭში რუსეთის მიერ ,,მოკავშირეობისა და სტრატეგიული პარტნიორობის შესახებ" ხელშეკრულების გაფორმება აფხაზეთის დე-ფაქტო რეჟიმთან ისედაც მძიმე საქართველო-რუსეთის ურთიერთობებს, სავარაუდოდ, კიდევ უფრო გაართულებს. აქედან გამომდინარე იზრდება იმის ალბათობა, რომ ამ ფაქტორმა გავლენა მოახდინოს ორ ქვეყანას შორის არსებულ სავაჭრო-ეკონომიკურ ურთიერთობაზე.

2014 წლის სექტემბრის შუა რიცხვებში რუსეთის ფედერაციამ განაცხადა თავისი განზრახვის შესახებ გაეუქმებინა თავისუფალი ვაჭრობის შეთანხმება საქართველოსთან, მის მიერ ევროკავშირთან ასოცირების ხელშეკრულების ხელმოწერის გამო, რომლის განუყოფელი ნაწილიცაა ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი ვაჭრობის შესახებ შეთანხმება. ამ განცხადებას არანაირი ქმედება არ მოჰყოლია. რაღაც მიზეზით, რუსეთის მთავრობამ ჩათვალა, რომ საქართველოსთან სავაჭრო თანამშრომლობის გართულებისათვის შესაფერისი დრო არ იყო, თუმცა ეს სულაც არ ნიშნავს, რომ სამომავლოდ მსგავსი არაფერი მოხდება.[28]

სავსებით ვიზიარებთ მათ შეფასებებს, ვინც ფიქრობს, რომ რუსეთთან თავისუფალი ვაჭრობის რეჟიმის გაუქმება დიდი ტრაგედია არ არის მაშინ, როცა მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციის წესები კვლავაც ძალაშია, თუმცა საყურადღებოა, რომ რუსეთს კანონებთან დაკავშირებული საკითხები დიდად არასდროს ანაღვლებდა. ამავე დროს რუსეთის მთავრობისათვის მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციის მრავალმხრივი ჩარჩო ბევრად უფრო მნიშვნელოვანია, ვიდრე ორმხრივი თავისუფალი ვაჭრობის შესახებ შეთანხმება საქართველოსთან. ევროკავშირ-საქართველოს ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი ვაჭრობის შესახებ შეთანხმება არანაირ საფრთხეს არ უქმნის რუსეთის ფედერაციას. პირიქით, რუსი ინვესტორების მიერ საქართველოში იურიდიულ პირებად დარეგისტრირებულ კომპანიებს შეუძლიათ ისარგებლონ ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი ვაჭრობის შეთანხმების მიერ მინიჭებული პრეფერენციებით ევროკავშირის ბაზარზე ისევე, როგორც ნებისმიერ ინვესტორს ნებისმიერი ქვეყნიდან შეუძლია იმავეს გაკეთება. ეს ასევე ეხება ჩინეთის მიმზიდველ ბაზარსაც, იქიდან გამომდინარე, რომ 2017 წლის 13 მაისს ხელი მოეწერა

საქართველო-ჩინეთს შორის თავისუფალი ვაჭრობის შესახებ ორმხრივ შეთანხმებას, რომელიც, უკვე ძალაში შევიდა. ყველა ეს ფაქტორი ხელს უწყობს საქართველოსთან ვაჭრობის მიმზიდველობას. შესაბამისად, საქართველოსთან თავისუფალი ვაჭრობის შეთანხმების გაუქმების შესახებ რუსეთის სავარაუდო გადაწყვეტილება წმინდა პოლიტიკური ხასიათისაა.[29]

ვმო-ში რუსეთის გაწევრიანების განხილვის პროცესში საერთოდ არ ფიგურირებდა ევრაზიის საბაჟო კავშირი (რუსეთი, ბელარუსი, ყაზახეთი, ყირგიზეთი და სომხეთი). შეთანხმებას ევრაზიის ეკონომიკური კავშირის საბაჟო კოდექსის შესახებ ხელი მოეწერა 2017 წლის 11 აპრილს მოსკოვში [30]

კოდექს აქვს სამი დანართი, როგორც განუყოფელი ნაწილი, რომლებითაც უქმდება ათეულობით საერთაშორისო შეთანხმება და ოქმი, რომლებსაც ხელი მოეწერა კოდექსის ძალაში შესვლის მოლოდინში. წევრ ქვეყნებში მიმდინარე რატიფიკაციის პროცესის მიხედვით, კოდექსი ძალაში შევიდა 2018 წლის დასაწყისში, როგორც გაცხადდა 2017 წლის 11 ოქტომბერს მოსკოვში ჩატარებული ევრაზიის უმაღლესი ეკონომიკური საბჭოს სხდომის დროს. [31]

კოდექსი ძალიან სერიოზული დოკუმენტია, რომელიც შედგება 1169 გვერდისა და ორი დანართისაგან, რომლებიც მთლიანად მოიცავენ საბაჟო საკითხების მთელ სფეროს და არეგულირებენ ხელმომწერი ქვეყნების საბაჟო საქმიანობის ყველა მიმართულებას. ის მოიცავს ევრაზიის ეკონომიკური კომისიაზე მითითებებს, როგორც ინსტიტუტისა, რომელსაც დავალებული აქვს კოდექსის დებულებების აღსრულების მართვა. ევრაზიის ეკონომიკური კავშირის რეგულაციების მიხედვით, კომისია არის ზენაციონალური ინსტიტუტი, რომლის პასუხისმგებლობებიც მოიცავს საერთაშორისო თანამშრომლობის მრავალ სფეროს და რომელიც აღჭურვილია ინსტრუმენტების შთამბეჭდავი მრავალფეროვნებით. კომისიას პასუხისმგებლობის ბევრი სფერო აქვს, მათ შორის მაკროეკონომიკა, კონკურენცია, ენერგეტიკის პოლიტიკა და სხვა. სხვა საკითხებთან ერთად, კომისიის სამუშაო სფეროში შედის ასევე მესამე ქვეყნებთან სავაჭრო რეჟიმების დაწესება. [32]

თუ რუსეთი საბაჟო კავშირის წევრია, მის საგარეო ვაჭრობის რეჟიმს უნდა არეგულირებდეს შესაბამისი ზენაციონალური ინსტიტუტი, რომელიც, ამ

შემთხვევაში, კომისიაა. რუსეთთან, ბელარუსთან, ყაზახეთთან, ყირგიზეთთან და სომხეთთან სავაჭრო რეჟიმების შესახებ საქართველომ მოლაპარაკებები უნდა აწარმოოს კომისიასთან, კერძოდ კი, ბატონ ტიგრან სარქისიანთან, რომელიც საბჭოს თავმჯდომარეა, ან ბატონ მუკაი კადირყულოვთან, რომელიც საბჭოს წევრია (მინისტრი) საბაჟო თანამშრომლობის საკითხებში. [33]

ეს უკვე აღარ არის ორმხრივი ურთიერთობების სფერო. თუკი საქართველოს მხარე მოწვეული იქნება ცალკე მოლაპარაკებების საწარმოებლად, ეს ნიშნავს, რომ რეალურად საბაჟო კავშირი არ არსებობს. რადგან, თეორიულად, ასეთი მიდგომის შესაძლებლობის გათვალისწინებით, სხვადასხვა ქვეყანას შეუძლია დაამყაროს სხვადასხვა სავაჭრო რეჟიმი საქართველოსთან, საკუთარი ინტერესების მიხედვით. მაგალითად, სომხეთი, გასაგები მიზეზების გამო, უფრო დაინტერესებულია საქართველოსთან ვაჭრობის განვითარებით, ვიდრე ზოგ სხვა პარტნიორთან საბაჟო კავშირში.

ფაქტია, რომ საქართველოს საგარეო ვაჭრობისათვის წარმატებაც და გამოწვევაც რუსულ ბაზარზე ექსპორტის შთამბეჭდავი ზრდაა. რუსული ინსტიტუტები სუსტია, ექვემდებარება პოლიტიკურ ზეწოლას და, შესაბამისად, პირდაპირ ატარებს პოლიტიკურად დამუხტულ გადაწყვეტილებებს. ეს ნათლად გამოვლინდა 2006 წლის მარტის რუსული ემბარგოს დროს, მიუხედავად იმისა, რომ არსებობდა თავისუფალი ვაჭრობის შესახებ შეთანხმება, რომელიც რატიფიცირებული იყო როგორც რუსეთის დუმის, ისე საქართველოს პარლამენტის მიერ. აღნიშნული შეთანხმება მოიცავდა დავების გადაწყვეტის მექანიზმებსაც საერთაშორისო პრაქტიკის შესაბამისად. [34] მიუხედავად ამისა, რუსეთის ხელისუფლებამ, ყოველგვარი ყოყმანის გარეშე, ცალმხრივად გამოიყენა პოლიტიკურად მოტივირებული გადაწყვეტილება ემბარგოს შესახებ. საქართველო არ არის ერთადერთი მაგალითი რუსეთის ამგვარი საქციელისა. პოლიტიკური ხელშეკრულებებისა და ეკონომიკური შეთანხმებების დარღვევა რუსული სტრუქტურების ჩვეულებრივი დამოკიდებულებაა ხელმოწერილი და რატიფიცირებული საერთაშორისო დოკუმენტების მიმართ. ამ მხრივ, რუსეთის ფედერაციის ნებისმიერ მეზობელს, ბელარუსიდან დაწყებული და იაპონიით

დამთავრებული, შეუძლია გაიხსენოს მაგალითები თავისი საკუთარი გამოცდილებიდან.

ლეგალური არგუმენტები რუსი სახელმწიფო მოხელეებისთვის ბევრს არაფერს ნიშნავს. თუმცა ამჟამად რუსეთის მიდგომა საქართველოსთან ვაჭრობისადმი უფრო ფრთხილი და სამართლებრივად კორექტულია. ეს მისასალმებელი პროგრესია, ამავე დროს ჩვენი საკუთარი ისტორიული გამოცდილება სათუოს ხდის ამ მიდგომის მდგრადობას.

რუსული ბაზარი ცხადია უაღრესად მიმზიდველია. თუმცა გასათვალისწინებელია, რომ დღევანდელი საქართველოს ეკონომიკისათვის თუ ცვლილებები ინტენსიურად არ წარიმართება ის ამავე დროს არის სახიფათო, არამდგრადი და ქმნის ბევრ, განსაკუთრებით პოლიტიკური ხასიათის, რისკს. რადგანაც ქართული ბიზნესისთვის არსებობს ცთუნება ისევ დაუბრუნდეს დაბალხარისხიანი და ფალსიფიცირებული პროდუქტების წარმოებას რომლებსაც სრულიად თავისუფლად გაყიდის რუსულ ბაზარზე(რასაც მოჰყვა ემბარგოს დაწესება და რაც ისევ შესაძლებელია მრავალჯერ განმეორდეს პოლიტიკური მოტივების გამო).

კიდევ ერთ მნიშნელოვან წინაღობად რჩება საქართველოსა და რუსეთს შორის, 2011 წლის 9 ნოემბერს ხელმოწერილი შეთანხმება „საბაჟო ადმინისტრირებისა და სასაქონლო ვაჭრობის მონიტორინგის მექანიზმთან დაკავშირებული ძირითადი პრინციპების შესახებ“, რომლითაც თბილისმა რუსეთს მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციაში (WTO) გაწევრიანებისკენ გზა გაუხსნა. [35]

შეთანხმების მიხედვით, ჩამოყალიბდა სამი სავაჭრო დერეფანი: ადლერი - ზუგდიდი, ჩრდილოეთ ოსეთის სოფელი ნარი - გორი და ყაზბეგი - ზემო ლარსი. ამ დერეფნებში შემავალი და გამომავალი ტვირთის მონიტორინგი კი ნეიტრალურ, კერძო, შვეიცარიულ კომპანია SGS(Societe Generale de Surveillance) SA-ს დაევალა, რომლის მონიტორები გორთან, ზუგდიდთან, ადლერთან და როკის გვირაბის ჩრდილოეთ მხარეს უნდა განლაგებულიყვნენ. ბოლო ხუთი წლის მანძილზე, რუსეთი, სოხუმთან და ცხინვალთან ერთად კატეგორიულად წინააღმდეგი იყო, რომ

SGS-ის მებაჟეებს ოკუპირებულ ტერიტორიებზე, შემავალ-გამავალი ტვირთები აღერიცხათ, თუმცა 2017 წლის თებერვლის დასაწყისში, როგორც მოსკოვმა, ისე თბილისმა აღნიშნეს, რომ 2011 წლის შეთანხმების განსახორციელებლად „პოზიტიული ძვრები“ შეინიშნება.

ვინ დათმო და რა პირობით განახლდა მოლაპარაკება, რომლითაც რუსეთისა და საქართველოს გარდა, სომხეთიც სისხლხორცეულად არის დაინტერესებული, ამ დრომდე, ბოლომდე ნათელი არ არის. დეპუტატი სერგი კაპანაძე(დეპუტატი ევროპული საქართველო), რომელიც 2011 წელს, ამ შეთანხმებაზე საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილის რანგში მუშაობდა, ამბობს: „ეს შეთანხმება ეხება ყველა ტვირთს, რომელიც შედის ან გადის ამ დერეფნებში. აქ იგულისხმება ისეთი ტვირთები, რომლებიც რუსეთიდან შედის ოკუპირებულ ტერიტორიაზე და იქ რჩება. ან ოკუპირებული ტერიტორიიდან გადის რუსეთში. ანუ ეს შეთანხმება არ მოიცავს მხოლოდ ტრანზიტულ ტვირთებს. თუ ჩვენმა მთავრობამ მოახერხა და ეს დათმო, შვეიცარიელი მონიტორები მხოლოდ ტრანზიტული ტვირთების აღრიცხვის გამო ჩადგებიან იქ, ეს ღალატი იქნება.“

დღეისათვის, სომხური ტრანზიტისთვის, საქართველოს სამხედრო გზის ერთადერთ ალტერნატივად, საბორნე გადასასვლელი ფოთი-კავკაზი რჩება, რომლითაც ტვირთები, შავი ზღვის გავლით, ქერჩის ყურეში და რუსეთის ფედერაციის კრასნოდარის მხარეში ხვდება. ეს საბორნე მარშრუტი 2005 წელს ამოქმედდა, თუმცა სხვადასხვა მიზეზით, მათ შორის, არარენტაბელურობისა და უამინდობის გამო, პერიოდულად ჩერდება ხოლმე. სომხეთიდან ტვირთი ფოთამდე სააქციო საზოგადოება „სამხრეთ კავკასიის რკინიგზას“ ჩააქვს, რომელიც 2008 წელს, ერევანმა, 30 წლის ვადით, კონცესიის წესით, რუსეთის რკინიგზას გადასცა. 2017 წლის თებერვალში, „სამხრეთ კავკასიის რკინიგზის“ მმართველობამ განაცხადა რომ 80%-ით შეამცირა გადაზიდვის ტარიფები, ფოთი-კავკაზის საბორნე მარშრუტის დასატვირთად და ტვირთბრუნვის გასაზრდელად. მიუხედავად ამისა სომხეთის პრემიერ მინისტრმა კარენ კარაპეტიანმა თბილისში პირველი ოფიციალური ვიზიტის შემდეგ აღნიშნა, რომ სომხური ტრანზიტისთვის საქართველოს სამხედრო

გზის ალტერნატივა იპოვნა, თუმცა არ დააკონკრეტა რომელ მარშრუტზეა საუბარი. [36]

ოფიციალური ერევანი უკვე წლებია უკმაყოფილოა, საქართველოს ტერიტორიაზე, სომხეთისა და რუსეთის კუთვნილი სატრანზიტო ტვირთების მუდმივი შეფერხებით. რაც, ხშირად, ჯვრის უღელტეხილსა და დარიალის ხეობაში არსებული რთული მეტეოროლოგიური პირობებით არის განპირობებული.ეს უკმაყოფილება კიდევ უფრო გაძლიერდა 2016 წლის ბოლოს, როცა საქართველოში, სამხედრო გზასთან ერთად, ფოთის ნავსადგურიც ჩაიკეტა და სომხეთი ნაწილობრივ სატრანსპორტო ბლოკადაში მოექცა.ერევანი არ მალავს, რომ საქართველოს სამხედრო გზისა და საქართველო-რუსეთის საზღვარზე მდებარე, ზემო ლარსის საკონტროლო-გამშვები პუნქტის ალტერნატივად, რუსეთის მიერ ოკუპირებულ, აფხაზეთსა და ცხინვალის რეგიონში მდებარე საგზაო-სარკინიგზო ინფრასტრუტურას განიხილავს. 2016 წლის ზაფხულში, თბილისმა ერთხელ უკვე უარყო წინადადება სომხურ-რუსული ტვირთებისთვის, საერთაშორისო მნიშვნელობის საავტომობილო მაგისტრალი ს10-ი, გორი-ცხინვალი-გუფთა-ჯავა-როკის გვირაბი გაეხსნა. რა დაპირება მიიღო სომხეთის პრემიერმა თბილისში, ჯერჯერობით, ბოლომდე ნათელი არ არის. მმართველი პარტიის დეპუტატი დიმიტრი ცქიტიშვილი(,,ქართული ოცნება“, პარლამენტის საგარეო ურთიერთობათა კომიტეტის წევრი), რომელიც წარსულში, საგარეო საქმეთა სამინისტროს რუსეთის დეპარტამენტში მუშაობდა, ამბობს რომ ოკუპირებულ ტერიტორიებზე საერთაშორისო სატრანზიტო ტვირთების გადატანის შესაძლებლობა არ განიხილება:

„ჩვენი მხრიდან ეს თემა დღის წესრიგში არ დგას, ეს ჩვენს ინტერესებში არ შედის და ამ ეტაპზე, ამ საკითხს არ განვიხილავთ. ეს არის პირდაპირ კავშირში კონფლიქტის მოგვარებასთან, დეოკუპაციასთან, იმ რეგიონების საქართველოს დანარჩენ ტერიტორიებთან საერთო-ეკონომიკურ ინტეგრაციასთან. ბუნებრივია, თუ ეს ნაბიჯები არ გადაიდგმება, რკინიგზის და გზების გახსნა არ არის მიზანშეწონილი.“[37]

2008 წლის 23 ოქტომბერს მიღებული, საქართველოს კანონით „ოკუპირებული ტერიტორიების შესახებ“, აფხაზეთსა და ცხინვალის რეგიონში, „ნებისმიერი ეკონომიკური საქმიანობა“, მათ შორის, „სარკინიგზო მიმოსვლა და საერთაშორისო საგზაო სატრანსპორტო გადაზიდვა“ აკრძალულია. შესაბამისად, ექსპერტების აზრით, ამ მიმართულებით, ნებისმიერ მოლაპარაკებას, ოკუპაციის კანონის „შერბილება“ ან გაუქმება უნდა უძღოდეს.[38]

რუსეთის მიერ აფხაზეთთან და სამხრეთ ოსეთთან გაფორმებული ხელშეკრულებების ფონზე, მისთვის, როგორც ხელშეკრულების ხელმომწერის მხარისთვის, რეალობა შეცვლილია და ის არ ემთხვევა 2011 წელს არსებულ მდგომარეობას, როდესაც ფედერაციას ჯერ კიდევ არ ჰქონდა თანამშრომლობისა და ინტეგრაციის დოკუმენტები ხელმოწერილი დე-ფაქტო ადმინისტრაციებთან, რაც რუსულ-სამხრეთ ოსურ, ასევე რუსულ-აფხაზურ ერთიან საბაჟო და ძალოვანი უწყებების ჩამოყალიბებას ითვალისწინებს. საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროში აცხადებენ, რომ ეს ფაქტორი 2011 წელს რუსეთ-საქართველოს შორის გაფორმებულ ხელშეკრულებაზე არ იმოქმედებს და პროცესები დაიძვრება. სამწლიანი ვადის გასვლის შემთხვევაში კი ხელშეკრულება ვადის ავტომატურად გაგრძელებას ითვალისწინებს.[39]

რუსეთის ფედერაცია აგრეთვე გეგმავს ერთპიროვნულად შეცვალოს სავაჭრო რეჟიმი საქართველოსთან, თავისუფალი სავაჭრო რეჟიმიდან ვაჭრობის უპირატესი ხელშეწყობის რეჟიმზე 1994 წელს დადებული და რუსეთის მიერ ცალმხრივად შეწყვეტილი ორმხრივი სავაჭრო ხელშეკრულების აღდგენა მოხდა 2013 წელს რუსეთის ფედერაციასთან ურთიერთობების დარეგულირების შემდეგ, როდესაც ღვინოზე, მინერალურ წყლებსა და სასოფლო- სამეურნეო პროდუქტებზე ემბარგო მოიხსნა.

თავისუფალი სავაჭრო რეჟიმიდან ვაჭრობის უპირატესი ხელშეწყობის რეჟიმზე გადასვლის შემთხვევაში შესაძლო ზარალის გამოკვლევა და გაანგარიშება განახორციელა გერმანიის ეკონომიკური გუნდის(ბერლინი/თბილისი, საქართველო) წევრმა ვოლდემარ ვალტერმა 2014 წელს. მიმდინარე მიმოხილვაში წარმოდგენილია

სავაჭრო რეჟიმის ცვლილებით გამოწვეული ეკონომიკური ზეგავლენის შეფასება (მოკლევადიანი ეფექტი) როგორც საქართველოს ექსპორტზე რუსეთში, ასევე მთლიანად საქართველოს ეკონომიკაზე.

ტარიფების ზრდა ძირითად ეკონომიკურ სექტორებში. რუსეთი აპირებს საქართველოსთან 1994 წელს დადებული ორმხრივი სავაჭრო ხელშეკრულების გაუქმებას და ამის ნაცვლად იმპორტზე საქართველოსთვის უპირატესი ხელშეწყობის ქვეყნების სტატუსის მინიჭებას თუ თავისუფალი ვაჭრობის ხელშეკრულების მოქმედება შეჩერდება, საშუალო ტარიფი უპირატესი ხელშეწყობის ქვეყნების რეჟიმისთვის იქნება დაახლოებით 10%, რაც თავისუფალი ვაჭრობის ხელშეკრულების ქვეშ შეადგენდა 0%-ს ამჟამად ტარიფები ძირითადად მერყეობს 5%-დან 20%-მდე ექსპორტზე ტარიფის ყველაზე დიდი ზრდა სასაქონლო პროდუქტებზე (ღვინო 20%, მინერალური წყალი 15% და სპირტი 38%*) ფიქსირდება კითხვები: რა ახდენს რუსეთში საქართველოს ექსპორტზე გავლენას? როგორია მთლიანი გავლენა ექსპორტსა და მშპ-ზე?

საკვები პროდუქტები მოიცავს საერთო დანაკარგების 2/3-ზე მეტს, ღვინოსა და წყალს აქვს ყველაზე დიდი დანაკარგები (-20 მლნ აშშ დოლარი და -10მლნ აშშ დოლარი შესაბამისად). დანაკარგები შეადგენს მთლიანი ღვინის ექსპორტის 11%-ს და მთლიანი წყლის ექსპორტის 6%-ს. სპირტის ექსპორტი რუსეთში თითქმის განახევრდება მაღალი ტარიფების გამო (- 5 მლნ აშშ დოლარი, მთლიანი სპირტის ექსპორტის 5%) ასევე შედარებით დიდია ეფექტი ტრანსპორტირების საშუალებებზე (ძირითადად მსუბუქ ავტომობილებზე), მინუს 9 მლნ აშშ დოლარი (აღნიშნულ კატეგორიაში მთლიანი ექსპორტის 1%)

მთლიანი ზეგავლენა ექსპორტსა და მშპ-ზე. რა არის სავაჭრო შოკის მოცულობა? შეფასების შედეგად ტარიფის ზრდამ უნდა შეამციროს წლიური ექსპორტის მოცულობა 48 მლნ აშშ დოლარით 2013/2014 წლების მონაცემებთან შედარებით რუსეთში ექსპორტი მცირდება 17%-ით ამის შედეგად, საქართველოს მთლიანი ექსპორტის შემცირდება 1.5%-ით. ექსპორტის შემცირება გამოიწვევს მშპ-ს 0.3%-ით შემცირებას (2013). [40]

როგორც ვხედავთ რუსეთ-საქართველოს ეკონომიკურ ურთიერთობებში წინააღმდეგობები და კონფლიქტური სიტუაციები გაცილებით მეტია ვიდრე ინტერესთა თანხვედრის შესაძლებლობები. ამდენად თუ რომელიმე პოლიტიკურ ძალას შესწევს უნარი აღნიშნულ შესაძლებლობათა გაფართოებისა ცხადია მას ყოველთვის ფიანდაზს დაუგებენ საქართველოს პოლიტიკის ,,თეატრში". რადგანაც ქართული ბიზნესი და საზოგადოებაც არასდროს შეეგუება და დათანხმდება რუსული იაფფასიანი და ფალსიფიცირებული პროდუქტების მიმღები(დროებით მაინც) ბაზრის დაკარგვას.

II თავი. რუსეთის პირდაპირი უცხოური ინვესტიციები საქართველოში

2.1. რუსეთის კაპიტალის შემოსვლა საქართველოში პოლიტიკური დაძაბულობის პირობებში

რუსეთის ფედერაცია ერთადერთი სახელმწიფოა, რომელთანაც ქვეყანას მუდმივი კონფლიქტი აქვს და ურთიერთობის მოგვარება საქართველოს ვერც ერთმა ხელისუფლებამ ვერ მოახერხა. 2003 წელს ვარდების რევოლუციით მოსული ხელისუფლების პირობებში უფრო მეტად გამოიკვეთა ქვეყნის საგარეო კურსი. როგორც პრეზიდენტი, ისე მთავრობა საკუთარ განცხადებებში მუდმივად ხაზს უსვამდა დასავლეთთან თანამშრომლობის მნიშვნელობას და აქტიურად მუშაობდა საქართველოს ევროატლანტიკურ ინტეგრაციაზე. 2004 წლის 17 დეკემბერს საქართველოს მთავრობაში შეიქმნა ევროპულ და ევროატლანტიკურ სტრუქტურებში ინტეგრაციის საკითხებში სახელმწიფო მინისტრის აპარატი, რომლის მთავარი მიზანი იყო სწორედ ნატოსა და ევროკავშირთან საქართველოს თანამშრომლობის გაღრმავება. 2008 წელს ცხინვალის რეგიონში სამხედრო კონფლიქტს მოჰყვა რუსეთის მიერ აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის დამოუკიდებლობის აღიარება. საქართველომ კი აფხაზეთსა და სამხრეთ ოსეთს ოფიციალურად უწოდა ”რუსეთის ფედერაციის მიერ ოკუპირებული ტერიტორები“. საქართველომ შესაბამისი კანონმდებლობაც მიიღო, რომლის მიხედვითაც აღნიშნულ ტერიტორიებზე ეკონომიკური საქმიანობა უნდა განხორციელდეს საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად, მისი დარღვევის შემთხვევაში გავრცელდება სანქციები როგორც უშუალოდ იმ კომპანიებზე, ვინც ამგვარ საქმიანობას ეწევა, ისე იმ პირებზე, რომლებიც პირადაპირ ან არაპირდაპირ ფლობენ კაპიტალს ამ კომპანიაში ან რაიმე ფორმით გავლენას ახდენენ მათ მიერ გადაწყვეტილების მიღებაზე. ომამდე რამდენიმე თვით ადრე **გაუქმდა სტრატეგიული ობიექტების ცნება** და განსაკუთრებული მნიშვნელობის ქონების სტატუსი მხოლოდ 5 ობიექტს მიენიჭა. დანარჩენი კი პრივატიზაციას დაექვემდებარა.

აღსანიშნავია რომ, იმ ფონზე, როდესაც საქართველოში პრობლემები ექმნებათ სხვადასხვა ქვეყნების მოქალაქეობის მქონე ბიზნესმენებს, შეუფერხებლად საქმიანობენ ის რუსული კომპანიები, რომლებსაც ამერიკის შეერთებულმა შტატებმა და ევროკავშირმა სანქციები დაუწესა - მათ შორისაა "ლუკოილი", "ვითიბი ბანკი" და "როსნეფტი", რომელიც ოფშორული კომპანიების საშუალებით ფლობს ფოთის ნავთობტერმინალებს და ბენზინგასამართი სადგურების ქსელს. უკრაინაში ყირიმის ნახევარკუნძულის ოკუპაციის პროცესის დაწყებიდან მალევე, 2014 წლის 6 მარტს, ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტმა ბარაკ ობამამ მიიღო გადაწყვეტილება, რომლის მიხედვითაც, აშშ-ს მიეცა უფლება, გაეყინა საბანკო ანგარიშები, ასევე, გამოეყენებინა სამგზავრო აკრძალვები იმ პირების მიმართ, რომლებიც მონაწილეობდნენ ყირიმის უკრაინიდან გამოყოფაში. აღნიშნული გადაწყვეტილებიდან მალევე, ევროკავშირმა და კანადამ რუსეთის ფედერაციას, კონკრეტულად კი რუს პოლიტიკოსებსა და რუსეთის ხელისუფლებასთან დაკავშირებულ კომპანიებს პირველი სანქციები 2014 წლის 17 მარტს დაუწესა. ეს გადაწყვეტილება რუსეთის მიერ უკრაინის ტერიტორიის, ყირიმის ნახევარკუნძულის ოკუპაციისა და 16 მარტს ყირიმში ჩატარებული რეფერენდუმის შედეგების გამოცხადების შემდეგ მიიღეს. ევროკავშირმა თავის ტერიტორიაზე შესვლა აუკრძალა და აქტივები გაუყინა რუსეთისა და ყირიმის 21 თანამდებობის პირს, მათ შორის დუმის რამდენიმე დეპუტატს.[41]

აშშ-ს სახაზინო დეპარტამენტმა კი გარდა რუსი დეპუტატებისთვის შეზღუდვების დაწესებისა, სანქცია დაუწესა კომპანიებს, რომლებიც პირდაპირ არიან დაკავშირებული რუსეთის ხელისუფლებასთან. რუსეთის მიმართ საქნციები ამით არ ამოწურულა. უკრაინაში განვითარებული მოვლენების გამო რუსეთს შეზღუდვები დაუწესეს ევროკავშირის არაწევრმა სახელმწიფოებმაც, მათ შორის ნორვეგიამ, შვეიცარიამ, უკრაინამ, მოლდავამ, ავსტრალიამ და იაპონიამ. სანქციები რუსეთის წინააღმდეგ 2014 წლის განმავლობაში რამდენიმეჯერ გააფართოვეს ევროკავშირმა და აშშ-მ, მიზეზი კი უკრაინის აღმოსავლეთში რუსეთის მიერ უკრაინელი ამბოხებულების მხარდაჭერა და კონფლიქტის ესკალაცია გახდა. ყველაზე ფართომასშტაბიანი სანქციების შესახებ აშშ-მ და ევროკავშირმა 2014 წლის სექტემბერში გამოაცხადეს. სანქციების მიხედვით, ამერიკულ და ევროპულ

კომპანიებს აეკრძალათ სანქცირებულ რუსულ კომპანიებთან თანამშრომლობა, მათთვის ნავთობის მომპოვებელი და ნავთობსაბადოების საკვლევი ტექნოლოგიების მიწოდება, ასევე, გრძელვადიანი სესხების მიცემა და ა.შ. სანქციები, ძირითადად, შეეხო ენერგეტიკის, ნავთობისა და საბანკო სექტორებს. სანქცირებულთა შორის აღმოჩნდნენ რუსეთის უმსხვილესი ბანკები, მათ შორის VTB ბანკი, აგრეთვე, უმსხვილესი ნავთობკომპანია ,,როსნეფტი" და ,,ლუკოილი". მიუხედავად იმისა, რომ საქართველოს ჰქონდა საერთაშორისო სანქციებისთვის მიერთების პრაქტიკა, რუსეთის შემთხვევაში აღნიშნული გადაწყვეტილება ხელისუფლებამ ვერ მიიღო.

რუსული კაპიტალის შემოსვლა საქართველოში აფხაზეთსა და სამხრეთ ოსეთში მის მიერვე დაგეგმილი კონფლიქტების შემდგომ განხორციელდა. საქართველოს დამოუკიდებლობისა და სახელმწიფოებრიობის აღდგენის შემდგომი პერიოდი დღემდე შესაძლებელია ორ პერიოდად დავყოთ მათ შორის: საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენიდან 2008 წლის რუსეთ-საქართველოს შეიარაღებულ კონფლიქტამდე(ომამდე) და 2008 წლის შემდგომ დღემდე. საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის მონაცემებით რუსეთი პირდაპირი უცხოური ინვესტიციების მიხედვით: 2014 წელს მე-6, 2015-მე-7, 2016-მე-8, 2017-მე-7 და 2018-მე-8 ადგილზე იმყოფება. [42]

ენერგეტიკა

პირველი რუსული კომპანია რომელიც საქართველოში შემოვიდა იყო ,,ინტერ რაო". იგი საქართველოს ენერგეტიკის სფეროში ბაზრის მნიშვნელოვან წილს ფლობს მისი მთავარი აქციონერები რუსული სახელმწიფო კომპანიები არიან.[43]

საქართველოში „ინტერ რაოს" ეკუთვნის ენერგეტიკის გამანაწილებელი კომპანია სს „თელასი", თბოსადგური შპს „მტკვარი ენერგეტიკა" და მსხვილი ჰიდროელექტროსადგურები - „ხრამჰესი 1" და „ხრამჰესი 2".

1998 წელს კორპორაცია AES-მა შეიძინა სააქციო საზოგადოება „თელასის" აქციათა 75%. 2003 წელს კი AES-ის მფლობელის, "Silk Road Holdings B.V."-ის აქციათა 100% იყიდა ფინურმა კომპანიამ – სს RAO Nordic Oy, რომლის ერთადერთი აქციონერია რსს „ინტერ რაო". 2015 წლის მონაცემებით, „ინტერ რაო"-ს

საკუთრებაშია „თელასის“ აქციათა 75%, დაახლოებით 25%-ს კი ქართული სახელმწიფო ფლობს.

,,ინტერ რაოს” ეკუთვნის თბოსადგური შპს „მტკვარი ენერგეტიკაც“. ამ კომპანიის ძირითადი საქმიანობა ელექტროენერგიის წარმოება და მისი რეალიზაციაა. ელექტროენერგიის წარმოება ხორციელდება შპს „მტკვარი ენერგეტიკას” კუთვნილი თბოელექტროსადგურის საშუალებით, რომელიც მდებარეობს ქ. გარდაბნის მიმდებარე ტერიტორიაზე. იგი შედგება ორი ენერგობლოკისაგან (მე-9 და მე-10), თითოეული 300 მგვტ დადგმული სიმძლავრით. თბოელექტროსადგურის ინფრასტრუქტურის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ნაწილია ქ. რუსთავის მიმდებარე ტერიტორიაზე არსებული სათავე ნაგებობა - კაშხალი და მისგან გამომავალი მიწისქვეშა გვირაბებისა და ღია არხების სისტემა. პირველი და მეორე ენერგობლოკები (ძველი დასახელება - თბილსრესის მე-9 და მე-10 ენერგობლოკები) ენერგოჰოლდინგმა ,,ინტერ რაო" 2003 წლის ოქტომბერში სხვა აქტივებთან ერთად შეიძინა და მისი აქციების 100%-ის მფლობელი გახდა.

როგორც „მტკვარი ენერგეტიკის“, ასევე ჰიდროელექტრო სადგურების, „ხრამჰესი 1“-ის, „ხრამჰესი 2“-ის მფლობელია ოფშორულ ზონაში რეგისტრიებული კომპანია ,,გარდაბანი ჰოლდინგზ ბი.ვი."„ხრამჰესი 1“ არის მაღალმთიანი ელექტროსადგური, რომელიც მდებარეობს საქართველოს სამხრეთ–დასავლეთ ნაწილში, წალკის რაიონში, იგი შედგება 3 ჰიდროაგრეგატისგან, თითოეული 37,6 მგვტ დადგმული სიმძლავრით. ჰიდროელექტროსადგურის ინფრასტრუქტურის ერთ-ერთ მნიშვნელოვან ნაწილს წარმოადგენს ქ. წალკაში მდებარე წლიური რეგულირების წყალსაცავი და მისგან გამომავალი მიწისქვეშა და მიწისზედა მილსადენები. „ხრამჰესი 1“-ის წმინდა მოგება 2013 წელს 2 347 000 ლარი იყო. „ხრამჰესი 2“ მდებარეობს საქართველოს სამხრეთ–დასავლეთის ნაწილში, მდინარე ხრამის 115 კმ–ზე. სს „ხრამჰესი 2“ მუშაობს სადღეღამისო რეგულირების რეჟიმში. ძირითადად იყენებს „ხრამჰესი 1“–ს მიერ გამომუშავებულ წყალს. 2013 წელს „ხრამჰესი 2“-ის წმინდა მოგება 1 594 000 ლარს შეადგენს. საქართველოს მთავრობამ „ხრამჰესის“ გადაცემის შესახებ „ინტერ რაოსთან“ მემორანდუმი 2011 წლის 1 აპრილს გააფორმა. ,,აღნიშნულ მემორანდუმში ახალი არაფერია, რადგან ,,ხრამი 1" - სა და ,,ხრამი 2"-ში

,,ინტერ რაო" მართვის უფლებით 2000 წელს დადებული ხელშეკრულების საფუძველზე იყო შესული. ეს ხელშეკრულება კი 25 წლიანია და მას ვადა 2024 წლის ბოლოს ეწურებოდა". 2011 წელს გაფორმებული ახალი მემორანდუმით, ,,ინტერ რაო" ხრამზე სამი ახალი ჰიდროელექტროსადგურის მშენებლობის ვალდებულებას იღებდა, რისთვისაც 193 მილიონი დოლარის ინვესტირება უნდა განეხორციელებინა. ამ პროექტით ახალი ჰესებით 85100 მეგავატი ენერგიის გამომუშავება იყო დაგეგმილი. IDFI-მ გამოიკვლია, რომ "ხრამჰესის" გაყიდვიდან მიღებული თანხა (99 774 000 ლარი) ქუთაისში პარლამენტის ახალი შენობის აშენებას მოხმარდა.[44]

აღსანიშნავია, რომ „მტკვარი ენრგეტიკის", „ხრამჰესი 1"-სა, „ხრამჰესი 2"-ს დირექტორის, დევი კანდელაკის კომპანია ,,მცირე ენერჯი" ფლობს მაშავერაჰესს (0.8 მგვტ სიმძლავრის) და აჭიჰესსაც (1 მგვტ სიმძლავრის). ,,მცირე ენერჯი" არის ერთპიროვნული მფლობელი შპს ,,პრაიმ ენერჯისა", რომელიც თავის მხრივ 1.65 მგვტ სიმძლავრის ინწობა ჰესს განაგებს.

ნავთობი

საქართველოში რამდენიმე ათეული ნავთობკომპანია საქმიანობს, თუმცა, ბაზრის უდიდესი ნაწილი 5 უმსხვილეს კომპანიას უკავია, რომლებსაც აქვთ ბენზინგასამართი სადგურების საკუთარი ქსელი. მათ შორის არის „ლუკოილ ჯორჯია".

ლუკოილ ჯორჯია. კომპანია „ლუკოილ ჯორჯია" საქართველოში ამ სახელით 2002 წლიდან ფუნქციონირებს. „ლუკოილ ჯორჯიას" საწვავი საქართველოში ბულგარეთიდან შემოაქვს და ის ერთ-ერთი მსხვილი ნავთობიმპორტიორი კომპანიაა - საქართველოში ფლობს 62 ბენზინგასამართ სადგურს. "ლუკოილ ჯორჯია" რუსული სააქციო საზოგადოება ,,ლუკოილის" შვილობილი კომპანიაა. ,,ლუკოილი" მსოფლიოში ერთ-ერთი ყველაზე მსხვილი, ნავთობისა და გაზის კომპანიაა, რომელიც დადასტურებული ნავთობის მარაგების მიხედვით მსოფლიოში მეორე ადგილზეა, ხოლო ნავთობპროდუქტების წარმოების მიხედვით მე-6 ადგილს იკავებს. ,,ლუკოილის" ნავთობმომპოვებელი ჭაბურღილები, გადამამუშავებელი ქარხნები და ბენზინგასამართი სადგურები განთავსებულია

რუსეთში, ასევე აღმოსავლეთ ევროპის, ამერიკის, აზიისა და დასავლეთ ევროპის ქვეყნებში. "ლუკოილ ჯორჯიას" 100%-იანი წილის მფლობელია ნიდერლანდებში, 1998 წელს რეგისტრირებული კომპანია ,,ლუკოილ ევროპა ჰოლდინგს ბი.ვი". კომპანიის დირექტორია საქართველოს მოქალაქე ზაზა ქათამაძე.

პეტროკას ენერჯი ლიმიტედი. „პეტროკას ენერჯი ლიმიტედი" საქართველოში მოქმედი ერთ-ერთი უმსხვილესი ნავთობკომპანიაა, რომელიც ახორციელებს საწვავის ექსპორტს ევროპიდან და აწვდის საქართველოში მოქმედ ბენზინგასამართი სადგურების სხვა ქსელს. კომპანიის წარმომადგენლთა თქმით, ,,პეტროკას ენერჯი ლიმიტედი" საქართველოში ფლობს ფოთის ნავთობტერმინალებს, ბენზინგასამართი სადგურების ქსელს, თუმცა, აღნიშნული მფლობელობა საქართველოს საჯარო რეესტრში არ არის რეგისტრირებული. გარიგებები ოფშორულ ზონებში რეგისტრირებული კომპანიების საშუალებით ხორციელდება. კომპანიის წარმომადგენლების საჯარო განცხადებების მიხედვით, ,,პეტროკას ენერჯი ლიმიტედის" ძირითადი მეწილე რუსეთში მოღვაწე ქართული წარმოშობის ბიზნესმენი დავით იაკობაშვილია, რომელიც ამჟამად შვეიცარიის მოქალაქეა. რუსულმა „ფორბსმა" დავით იაკობაშვილს რუსეთის ყველაზე მდიდარ ბიზნესმენთა შორის 2014 წელს 91-ე ადგილი მიანიჭა და მისი ქონება 1.2 მილიარდ აშშ დოლარად შეაფასა.[45]

სასარგებლო წიაღისეული

მადნეული

RMG Gold და RMG Copper. RMG Gold და RMG Copper ძვირფასი ლითონების მომპოვებელი კომპანიები არიან, რომელთა ერთადერთი მფლობელი ოფშორულ ზონაში, ნიდერლანდებში რეგისტრირებული Rich Metals Group-ია. მისი მფლობელები კი რუსი მილიარდერები, დმიტრი ტროიცკი და დმიტრი კორჟიევები არიან. საქართველოში ოქროს ერთადერთ საბადოზე მომუშავე კომპანიებს, „რიჩ მეტალს გრუპამდე" სხვა მფლობელები ჰყავდათ, მათი ისტორია კი 1990-იან წლებში იწყება. 1994 წელს საქართველოს სახელმწიფოსა და ავსტრალიური კომპანია „კროპვუდ ლიმიტედის" თანაბარი წილობრივი მონაწილეობით დაფუძნდა შპს „კვარციტი" (ამჟამინდელი RMG Gold). სახელმწიფო წილის მფლობელი სააქციო

საზოგადოება „მადნეული“ (ამჟამინდელი RMG Copper)იყო. შპს „კვარციტმა“ 1997 წელს პირველი ოქრო ჩამოასხა. 2003 წელს ხელისუფლების „ვარდების რევოლუციით“ შეცვლიდან დაახლოებით სამ კვირაში, ბოლნისში ძვირფასი მადნის მომპოვებელ ყველა კომპანიაში, მათ შორის „კვარციტში“, „მადნეულსა“ და მათთან დაკავშირებულ სხვა კომპანიებში პროკურატურა შევიდა. 2003 წლის 15 დეკემბერს აღნიშნული კომპანიებიდან საფინანსო დოკუმენტაცია მოსამართლის ბრძანებით ამოიღეს, რადგან დაიწყო სისხლის სამართლის საქმის გამოძიება ყალბი ანგარიშფაქტურების დამზადების ფაქტზე. ამის შემდეგ მალევე, ,,კვარციტში” ავსტრალიური კომპანიის სრულუფლებიან წარმომადგენლად დაინიშნა იმდროინდელი მმართველი გუნდისა და პარლამენტის თავმჯდომარის მოადგილის, მიხეილ მაჭავარიანის ძმა ივანე მაჭავარიანი. 2004 წლის ნოემბერში ,,კვარციტისა” და ,,მადნეულის” გენერალურ დირექტორად, ასევე, ორივე კომპანიის სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარედ დაინიშნა რუსეთში მოღვაწე ბიზნესმენი კობა ნაყოფია, რომელიც მოგვიანებით, 2008-2012 წლებში საქართველოს პარლამენტის წევრი გახდა, იგი იყო მმართველი გუნდის, ფრაქცია „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის” წევრი. კობა ნაყოფია ჟურნალ ,,ლიბერალთან” საუბარში იხსენებს, რომ 2004 წელს ის რუსეთში, რუსი მილიარდერის, სერგეი გენერალოვის კომპანია ,,პრომიშლენიე ინვესტორში” მუშაობდა, როცა მას საქართველოს ეკონომიკის სამინისტროდან, იმდროინდელი მინიტრის, კახა ბენდუქიძის სახელით დაურეკეს და საქართველოში ჩამოსვლა შესთავაზეს. როგორც ნაყოფია იხსენებს, ბენდუქიძემ მას ასარჩევად ,,ჭიათურმანგანუმის”, ანუ ,,მადნეულის” დირექტორობა შესთავაზა. საქართველოს ხელისუფლებამ კობა ნაყოფიას ძვირფასი ლითონების მომპოვებელი სახელმწიფო საწარმოების პრივატიზებისთვის მომზადება დაავალა, რომლებიც 33 მილიონ აშშ დოლარად შეიძინა ნაყოფიას ყოფილი პარტნიორის, სერგეი გენერალოვის ჰოლდინგის, ,,პრომიშლენიე ინვესტორის” შვილობილმა კომპანიამ ,,გეოპრომაინინგმა”(Stanton Equities Corporation). დაახლოებით ოფიციალურად, “გეოპრომაინინგი” ვირჯინიის კუნძულებზეა რეგისტრირებული, თუმცა, “კვარციტისა” და “მადნეულის” რეალური მფლობელი რომ ,,პრომიშლენიე ინვესტორი” იყო, ამას კომპანიის ვებგვერდზე დღემდე განთავსებული ინფორმაციაც ადასტურებს.“გეოპრომაინინგმა” 2012 წლის 14 ივნისს განაცხადა, რომ 33 მილიონ

აშშ დოლარად ნაყიდი სს “მადნეული” და “შპს კვარციტი” 120 მილიონ აშშ დოლარად “რიჩ მეტალს გრუპს” მიყიდა. კომპანიამ აღნიშნული გადაწყვეტილების მიზეზად ხელისუფლების მიერ ლიცენზიების სხვა კომპანიისთვის მიყიდვა დაასახელა. გარდა ამისა, “გეოპრომაინინგმა” განაცხადა, რომ მისი პრიორიტეტი სომხეთსა და რუსეთში არსებულ ოქროს საბადოებია. სს “მადნეულის” და შპს “კვარციტის” ერთადერთი მფლობელი ოფშორულ ზონაში, ნიდერლანდებში რეგისტრირებული “რიჩ მეტალს გრუპი” (Rich Metals Group) გახდა. აღნიშნული კომპანიის რეალური მფლობელები ასევე რუსი ბიზნესმენები, დმიტრი ტროიცკი და დმიტრი კორჟიევები არიან. გარიგების შემდეგ შპს “კვარციტს” დაერქვა “არ ემ ჯი გოლდი” (RMG Gold), სს “მადნეულს” კი RMG Copper [46], [47].

მინერალური წყლები

ბორჯომი შპს „აიდიეს ბორჯომი საქართველო“ აწარმოებს მინერალურ წყლებს - ბორჯომი, ლიკანი, ასევე სასმელ წყალს - ბორჯომის წყაროები, ბაკურიანი. ბორჯომის მოპოვების ლიცენზიას სწორედ ის ფლობს. მის საკუთრებაშია ჩამომსხმელი ქარხანა N1; ჩამომსხმელი ქარხანა N3. ,,აიდიეს ბორჯომი საქართველო“ ყოფილი „საქართველოს მინისა და მინერალური წყლების კომპანიაა“. 2004 წელს ქართული კომპანიის ბაზაზე საერთაშორისო კომპანია „IDS Borjomi International“- ი შეიქმნა. შემოიერთა უკრაინული შპს „სამრეწველო–სადისტრიბუცო სისტემა“ და მორშინის მინერალური წყლების ქარხანა. მოგვიანებით, ამ გაერთიანებაში შევიდა რუსული მინერალური წყლების მწარმოებელი კომპანია „ედელვეის ელ“. თავად ,,აიდიეს ბორჯომი საქართველოს” დირექტორი ზაზა კიკვაძეა, ოფიციალური მესაკუთრე არის ოფშორულ ზონაში რეგისტრირებული ,,აიდიეს ბორჯომი ბევერიჯიზ კომპანი”. მისი დირექტორი კი რუსეთის მოქალაქე ვლადიმირ აშუროვია. აშუროვი ხელმძღვანელობს IDS Borjomi International-საც. საერთაშორისო კომპანია IDS Borjomi International დააფუძნა ბიზნესმენ ბადრი პატარკაციშვილის, აგრეთვე რუსი ბიზნესმენების, ბორის აბრამოვიჩისა და ბორის ბერეზოვსკის მიერ შექმნილმა კომპანიამ Salford Capital Partners-მა. ბადრი პატარკაციშვილის გარდაცვალების შემდეგ, 2008 წელს, ბერეზოვსკისა და პატარკაციშვილის მემკვიდრეებს შორის Salford Capital Partners-ის აქტივებზე

სასამართლო დავა დაიწყო, რომელიც 2012 წლის სექტემბერში მორიგებით დასრულდა. ბერეზოვსკიმ სადავო აქტივები, მათ შორის, IDS Borjomi, ოფიციალურად, პატარკაციშვილის ოჯახს დაუთმო. უკვე 2013 წლის დასაწყისში პატარკაციშვილებმა განაცხადეს, რომ IDS Borjomi International-ს საკონტროლო პაკეტი რუსი მილიარდელის, მიხაილ ფრიდმანის კუთვნილ უმსხვილეს საინვესტიციო კომპანია Alfa Group-ს 300 მილიონ დოლარად მიჰყიდეს. Alpa Group-ი ფლობს საკომუნიკაციო კომპანია Vimpelcom-ის 44%-საც. ამ ჯგუფის წევრია საქართველოს ბაზარზე არსებული მობილური ოპერატორი "ბილაინი" (იურიდიული სახელწოდება მობიტელი).რუსულ კომპანია "ვიმპელკომის" მიერ "მობიტელში" განხორციელეული ინვესტიციის ოდენობა რუსეთიდან შემოსულ მსხვილ ინვესტიციებს შორისაა - 2010-2012 წლებში პირველ ადგილზე იყო, 2014 წელს კი მეორე ადგილი ეკავა. მას მხოლოდ დავით იაკობიშვილი მიერ „ვინ ბილ დანში" განხორციელებული ინვესტიციების ოდენობამ გადაუსწრო. "მობიტელის" ოფიციალური მფლობელები ოფშორული კომპანიები არიან „ვოთერთრაილ ინდასტრიზ" (51%) „ინვესტიკო ალიანსე" (29%) და მირენ ინვესტ (20%). ვიმპელკომ ლტდ" ჯგუფის კომპანიები მომსახურებებს შემდეგი ბრენდების სახელით აწვდიან: „ბილაინი", „კიევსტარი", „djuice", „Wind", „Infostrada", „Mobilink", „Banglalink", „Telecel" და „Djezzy". აბონენტების ჯამური რაოდენობა 2014 წლის 30 ივნისის მონაცემებით 220 მილიონია. ვიმპელკომის აქციათა ხმათა 43% ნორვეგიულ საკომუნიკაციო კომპანია Telenor-ს ეკუთვნის. 47.9% რუსი ოლიგარქის, მიხაილ ფრიდმანის კუთვნილი კონსორციუმის ალფა ჯგუფის წევრი Altimo-ს ეკუთვნის, ფორბსის 2014 წლის მონაცემებით, ფრიდმანი ყველაზე მდიდარ რუს ბიზნესმენებს შორის მეორე ადგილზეა[48].

სს ელმავალმშენებელი

რუსეთის მოქალაქეების ხელშია სს "ელმავალმშენებელი" - მუდმივი დენის მაგისტრალური ელმავლების მწარმოებელი. „ელმავალმშენებლის" ვებგვერდზე გამოქვეყნებული ინფორმაციით, ელმავლები ВЛ10У, ВЛ11М, ВЛ15 აწარმოებენ რუსეთის რკინიგზების ნახევარზე მეტ ყველა სატვირთო გადაზიდვას. საწარმო ახორციელებს ხვადასხვა მოდიფიკაციების მაგისტრალური და სამრეწველო

ელმავლების მოდერნიზაციას და კაპიტალურ შეკეთებას შემკვეთების მოთხოვნილებების გათვალისწინებით. ქარხნის ისტორია 1949 წლიდან იწყება. საქართველოს მიერ დამოუკიდებლობის მოპოვების შემდეგ ის ქონების მართვის სააგენტოს და საქართველოს რკინიგზას ეკუთვნოდა.

მოგვიანებით, 2002 წელს აქციათა 75 პროცენტი საწარმოს დირექტორმა ზურაბ ცინცაძემ **155000** აშშ დოლარად შეიძინა. 24% სახელმწიფოს საწარმოთა მართვის სააგენტოს საკუთრებაში დარჩა, დანარჩენი 0.2% აქციების თანამშრომლებს ეკუთვნოდათ. მისი საწესდებო კაპიტალი კი 50 მილიონ ლარს აჭარბებდა. ელმავალმშენებლის სადამფუძნებლო დოკუმენტაციაში რუსეთის მოქალაქეები 2005 წლიდან ჩნდებიან, როდესაც რუსულმა Dema Compiuters-მა აქციათა 51% შეიძინა. 36% ზურაბ ცინცაძეს, 12,76% კი საწარმოთა მართვის სააგენტოს დარჩა. სამეწარმეო რეესტრში დაცული დაკომუნეტებიდან არ ჩანს, რა თანხად იყიდა საკონტროლო პაკეტი Dema Computers-მა. სამეთვალყურეო საბჭოშიც Dema Compiuters-ის 4 წარმომადგენელი შევიდა - რუსეთის მოქალაქეები - იგორ ტუგბაევი, რომელიც 1998 წლიდან მუშაობდა სათადარიგო ნაწილებით მომარაგების ხელმძღვანელად რუსეთის ფედერაციაში, ოლეგ ზირიანოვი - წლების განმავლობაში ვოლგადონის რაიონის პროკურორის თანაშემწე იყო, გენადი ბოიარსკიხი - Dema Compiuters-ში მოსვლამდე რუსეთის ფედერაციის სალოკომოტივო მეურნეობის დეპარტამენტის უფროსის პოსტი ეკავა და ელენე ალექსანდროვა - მუშაობდა სათადარიგო ნაწილებით მომარაგების საწარმოს ფინანსურ დირექტორად რუსეთის ფედერაციაში. Dema Compiuters-ს გადაერქვა სახელი და ახლა ოფშორულ ზონაში რეგისტრირებულია როგორც Loko trans Holding. 2015 წლისთვის მას „ელმავალშენებლის“ აქციათა 87% ეკუთვნის. საწარმოს სამეთვალყურეო საბჭოში ასევე არიან ზურაბ ცინცაძის მიერ წარდგენილი კანდიდატები იური ჯიშკარიანი, კონსტანტინე ზალდასტანიშვილი და დავით ბერიძე. კონსტანტინე ზალდასტანიშვილი არის ავსტრიის რესპუბლიკაში საქართველოს საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩი და ევროპის უსაფრთხოებისა და თანამშრომლობის ორგანიზაციასა და ქ. ვენაში განლაგებულ საერთაშორისო ორგანიზაციებში საქართველოს მუდმივი წარმომადგენელი.

ბანკები

სს ვითიბი ბანკი ჯორჯია . ,,ვითიბი ბანკი ჯორჯია" ყოფილი გაერთიანებული ქართული ბანკია. ეროვნული ბანკისთვის 2014 წელს წარდგენილი მონაცემებით, ,,ვითიბი ბანკი ჯორჯიას" აქციათა 96.81%-ს რუსული სს "ვითიბი ბანკი" ფლობს. ამ უკანასკნელის აქციების **58.99% მფლობელი რუსეთის სახელმწიფოა.** რუსული ,,ვითიბი ბანკი" რამდენიმე ათეულ საფინანსო და საკრედიტო ორგანიზაციას ფლობს ევროპისა და აზიის ქვეყნებში. საქართველოში არსებული „ვითიბი ბანკიც" მათ შორისაა. „გაერთიანებული ქართული ბანკის" აქციები რუსულმა ,,ვითიბიმ" 2005 წელს შეიძინა. კომპანიის რებრენდინგი 2006 წლის დეკემბერში განხორციელდა, შეიცვალა სახელწოდება და ,,ვით იბი ბანკი" ეწოდა. „ვითიბი ჯორჯიას" სამეთვალყურეო საბჭოს წევრია საქართველოს მოქალაქე გრიგოლ ლომიძე, ხოლო გენერალური დირექტორი 2009 წლიდან არჩილ კონცელიძეა [49].

2.2. რუსეთის პირდაპირი უცხოური ინვესტიციები საქართველოში დიპლომატიური ურთიერთობების გაწყვეტის შემდგომ

2008 წლის აგვისტოში საქართველოს მიმართ რუსეთის მიერ გამხორციელებული სამხედრო აგრესიის გამო და რუსეთის მიერ ოკუპირებული საქართველოს განუყოფელი ნაწილების ე.წ. აღიარების შემდეგ, საქართველომ გაწყვიტა დიპლომატიური ურთიერთობები რუსეთის ფედერაციასთან.

ენერგეტიკა

2008 წლის დეკემბერში, რუსეთ - საქართველოს ომის დასრულებიდან რამდენიმე თვის შემდეგ, საქართველოს ენერგეტიკის სამინისტრომ „ინტერ რაოსთან" კიდევ ერთი მემორანდუმი გააფორმა, რაც „ენგურჰესის" ერთობლივ მართვას გულისხმობდა.

,,ენგურჰესი" უდიდესი ჰიდროელექტროსადგურია კავკასიაში, რომელიც მდინარე ენგურთან მდებარეობს. მასში შედის ვარდნილჰესების კასკადიც. მისი ჯამური სიმძლავრე 1300 მგვტ-ია. ენგურჰესის კაშხალი საქართველოს კონტროლირებად ტერიტორიაზეა, ხოლო ელექტროსადგური ადმინისტრაციული

საზღვრის აფხაზურ მხარეს მდებარეობს. „ინტერ რაოსა“ და საქართველოს შორის დადებული მემორანდუმის შესახებ ქართულმა მხარემ პირველი კომენტარი ხელმოწერიდან ორი კვირის შემდეგ გააკეთა. 2009 წლის 12 იანვარს ენერგეტიკის მინისტრმა ალექსანდრე ხეთაგურმა მედიას განუცხადა, რომ ენგურჰესის მართვა რუსული და ქართული მხარეების მიერ ერთობლივად განხორციელდება. [50]

„ინტერ რაოსა“ და საქართველოს შორის დადებული მემორანდუმის შესახებ ქართულმა მხარემ პირველი კომენტარი ხელმოწერიდან ორი კვირის შემდეგ გააკეთა 2009 წლის 12 იანვარს. მაღალი საზოგადოებრივი ინტერესის მიუხედავად, რუსულ კომპანიასთან დადებული მემორანდუმი არ გასაჯაროებულა. უცნობი დარჩა რეალურად რას ითვალისწინებდა მხარეებს შორის შეთანხმება. გაზეთმა “რეზონანსმა” და “ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციამ” ინფორმაციის მოპოვება ვერც სასამართლოს გზით მოახერხეს. 12 დოკუმენტის შინაარსი საიდუმლოდ დარჩა 2012 წლის შემდეგ მოსული ახალი ხელისუფლების პირობებშიც [51].

შპს “ენერგია” რამდენიმე ჰიდროელექტროსადგური ეკუთვნის შპს „ენერგიას“, რომელიც 2010 წელს საქართველოში დაფუძნდა. მისი 70 პროცენტი რუსეთის მოქალაქე მევლუდ ბლიაძეს ეკუთვნის, 30 პროცენტი კი შპს „ფერის“ მფლობელობაშია. შპს „ენერგია“ სს “დარიალი ენერჯის” აქციონერია. სტატისტიკის ეროვნული სამსახურის მიერ მოწოდებული ინფორმაციით, მევლუდ ბლიაძის ინვესტიცია 2011 წელს რუსეთიდან განხორციელებულ ყველაზე მსხვილ ინვესტიციებს შორის მოხვდა.

დარიალი ჰესი ,,დარიალი ენერჯისთან“ საქართველოს მთავრობამ 2011 წლის 19 მაისს გააფორმა მემორანდუმი 109 მგვტ სიმძლავრის დარიალის ჰესის მშენებლობის, ოპერირებისა და ფლობის შესახებ . დარიალი ჰესი მდინარე თერგზე მდებარეობს. ინვესტიციის ოდენობა 135 მილიონი აშშ დოლარია. დარიალის ჰესის პროექტი ითვალისწინებს მდინარე თერგზე, დარიალის ხეობაში, ყაზბეგის მუნიციპალიტეტში, საქართველო-რუსეთის საზღვართან ახლოს, 109 მეგავატი დადგმული სიმძლავრის დერივაციული ტიპის ჰესის მშენებლობას. ჰესი ენერგოსისტემას მიუერთდება დარიალის 110 კვ-იანი ხაზით, რომელიც აერთებს საქართველოსა და რუსეთის ენერგო-სისტემებს [52].

ლარსი ჰესი შპს ,,ენერგიამ" უნდა ააშენოს ლარსი ჰესიც. მემორანდუმი საქართველოს მთავრობას, „ელექტროენერგეტიკული სისტემის კომერციულ ოპერატორსა" და შპს ,,ენერგიასთან" 2011 წლის 17 მაისს გაფორმდა, დარიალი ჰესის გადაცემამდე ორი დღით ადრე. ამ მემორანდუმის თანახმად, კომპანიამ ჰიდროელექტროსადგურის მშენებლობის, ექსპლუატაციის და 20 მილიონი აშშ დოლარის ინვესტიციის განხორციელების ვალდებულება აიღო. 20 მგვტ სიმძლავრის ჰესის ექსპლუატაციის ვადად 2013 წლის 31 დეკემბერი განისაზღვრა. ენერგეტიკის მინისტრმა ლარსი ჰესი ოფიციალურად 2014 წლის 24 იანვარს გახსნა [53].

შილდა ჰესი შპს „ენერგია" ფლობს ყვარლის მუნიცილიტეტში არსებულ 5მგვტ სიმძლავრის შილდა ჰესსაც, რომელიც 2013 წლის ოქტომბერში ენრგეტიკის მინისტრმა კახი კალაძემ გახსნა . მისი მშენებლობისთვის საქართველოს მთავრობას, შპს „ენერგიას", სს ,,ელექტროენერგეტიკული სისტემის კომერციულ ოპერატორსა" და სს GGEDC-ს შორის 2012 წლის 13 ივლისს გაფორმდა. მანამდე ყვარლის მუნიციპალიტეტში მდინარე ჩელეთზე GGEDC(რომელიც საქართველოს ენერგეტიკის განვითარების ფონდს შეერწყა) გარკვეულ სამუშაოებს უკვე აწარმოებდა. მემორანდუმით ინვესტიციის საერთო ღირებულება 5 500 000 აშშ დოლარით განისაზღვრა[54].

შპს ენერგო ინვესტი - ავანიჰესი რუსეთის მოქალაქე ალი მარაევი ფლობს შპს ,,ენერგო ინვესტს", რომელმაც ავანიჰესი უნდა ააშენოს. საქართველოს მთავრობის 2014 წლის 2 აპრილის (№545) დადგენილებით კახეთის რეგიონში „ავანი" ჰიდროელექტროსადგურის მშენებლობის ტექნიკურ-ეკონომიკური შესწავლის, მშენებლობის, ფლობის და ოპერირების შესახებ ინტერესთა გამოხატვაში გამარჯვებულად ,,ენერგო ინვესტი" გამოვლინდა და ენერგეტიკის სამინისტროს მასთან გასაფორმებელი მემორანდუმის მომზადება დაევალა. აღსანიშნავია, რომ ,,ენერგო ინვესტთან" გაფორმებული მემორანდუმი ენერგეტიკის სამინისტროს საიტზე სხვა მემორანდუმებისგან განსხვავებით, გამოქვეყნებული არ არის, უცნობია გაფორმდა თუ არა საერთოდ აღნიშნული მემორანდუმი [55].

შპს ჯ.ბ.ჯ. - ალგეთიჰესი შპს ,,ჯ.ბ.ჯ.” ფლობს 1.25 მგვტ სიმძლავრის ალგეთი ჰესს, კომპანიის 50 პროცენტის მფლობელი რუსეთის მოქალაქე სოლომონ ჩხაიძეა, დანარჩენი 50 პროცენტი კი საქართველოს მოქალაქე ელისო ქორიძის საკუთრებაშია. კომპანია სოლომონ ჩხაიძემ და ზაზა ქორიძემ 2011 წელს დააფუძნეს. 1.5. შპს ფშავი ჰიდრო - სკურდიდი ჰესი რუსეთისა და საქართველოს ორმაგი მოქალაქეობის მფლობელის, რაული ქურდაძის საკუთრებაშია შპს ,,ფშავი ჰიდრო”, რომელმაც სკურდიდი ჰესი უნდა ააშენოს. რაულ ქურდაძემ კომპანიის 75% 2015 წლის 20 იანვარს ნოდარ საბანაძისგან 750 ლარად შეიძინა. დანარჩენი 25% პროცენტი ზაზა არდიშვილის საკუთრებაშია, ის ასრულებს დირექტორის მოვალეობასაც[56].

წყალმომარაგება

ჯორჯიან უოთერ ენდ ფაუერი. თბილისის მოსახლეობას სასმელი წყლით „ჯორჯიან უოთერ ფაუერი“ ამარაგებს. მისი ოფიციალური მფლობელი ოფშორულ ზონაში რეგისტრირებული შპს „ჯორჯიან გლობალ იუთილითიზია“. კომპანიას სამი დირექტორი ჰყავს გოჩა მეგრელიძე, მიხაილ ტუზოვი და ვლადიმირ კოზინი. „საერთაშორისო გამჭვირვალობა - საქართველოს“ მიერ მოპოვებული ინფორმაციით მიხაილ ტუზოვი სხვადასხვა დროს რუსული ,,ინეტრ რაოს” შვილობილ კომპანიებში მუშაობდა. რუსეთის მოქალაქეა ,,ჯორჯიან უოთერ ენდ ფაუერის” წარმოების დირექტორი ალექსეი ფროლოვი, რომელიც მანამდე მუშაობდა ტექნიკური დირექტორის მოადგილედ შპს „როსვოდოკანალში“.

წყალმომარაგების სექტორში რუსეთის მოქალაქეების მიერ დაფუძნებული კომპანიის გამოჩენა საქართველოში 2008 წლის მაისიდან იწყება. მაშინ საქართველოს მთავრობამ, საქართველოს ეკონომიკის სამინისტრომ და ქალაქ თბილისის მერიამ ოფშორულ ზონაში რეგისტრირებულ შპს ,,მალთიფლექს ენერჯი ლიმიტედს” მიჰყიდა ,,თბილისის წყალი”, ,,რუსთავწყალკანალი”, ,,მცხეთაწყალკანალი”, ,,საქწყალკანალი”. ხელშეკრულების თანახმად, წილის ნასყიდობის საფასური იყო ჯამში 80 011 208 აშშ დოლარის ექვივალენტი ლარში. თანხის გადარიცხვა ორ ტრანშად განხორციელდა. კომპანიაში მალევე შეიცვალა მენეჯმენტი და გენერალურ დირექტორად რუსეთის მოქალაქე იური ლესი დაინიშნა. ,,ჯორჯიან უოთერ ენდ ფაუერის” სახელწოდებით კომპანია 2009 წლიდან

ოპერირებს. კომპანიის მესაკუთრე „მალთიფლექს ენერჯი ლიმიტედსაც" სახელწოდება იმავე წელს შეეცვალა და ,,ჯორჯიან გლობალ უთილითის" გახდა. 2014 წლის დეკემბერში საქართველოს ბანკის სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარე ირაკლი გილაურმა მედიასთან განაცხადა , რომ Bank Of Georgia Holding-მა „ჯორჯიან უოთერ ენდ ფაუერის" 25% შეიძინა და 2016-2017 წლებში ლონდონის ბირჟაზე გატანას გეგმავდა[57].

შპს ,,რუსთავწყალკანალი", შპს ,,მცხეთაწყალკანალი", შპს ,,საქწყალკანალი" და შპს ,,თბილისის წყალი" შპს „ჯორჯიან გლობალ იუთილითიზს" (ყოფილი შპს ,,მალტიპლექს ენერჯი ლიმითედს") საქართველოს მთავრობის 2008 წლის 14 მაისს გამოცემული №325 განკარგულებით გადაეცა. არასამთავრობო ორგანიზაციამ ,,მწვანე ალტერნატივა" ამ კომპანიებთან მთავრობის მიერ გაფორმებული ხელშეკრულებები სასამართლოს გზითაც ვერ მოიპოვა. ხელშეკრულების სრული ტექსტი, ხელშეკრულების ერთ-ერთი მუხლითვე მიჩნეული იყო მყიდველის კომერციულ საიდუმლოდ.

შპს „ჯორჯიან გლობალ იუთილითიზი" ასევე ფლობს - კანალიზაციის ქსელების ექსპლუატაციის საწარმოს, გარდაბნის გამწმენდ ნაგებობას და შპს „საგურამო ენერჯის". ამ უკანასკნელის გენერალური დირექტორი რუსეთის მოქალაქე მელსიკ აკობიანია. ,,ჯორჯიან უოთერ ენდ ფაუერი" ელექტროენერგიასაც აწარმოებს. მას ეკუთვნის ჟილნვალჰესი, რომლის სიმძლავრე 134 000 კვტ-ს და თეთრიხევჰესი[58].

სასარგებლო წიაღისეული

3.1.3. „როსნეფტი" 2014 წლის 29 დეკემბერს რუსულმა კომპანია "როსნეფტმა" განაცხადა , რომ მან **,,პეტროკას ენერჯი ლიმიტედის" 49%-იანი წილი შეიძინა,** თუმცა, აღნიშნული გარიგების შესახებ ინფორმაცია რეგისტრირებული არ არის საქართველოს საჯარო რეესტრში. სავარაუდოდ, აღნიშნული გარიგება ოფშორულ ზონაში რეგისტრირებულ კომპანიებს შორის გაფორმდა. ,,როსნეფტის" ინფორმაციით, გარიგების შედეგად კომპანიამ გაიმყარა ლიდერის პოზიციები კავკასიის რეგიონში არსებულ ნავთობბაზარზე. გარდა ამისა, ,,როსნეფტისვე" განცხადებით, ,,პეტროკასთან" თანამშრომლობით მოხდება კავკასიისა და

ცენტრალური აზიის მზარდი ბაზრების უკეთ ათვისება და ნავთობით მომარაგების დივერსიფიცირება. „დარწმუნებული ვარ, რომ აღნიშნული გარიგება რეგიონის ენერგო უსაფრთხოებას უზრუნველყოფს", - განაცხადა ,,როსნეფტის" ხელმძღვანელმა იგორ სეჩინმა [59-60].

,,როსნეფტსა" და ,,პეტროკას ენერჯი ლიმიტედს" შორის გაფორმებულ ხელშეკრულებას საქართველოში მაშინვე მოყვა საპარლამენტო უმცირესობისა და საზოგადოების გარკვეული ნაწილის პროტესტი. საპარლამენტო უმცირესობამ საქართველოს ხელისუფლებისგან მოითხოვა, ხელი შეეშალა ფოთის ნავთობტერმინალის რუსულ სახელმწიფო კომპანიაზე მიყიდვისთვის. მოქალაქეთა ნაწილმა პეტიციაც კი შეიმუშავა, სადაც წერია: ,,როსნეფტი, რომელიც რუსეთის ფედერაციის მიერ ყირიმის ნახევარკუნძულის ანექსიის შემდეგ, დასავლეთის ეკონომიკური სანქციების ადრესატი გახდა, 2009 წლიდან, ნავთობისა და ბუნებრივი გაზის მოპოვების მიზნით, ოკუპირებული აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის შავი ზღვის შელფს საქართველოს კანონმდებლობის და საერთაშორისო სამართლის ნორმების დარღვევით ამუშავებს. ოკუპირებული ტერიტორიების შესახებ საქართველოს კანონი, აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის ტერიტორიაზე, საზღვაო აკვატორიაში და კონტინენტურ შელფზე კრძალავს ნებისმიერი სახის ეკონომიკურ საქმიანობას, რომელსაც საქართველოს სახელმწიფოსგან ნებართვა ან ლიცენზირება სჭირდება. „ლიცენზიებისა და ნებართვების შესახებ" საქართველოს კანონი, იქიდან გამომდინარე, რომ საქართველოს აქვს თავის ხმელეთზე და კონტინენტურ შელფზე არსებული ნავთობისა და გაზის რესურსების ძებნა-ძიებისა და ექსპლუატაციის ექსკლუზიური და სუვერენული უფლება, სახელმწიფოს სპეციალურ ლიცენზიას მოითხოვს არა მხოლოდ ნავთობისა და გაზის მოპოვების დროს, არამედ მათი ძებნა-ძიების შემთხვევაშიც. ასეთი სახის ლიცენზია ,,როსნეფტს" არ გააჩნია, რაც ნიშნავს იმას, რომ მის მიერ განხორციელებული ეკონომიკური საქმიანობა უკანონოა. საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 322 (2) მუხლის მოთხოვნათა შესაბამისად, ,,ოკუპირებული ტერიტორიების შესახებ" საქართველოს კანონით აკრძალული ეკონომიკური საქმიანობის განხორციელება, ისჯება ჯარიმით ან თავისუფლების აღკვეთის ვადით სამიდან ხუთ წლამდე. საქართველოს ხელისუფლება ვალდებულია მიმართოს საქართველოს

კანონმდებლობითა და საერთაშორისო სამართლით გათვალისწინებულ ყველა მექანიზმს საქართველოს კანონიერი ინტერესებისა და უსაფრთხოების დაცვის მიზნით". აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით საქართველოს ხელისუფლების წარმომადგენლების პოზიცია იყო, რომ ისინი ხელს ვერ შეუშლიდნენ ორ ბიზნეს სუბიექტს შორის ხელშეკრულების გაფორმებას. რაც შეეხება ,,როსნეფტს", აღნიშნული კომპანია ოკუპირებული აფხაზეთის ტერიტორიაზე ნამდვილად ეწევა ბიზნეს საქმიანობას, კომპანია აფხაზეთში რამდენიმე ბენზინგასამართ სადგურს ფლობს, ასევე, იკვლევს ნავთობის მარაგებს. გარდა ამისა, როგორც დასაწყისში უკვე აღინიშნა, ამერიკის შეერთებულმა შტატებმა ,,როსნეფტს", ასევე ,,ლუკოილს"(რომლის შვილობილია საქართველოში მოქმედი ,,ლუკოილ ჯორჯია") ეკონომიკური სანქციები დაუწესა, მიზეზი კი რუსეთის მიერ ყირიმის ანექსია და აღმოსავლეთ უკრაინაში დაწყებული საომარი ოპერაციები გახდა. ამ კომპანიებს საქართველოში რაიმე სანქცია არ დაკისრებია და შეუფერხებლად ფუნქციონირებენ [61] .

,,ჩენელ ენერჯი (ფოთი) ლიმიტედი". ,,პეტროკას ენერჯი ლიმითედის" ოფიცილურ მფლობელად საჯარო რეესტრში კვიპროსში რეგისტრირებული კომპანია ,,ნექსტრა სერვისიზ ლიმითედია" მითითებული, რომლის წარმომადგენელიც საქართველოს მოქალაქე რატი ჭელიძეა. „პეტროკას ენერჯი ლიმითედის" დირექტორი საქართველოს მოქალაქე არჩილ ხელაშვილია. სწორედ არჩილ ხელაშვილი არის კიდევ ერთი ოფშორული კომპანიის ,,ჩენელ ენერჯი (ფოთი) ლიმითედის" წარმომადგენელი. ეს კომპანია ფოთის ნავთობტერმინალის მესაკუთრე კომპანია ,,შპს ფოთი ტერმინალ ჰოლდინგის" 32%-ს ფლობს. საჯარო რეესტრში არსებულ ,,შპს ფოთი ტერმინალ ჰოლდინგის" დოკუმენტებში, 2012 წელს, პარტნიორებს შორის წილების განაწილების ხელშეკრულებაში ,,ჩენელ ენერჯი (ფოთი) ლიმითედის" წარმომადგენელი ,,პეტროკას ენერჯი ლიმითედის" დირექტორი არჩილ ხელაშვილია. გარდა ამისა, შპს „ფოთი ტერმინალ ჰოლდინგის" მფლობელები ასევე არიან ოფშორულ ზონაში, ვირჯინიის კუნძულებზე რეგისტრირებული კომპანია „დანედო მენეჯმენტ კორპ" (16%) და „შპს ოტორა ტრეიდინგ" (51%). ,,ჩენელ ენერჯი (ფოთი) ლიმითედის" საშინაო ურთიერთობების დირექტორი - აშშ-ს მოქალაქე ჯოზეფ ფრენსის ქროულია, ფინანსური დირექტორი -

რუსეთის მოქალაქე სერგეი ვორონცოვი, კომერციისა და მარკეტინგის საკითხების დირექტორი - საქართველოს მოქალაქე ალექსანდრე ბერიძე. ,,ჩენელ ენერჯი (ფოთი) ლიმითედი" ასევე ფლობს შპს „ფოთი ოილ სერვისიზის" 50%-ს. ამ კომპანიის საქმიანობის სფეროდ მითითებულია სატერმინალო მომსახურება და ნავთობპროდუქტების ტრანსპორტირება. ,,შპს ფოთი ოილ სერვისიზის" დანარჩენი 50%-ის მფლობელი ,,ჩენელ ენერჯი (ერა) ლიმიტედია". ,,ჩენელ ენერჯი (ერა) ლიმიტედი" თავის მხრივ, ,,ჩენელ ენერჯი (ფოთი) ლიმითედის" 75%-ს ფლობს, დანარჩენი 25% კი - სააქციო საზოგადოება ,,კორპორაცია ფოთის საზღვაო ნავსადგურს ეკუთვნის". (ფოთის ნავთობტერმინალი. წყარო: sipi.ge). როგორც ვხედავთ რუსული კაპიტალი ,,წრეში" ტრიალებს და ხშირად თავის განკარგვის ქვეშ მყოფ კომპანიებს თავისსავე კომპანიებზე ყიდის ან ყიდულობს ოფშორულ ზონებში დარეგისტრირებული საკუთარი კომპანიების საშუალებით.

სან პეტროლიუმ ჯორჯია - გალფი. შპს „სან პეტროლიუმ ჯორჯია" საქართველოში „გალფის" ბრენდის 140 ბენზინგასამართ სადგურს ფლობს. კომპანიამ საქმიანობა 2010 წელს დაიწყო. შპს „სან პეტროლიუმ ჯორჯიას" დირექტორი საქართველოს მოქალაქე გიორგი დევაძეა, კომპანიის 100%-ს ამერიკის შეერთებულ შტატებში რეგისტრირებული Energy Investment Venture Holdings ფლობს. როდესაც „როსნეფტმა" დავით იაკობაშვილისგან „პეტროკას ენერჯი ლიმითედის" 49% წილი შეიძინა, განცხადებაში აღნიშნა, რომ ნავთობტერმინალის გარდა, „პეტროკასი" საქართველოში 140 ბრენდირებულ ბენზინგასამართ სადგურს ფლობდა. 2012 წლის საპარლამენტო არჩევნებიდან მალევე, 26 ნოემბერს „გალფმა" განცხადება გაავრცელა, სადაც წერია: „ცნობილმა ბიზნესმენმა და ფილანტროპმა, ბატონმა დავით იაკობაშვილმა, რომელიც კომპანია ,,გალფის" უმსხვილესი აქციონერია, ბოლო პერიოდში თავისი აქციათა პაკეტი კიდევ უფრო გაზარდა". აღნიშნულ პერიოდამდე „გალფის" უმსხვილესი აქციონერი საქართველოს თავდაცვის **ყოფილი მინისტრი დავით კეზერაშვილი** იყო, რომლის მიმართ საქართველოს ამჟამინდელმა ხელისუფლებამ სისხლის სამართლის არაერთი საქმის გამოძიება დაიწყო და მას ამჟამად საქართველოს მთავარი პროკურატურა ეძებს. „გალფის" მიერ 2012 წლის 26 ნოემბრის განცხადებაში ასევე აღნიშნულია: ,,გალფ ჯორჯიას'' მენეჯმენტი აცხადებს რომ დავით კეზერაშვილი ამჟამად არ ირიცხება

„გალფ ჯორჯიას“ აქციონერთა რიგებში. აქვე აღვნიშნავთ, რომ გალფის მმართველი გუნდის ნაწილი, რომელიც შედგება ისრაელიდან ჩამოსული პროფესიონალებისგან, კომპანიის მენეჯმენტში რჩება“ [62].

სტატისტიკის ეროვნული სამსახურის ინფორმაციით, 2014 წელს ამოქმედებული DCFTA შეთანხმება ევროკავშირთან არ აღმოჩნდა შემაფერხებელი რუსეთის ინვესტიციებისთვის. ყველაზე მსხვილი ინვესტიციები რუსეთიდან განხორციელდა შემდეგ კომპანიებში: შპს „ვიმ-ბილ-დან საქართველო“, შპს „მობიტელი“, შპს „ენერგია“, შპს „ჯლს“, შპს „კარლსბერგ საქართველო“, შპს „ელექტრონი“, შპს Club-2100, შპს „ჯორჯიან ჰოტელ მენეჯმენტ“, შპს ELITE DEVELOPMENT, შპს „ემბავუდ ჯორჯია“. 2013 წელს ამ სიაში შედიოდა „ტიფლისკი ვინნი პოგრებ“, „სტრომოსი“ და „ტრიდე“. 2016 წლის იანვარში საქართველოში შემოვიდა კომპანია ,,იანდექს ტაქსი“, რომელიც მგზავრთა გადაყვანის მომსახურებას ეწევა.

№5 ცხრილში მოცემულია ევროკავშირიდან და რუსეთის ფედერაციიდან შემოსული ინვესტიციების შედარება. როგორც ციფრები გვიჩვენებს მკაფიო ტენდენციები არც ერთგან არ იკვეთება. ამავე დროს 2014 წელს როგორც რუსეთიდან ასევე ევროკავშირიდან რეკორდული სიდიდის კაპიტალი შემოვიდა. №6 ცხრილში მოცემულია რუსეთიდან შემოსული ინვესტიციების განთავსების სფეროები. იგი გვიჩვენებს, რომ საქართველოს ყველაზე მოწყვლადი სექტორი რუსეთის მოქალაქეებისა და სახელმწიფოს საკუთრებაშია, რაც საკმაოდ არასახარბიელოა ჩვენი ქვეყნის ეროვნული ინტერესებისთვის.

ცხრილი №6.პირდაპირი უცხოური ინვესტიციები რუსეთის ფედერაციიდან და ევროკავშირიდან(მლნ. აშშ დოლარი)

წლები	2008	2009	2010	2011	2012	2013	2014	2015	2016	2017	2018
რუსეთი	26,2	10,3	47,9	55,4	20,5	2,0	82,2	46,3	35,9	43 ,7	60,0
ევროკავშირი	478,0	226,6	233,9	493,0	457,3	420,9	838,2	783,9	400,1	766,3	569,2

წყარო: www.geostat.ge.

ცხრილი №7.ინვესტიციები რუსეთის ფედერაციიდან საქართველოში

			ინვესტიცია (მლნ დოლარი)	აქციები %-ში		
დარგები	შეძენის მიზანი			რუსეთის ფედერაცია	საქართველო	კომპანიები
1.ელექტროენერგია						
1.1ინტერ რაო			370			რუსეთის სახელმწიფო კომპანიები
1.1.1.სს თელასი		მფლობელობა		75	25	
1.1.2. შპს მტკვარი ენერგეტიკა		მფლობელობა		100	-	გარდაბანიჰოლ დინგზბი.ვი
1.1.3. ხრამჰესი 1 ხრამჰესი2		მფლობელობა		100		გარდაბანიჰოლ დინგზ ბი.ვი
1.1.4. ენგურჰესი		მართვა			100	საქართველოს სახელმწიფო
1.2 შპს ენერგია		მფლობელობა		70	30	მევლუდ ბლიაძე(რფ) და შპს ფერი(საქართველო)
1.2.1.დარიალი ჰესი		მფლობელობა				
1.2.2.ლარსი ჰესი		მფლობელობა				
1.2.3.შილდა ჰესი		მფლობელობა				
1.3.შპს ენერგოინვესტი ავანიჰესი		მფლობელობა		100		ალი მარაევი(რფ)
1.4. შპს ჯ.ბ.ჯ ალგეთიჰესი		მფლობელობა		50	50	სოლომონ ჩხაიძე(რფ) ზაზა ქორიძე(საქ)
1.6. საქრუსენერგო						სს ფედერალური საქსელო

					კომპანია(რფ) და ენერგეტიკის სამინისტრო(საქ)
. წყალმომარაგება					
ჯორჯიანუოთერენდფაუერი			100		შპსჯორჯიანგლობალუთილითიზი რუსეთის მოქალაქეთა საკუთრება
3.სასარგებლო წიაღისეული					
3.1.ნავთობი					
3.1.1.ლუკოილ ჯორჯია			100		სს ლუკოილი(რფ)
3.1.2.პეტროკას ენერჯი ლიმიტედი			51/49		დავით იაკობაშვილის ოფშორული კომპანიები და როსნეფტი
3.1.3.როსნეფტი			69,5		როსნეფტგაზი(რფ. სახელმწ).
3.1.4.ჩენელ ენერჯი (ფოთი) ლიმიტედი			75	25	ჩენელენერჯი (ერა) ლიმიტედი(რფ) და სს ფოთის ნავსადგური
3.1.5. სანპეტროლიუმჯორჯია - გალფი					Energy Investment Venture Holdings-იაკობაშვილი
3.2. მადნეული					
3.2.1 RMG Gold და					Rich Metals Group-დმიტრი ტროიცკი და დმიტრი

RMG Copper					კორჟიევი
3.3. მინერალური წყლები					
3.3.1. აი დი ეს ბორჯომი საქართველო					აი დი ეს ბორჯომი ბევერიჯიზ კომპანი-მიხეილ ფრიდმანი
4.მობილური კავშირი					
4.1. ბილაინი(მობიტელი)			47,9		ვიმპელკომი მ, მ.ფრიდმანი
5.სს ელმავალმშენებელი			51	36/12,76	Dema Compiuters(რფ), ზ.ცინცაძე და საწ.მართვის სააგენტო
6. ბანკები					
6.1. სს ვითიბი ბანკი ჯორჯია			96,81		ვითიბი ბანკი-რუსეთის სახელმწიფო

წყარო: შედგენილია ნაშრომის ტექსტის საფუძველზე.

რუსეთის მოქალაქეებისა და სახელმწიფო კომპანიების საკუთრებაში მოხვდა საქართველოს ყოფილი სახელმწიფო ქონების მნიშვნელოვანი ობიექტები ამასთან დაკავშირებით აკადემიკოსი ვლადიმერ პაპავა აღნიშნავს: ,,ვარდების რევოლუციამდე“ დაწყებული რუსეთის აქტიურობა, ჩაითრიოს საქართველო ლიბერალურ იმპერიაში, მნიშვნელოვნად გაიზარდა რევოლუციის შემდეგ, რასაც საქართველოს ხელისუფლებამაც ღიად შეუწყო ხელი. საქართველოს (და არა მარტო) ხელისუფლების ამგვარი ქმედებები იმითაც შეიძლება აიხსნას, რომ მსხვილი რუსული კომპანიების ხელმძღვანელ თანამდებობებზე ხშირ შემთხვევაში არიან სახელმწიფო უშიშროების ყოფილი მუშაკები, რომლებიც რუსეთის მთავრობის მსგავსად, პოლიტიკურ მიზნების მისაღწევად მზად არიან დამატებითი სახსრები დახარჯონ. ვითვალისწინებთ რა იმ რეალურ ნაბიჯებს, რაც რუსეთმა ,,ლიბერალურ

იმპერიაში“ კავკასიის (პირველ რიგში, სომხეთისა და საქართველოს) ჩასართავად გადადგა, სრულიად უსაფუძვლოდ გვეჩვენება იმის მტკიცება, რომ საქართველო ეკონომიკური (და არა მხოლოდ) თვალსაზრისით მთლიანად დაკარგულია რუსეთისათვის ან რომ საქართველოსა და სომხეთს რუსეთისათვის მინიმალური ეკონომიკური მნიშვნელობა აქვთ“ [63].

რუსეთის პირდაპირი ინვესტიციების შემოსვლა საქართველოში(როგორც ეს ოფიციალური წყაროებიდან სჩანს) საქართველოში ,,ვარდების რევოლუციის“ შემდგომ უპრობლემოდ განხორციელდა. განსაკუთრებულად ხაზი უნდა გავუსვათ იმ ფაქტს, რომ 2008 წლიდან ეს პროცესი კიდევ უფრო გაღრმავდა და რუსეთის კაპიტალი საქართველოს მოწყვლად დარგებში(ენერგეტიკა და წყალმომარაგება, წიაღისეული და საბანკო სექტორი) განთავსდა. მას მერე რაც ეს განხორციელდა რუსეთთან ვაჭრობის შეზღუდვაზე საუბარი და მიმდინარე პროცესების უარყოფითად შეფასებამხოლოდ ცარიელ რიტორიკას ჰგავს.

III თავი. საქართველოს დავალიანება რუსეთთან და მისი შემცირების შესაძლებლობები

3.1. რუსეთის მიმართ დავალიანების ჩამოყალიბების პროცესის დახასიათება-ანალიზი

2005 წელს მოსკოვში ხელი მოეწერა შეთანხმებას საქართველოს მთავრობასა და რუსეთის ფედერაციის მთავრობას შორის რუსეთის ფედერაციის მიერ ადრე გაცემული კრედიტებით წარმოქმნილი საქართველოს ვალის გადავადების თაობაზე.

ეს ხელშეკრულება 2004 წლის ზაფხულში პარიზის კლუბში კრედიტორებთან საქართველოს ვალების რესტრუქტურირების შესახებ მიღწეული შეთანხმების ფარგლებში გაფორმდა. ვალების გადავადების შედეგად, 2 წლის მანძილზე საქართველოს ბიუჯეტს აღარ მოუწევს დაახლოებით 120 მილიონი აშშ დოლარის გადახდა.

საყოველთაოდ ცნობილია, რომ ოფიციალური მოსკოვი სამხედრო-პოლიტიკურ ბერკეტებთან ერთად ეკონომიკურ მექანიზმებსაც იყენებს ხოლმე საქართველოზე ზეწოლის განსახორციელებლად. პარიზის კლუბში, სწორედ რუსეთის სიჯიუტის გამო, საქართველო იძულებული გახდა ეგრეთ წოდებულ ნულოვან ვარიანტს დასთანხმებოდა. ეს იმას ნიშნავს, რომ საქართველომ უარი თქვა საბჭოთა კავშირის მემკვიდრე რუსეთისგან ძველი აქტივების მოთხოვნაზე. სანაცვლოდ, რუსეთი ორი-სამი წლით საქართველოს ვალების გადავადებას დასთანხმა. ორი-სამი წელიც გავიდა და ოფიციალური თბილისი ვალების გასტუმრების რეალობის წინაშე დადგა.

საქართველოს ყოფილი ფინანსთა მინისტრის ზურაბ ნოღაიდელის მოადგილე დავით ამაღლობელი ამბობდა, რომ ,,ეს ვალი არის წარმოშობილი 1990-იანი წლების დასაწყისში. მასზე იყო გაფორმებული შეთანხმებები, რამდენჯერმე მოხდა მისი გადავადება და ახლა რუსეთის მიმართ მთლიანი ვალი შეადგენს 157 მილიონ დოლარს.” მან ჟურნალისტისთვის მიცემულ სატელეფონო ინტერვიუში განაცხადა, რომ, ამჟამად რუსეთთან მიღწეული შეთანხმებით, გადავადებას დაექვემდებარა

რუსეთის **ძირითადი ვალის მნიშვნელოვანი ნაწილი, 89 მილიონი ამერიკული დოლარი, და მისი პროცენტი - 5 მილიონი დოლარი.** ვალის გადავადების სტრუქტურა ასეთია: რუსეთის ვალის ნაწილის, დაახლოებით **45 მილიონ დოლარის,** გადახდა პარიზის კლუბის 2001 წლის 6 მარტის შეთანხმების ფარგლებში გადავადდა. ამ ნაწილის დაფარვა 2005-2021 წლებში განხორციელდება.

2003 წლის 1 იანვრიდან 2004 წლის 1 ივნისამდე დაგროვილი ვადაგადაცილებული ვალის ძირითადი ნაწილის 50 პროცენტს, დაახლოებით 17 მილიონ დოლარს, საქართველო 2006 წლის 1 დეკემბრამდე დაფარავს, ხოლო ვადაგადაცილებული თანხის მეორე ნახევარს - 2006 წლის 31 დეკემბრამდე. გრაფიკით გათვალისწინებულ გადასახდელ ძირითად თანხას და მის პროცენტს, სულ 78 მილიონ დოლარს, საქართველო 2011-დან 2025 წლამდე გადაიხდის. რუსეთთან ამ არცთუ უმნიშვნელო შეთანხმებას, რომელიც საქართველოს ბიუჯეტს 120 მილიონი ამერიკული დოლარის შვებას მისცემდა, საქართველოს ფინანსთა მინისტრის ზურაბ ნოღაიდელის მოსკოვში ვიზიტის დროს მოეწერა ხელი.

რუსეთის ამდაგვარ ,,კეთილგანწყობასთან“ დაკავშირებით დავით ამაღლობელი(ზურაბ ნოღაიდელის მოადგილე) ჟურნალისტისთვის მიცემულ ინტერვიუში ამბობდა: ,,უმტკივნეულოდ მოხდაო, ვერ იტყვი, იმიტომ რომ ჩვენ საკმაოდ მძიმე მოლაპარაკებები გვქონდა პარიზის კლუბში და იქ ძირითადი კრედიტორი იყო რუსეთის მხარე. ამიტომ ძირითადი პირობების შემომთავაზებელი იქითა მხრიდან სწორედ რუსეთი იყო. თუმცა სხვა კრედიტორების, საერთაშორისო სავალუტო ფონდის მხარდაჭერით და დახმარებით, ჩვენ შევძელით ამ საკითხის დადებითად გადაწყვეტა.”

დავით ამაღლობელმა ისიც აღნიშნა, რომ მხოლოდ ამ შეთანხმების ფარგლებში მოხერხდა რუსეთის მიმართ არსებული ვალის გადავადება და არა ეგრეთ წოდებული ,,ნულოვანი ვარიანტის” საფუძველზე. [64]

რუსეთის მიერ ყირიმის ანექსიის შემდგომ უკრაინის პრემიერ მინისტრმა იაცენიუკმა მთავრობის სხდომაზე გასცა დავალება, რათა დაიწყონ იურიდიული დოკუმენტების მომზადება რუსეთისადმი სამართლებრივი პრეტენზიების წაყენების მიზნით. უკრაინა მოითხოვს საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ

გასანაწილებელი ქონებიდან საკუთარი წილის მიღებას. აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით "ჯი-ეიჩ-ენი" ეკონომიკური განვითარების ცენტრის თავმჯდომარეს, რომან გოცირიძეს ესაუბრა, რომელიც თავის დროზე მუშაობდა ამ საკითხებზე და დაჟინებით მოითხოვდა(მისი ინფორმაციით) არ მომხდარიყო ანალოგიური დოკუმენტის რატიფიცირება საქართველოს პარლამენტის მიერ.

,,ბატონო რომან, თუ შეიძლება, მოკლედ შეგვახსენეთ, რას გულისხმობდა საბჭოთა ქონების გაყოფის ე.წ.ნულოვანი ვარიანტი, რა მიზანი აქვს უკრაინას და რის სანაცვლოდ დავთმეთ ჩვენ ეს აქტივები?

- საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ ყოფილ რესპუბლიკებს ერგოთ საბჭოთა კავშირის საგარეო აქტივები (ქონება) და პასივები (ვალები) ასეული მილიარდი დოლარის ოდენობით (აქტივები ბევრად აჭარბებდა პასივებს): საზღვარგარეთ კუთვნილი საელჩოების, წარმოადგენლობების შენობები, მიწები, წილები საწარმოებში, აქციები, ვალუტა უცხოური პროფილის საბჭოთა ბანკებში, ქვეყნის ცენტრალური ბანკის უცხოური ვალუტისა და ოქროს რეზერვები, ალმასის და ბრილიანტების ფონდის მარაგები, საბჭოთა კავშირისადმი ,,მოძმე ქვეყნების" (კუბა, ვიეტნამი, ერაყი და სხვა.) ვალები. ამავე დროს, საბჭოთა კავშირს ჰქონდა ვალები დასავლეთის ქვეყნების (ე.წ. „პარიზის კლუბი") და უცხოური კომერციული ბანკების(ე.წ. ,,ლონდონის კლუბი") წინაშე. ნულოვანი ვარიანტი ნიშნავდა იმას, რომ რუსეთი გაისტუმრებდა ყველას ვალს და შერჩებოდა ყველას კუთვნილი ზემოთ ჩამოთვლილი ქონება. სხვაობა უზარმაზარი იყო ვალებთან მიმართებაში. საქართველომ და უკრაინამ არ დათმო თავისი წილი (უშუალოდ ვმონაწილეობდი მოლაპარაკების ამ პროცესში და შემდეგ განვითარებულ მოვლენებში), დანარჩენები თავიდანვე აიძულეს, რომ დათანმებულიყვნენ რუსეთის შეთავაზებას. საქართველომ გაძლო ათი წელიწადი ისე, რომ არ ახდენდა ამ დოკუმენტის რატიფიცირებას პარლამენტში, თუმცა რუსეთის მხრიდან წვრილმანი შეთავაზებისა და ზეწოლის საფუძველზე დათმო იგი.

- როდის მოხდა ეს?

-შევარდნაძის მოქალაქეთა კავშირმა პარლამენტში 2001 წლის ბოლოს მოახდინა ამ ხელშეკრულების რატიფიცირება რუსეთის წინაშე არსებული 156 მილიონი დოლარის ოდენობის ვალის თუ არ ვცდები, ოთხი წლით გადავადების სანაცვლოდ

(რამაც შემდეგ პარიზის კლუბში მოხსნა რუსეთის ვეტო და მოხდა 179 მილიონი დოლარის ოდენობის კრედიტის(ამაში სხვა ქვეყნების ვალებიც შედიოდა) რესტრუქტურიზაცია.

ურაინამ დღემდე არ დათმო. როგორც ვხედავთ, პრეტენზიებსაც წაუყენებს საერთაშორის სასამართლოში. უკრაინელები აქაც ჩვენზე შორსმჭვრეტელები აღმოჩნდნენ.

არასდროს უნდა დათმო იურიდილად ის, რაც ფაქტობრივად დათმობილი გაქვს. ესაა დიპლომატიის ოქროს წესი. საქართველოს პარლამენტის მიერ ,,ნულოვანი ვარიანტის" რატიფიცირების 10 წლით გაჭიანურებას რუსეთმა მთელი რიგი მოთხოვნები და შეზღუდვები დაუპირისპირა. კერძოდ, როგორც ზემოთ აღვნიშნე, მანამ არ მოახდენდა პარიზის კლუბში როგორც მისი, ასევე სხვა ქვეყნების და ორგანიზაციების 179 მლნ დოლარის ოდენობის სესხის რესტურქტურიზაციას, სანამ საქართველოს მთავრობა პარლამენტში არ შეიტანდა განსახილველად აღნიშნულ ხელშეკრულებას და საბოლოოდ არ მოახდენდა მის რატიფიცირებას.

- საქართველოს ვალის რესტრუქტურიზაციის სანაცვლოდ, რუსეთი რა მოთხოვნას აყენებდა?

-რუსეთს ჰქონდა ორი მოთხოვნა - საქართველოს სასწრაფოდ უნდა გადაეხადა 2000 წლის დავალიანება და პარლამენტში განსახილველად შეეტანა ,,ნულოვანი ვარიანტი" და მოეხდინა მისი რატიფიცირება.

საქართველომ ორივე ეს მოთხოვნა შეასრულა. რუსეთს გადაუხადა 22.43 მლნ დოლარი და პარლამენტმაც მძაფრი დებატების შემდეგ, 2001 წლის 16 თებერვალს რატიფიცირება გაუკეთა შეთანხმებას ,,ნულოვანი ვარიანტის" შესახებ, რომლის თანახმად, საქართველომ რუსეთის სასარგებლოდ საბოლოოდ უარი თქვა საკუთარ წილზე 1,62%-ზე ყოფილი სსრკ-ის საგარეო აქტივებიდან. მოქალაქეთა კავშირშიც არ უჭერდა ყველა მხარს ამ გადაწყვეტილებას. განსაკუთრებით ეწინაადმეგებოდა ამას კობა დავითაშვილი, რაც შევარდნაძისადმი მისი დაპირისპირების მთავარი მიზეზი გახდა.

საქართველოს სახელმწიფომ, 156 მლნ დოლარის დღემდე გაურკვეველი წარმოშობის ვალის გადავადებისა და საერთაშორისო სავალუტო ფონდისაგან 141 მლნ დოლარის სესხად მიღების სანაცვლოდ, რუსეთისგან დაახლოებით 2- 3 მლრდ დოლარის მოთხოვნაზე უარი თქვა. [65]

საქართველომ, მართალია, ,,პარიზის კლუბში" ვალების რესტრუქტურიზაციას მიაღწია და ქვეყნის ვალები დაახლოებით 20 წლით გადაივადა, მაგრამ ეს შეღავათები, სსრ კავშირის აქტივებიდან მის მიერ მისაღებ წილთან შედარებით, ანგარიშში არაა მისაღები. ქვეყანამ ,,ნულოვანი ვარიანტის" რატიფიცირებით მილიარდების მოთხოვნის უფლება დაკარგა. ამასთან, ,,პარიზის კლუბმა" რესტრუქტურიზაცია საქართველოსთვის მაქსიმალურად უშეღავათო პირობებით განახორციელა. ძირითადი ვალის გადახდა 2 წლის შემდეგ დავიწყეთ, წლიური 4%-ის მომსახურების საფასურის გადახდით. საქართველომ ვალების რესტრუქტურიზაციით მხოლოდ დრო მოიგო და დროებით(2 წლით) ვალების გადავადებით ტვირთი შეიმსუბუქა,, სამაგიეროდ, მას მომდევნო წლებში ბევრად მეტი თანხის გადახდა მოუხდა.

ნულოვანი ვარიანტი" მიღებულ იქნა რუსეთის მიმართ საქართველოს ვალის რამდენიმე წლით გადავადების სანაცვლოდ. ეს დიდი შეცდომა იყო. სადაო საკითხების გადასაწყვეტად უნდა გამოგვეყენებინა ჰააგის სასამართლო, ვენის კონვენცია, აგრეთვე, ,,პარიზისა" და ,,ლონდონის კლუბები". ვენის კონვენციის თანახმად (რომელსაც საქართველო 1993 წელს შეუერთდა) და სხვა საერთაშორისო ნორმების შესაბამისად, ამ ქონებას რუსეთი ვერ განკარგავდა საქართველოს გარეშე. თუ საქართველო თავისი ნებით არ დათმობდა კუთვნილ წილს, რუსეთი ვერ აიცილებდა საბჭოთა კავშირის საგარეო აქტივების გადმოცემას ან რაიმე ფორმით მის კომპენსირებას. ეს ხანგრძლივი პროცესი იქნებოდა, მაგრამ პერსპექტივის მქონე არგუმენტები გვექნებოდა ხელში. რ. გოცირიძემ ისიც გაიხსენა, რომ რუსეთს უნდოდა ბერლინში რუსეთის საელჩოს მიწის ნაწილის გაყიდვა გერმანელ ბინათმშენებლებზე და თხოვა საქართველოს მთავრობას ნებართვა ამის შესახებ, რადგან ეს რუსეთის, უკრაინისა და საქართველოს ერთობლივ საკუთრებად ითვლებოდა.

ამ პერიოდის კორუფციით დაუძლურებულ და არაავტორიტეტულ მთავრობას იმდენად მძიმე პრობლემები ჰქონდა ბიუჯეტში, რომ იმ ვითარებაში სხვა გამოსავალი თითქოს არც უჩანდა და შესაბამისი არჩევანიც გააკეთა. როგორც ვხედავთ მდგომარეობა მართლაც ძალზე მძიმე იყო, თუმცა ეს მაიც არ ამართლებს ,,ნულოვან ვარიანტზე“ დათანხმებას.

მნიშვნელოვანია აღვნიშნოთ, რომ ე. წ. ,,ნულოვანი ვარიანტის“ ხელმოწერა ნაციონალური მოძრაობის ხელისუფლებაში ყოფნისას არ განხორციელდა, მაგრამ რ. გოცირიძე(რომელიც მოქალაქეთა კავშირის წევრი იყო, ხოლო შემდეგ ნაციონალური მოძრაობის პარტიის წევრი) საერთოდ არ ახსენებს ალმასის ფონდის მხედველობიდან გამორჩენას, რომელზედაც ნამდვილად შეიძლებოდა დავა. ამასთან ერთად მას არ მოჰყავს არგუმენტები თუ საერთოდ რატომ მოაწერეს ამ დოკუმენტს ხელი და სანაცვლოდ ფაქტიურად ვერაფერი მიიღეს.

აკადემიკოსმა ვლადიმერ პაპავამ ფარდა ახადა აღნიშნული ხელშეკრულების ხელმომწერთა საეჭვო ქცევას. იგი აღნიშნავს: ,,ქართულ-რუსულ ურთიერთობებში განსაკუთრებით საყურადღებოა ე.წ. ,,ნულოვანი ვარიანტის“ ხელშეკრულების ტექსტის საქართველოს პარლამენტის მიერ იძულებითი რატიფიკაცია, რომლის თანახმადაც, საქართველომ რუსეთის ვალის საერთაშორისო სავალუტო ფონდისა და პარიზის კლუბის მიერ შემოთავაზებული სქემის მიხედვით რესტრუქტურიზაციის სანაცვლოდ უარი თქვა ყოფილი საბჭოთა კავშირის აქტივებზე. მართალია, პარაფირებულ ტექსტში ეწერა, რომ ეს არ ვრცელდება ალმასის ფონდსა და ყოფილი სსრკ-ის ,,ვნეშეკონომბანკის“ ანგარიშებზე, მაგრამ 1993 წელს ხელმოწერილ ოფიციალურ დოკუმენტში ასეთი ჩანაწერი უკვე აღარ იყო, რაც ქართულმა მხარემ მხოლოდ ხელმოწერის შემდეგ შენიშნა(?!). საქართველოს ხელისუფლების მრავალრიცხოვანი პროტესტის მიუხედავად, რუსეთის მხარე ხელმოწერილ ტექსტში რამის შეცვლას არ აპირებდა, ხოლო როდესაც საქართველოს დასჭირდა რუსეთის მიმართ საგარეო ვალის რესტრუქტურიზაცია, მოსკოვმა ამ ხელშეკრულების იმ სახით რატიფიკაცია მოითხოვა, რა სახითაც იყო ხელმოწერილი. რადგანაც საქართველოს საგარეო ვალის რესტრუქტურიზაციის ალტერნატიული ვარიანტი არ არსებობდა, საქართველოს თავისი ეროვნული

ინტერესების საზიანოდ მოუწია ,,ნულოვანი ვარიანტის“ ხელშეკრულების რატიფიცირება, რომელიც პარაფირებული ტექსტისაგან განსხვავდებოდა“. დოკუმენტის ტექსტი შესაძლებელია იხილოთ დანართში [66].

რუსეთის ფედერაციის მიერ ადრე გაცემული კრედიტებით წარმოქმნილი საქართველოს ვალის დარეგულირების შესახებ შეთანხმების დანართის საფუძველზე შედგენილ №8 ცხრილში მოცემულია დავალიანების კონსოლიდირებული თანხის დაფარვისა და მასზე დარიცხული პროცენტის გადახდის გრაფიკი.

ცხრილი №8. დავალიანების კონსოლიდირებული თანხის დაფარვისა და მასზე დარიცხული პროცენტის გადახდის გრაფიკი.

ტრანსფერები	ძირითადი თანხის წილი	გადასახდელი თანხა აშშ დოლარებში		გადახდის თარიღი
		ძირითადი ვალი	პროცენტი	
1	-	-	106439,41	30 ივნისი, 2001
2	-	-	337369,37	31 დეკემბერი, 2001
3	-	-	557095,17	30 ივნისი, 2002
4	-	-	795494,57	31 დეკემბერი, 2002
5	-	-	901311,52	30 ივნისი, 2003
6	-	-	916250,40	31 დეკემბერი, 2003
7	-	-	906291,12	30 ივნისი, 2004
8	-	-	916250,40	31 დეკემბერი, 2004
9	0.54	242 009,61	901 311,52	30 ივნისი, 2005
10	0,63	282 344,55	911 302,64	31 დეკემბერი, 2005
11	0,72	322 676,49	890766,18	30 ივნისი, 2006
12	0.82	367496.08	898933.26	31 დეკემბერი, 2006
13	0.92	412312.68	876885.99	30 ივნისი, 2007

14	1.02	457129.27	882990.50	31 დეკემბერი, 2007
15	1.13	506427.53	864148.61	30 ივნისი, 2008
16	1.24	555725.78	863291.12	31 დეკემბერი, 2008
17	1.36	609505.70	838039,46	30 ივნისი, 2009
18	1.48	663285,61	839468,61	31 დეკემბერი, 2009
19	1,61	721547,19	812442,21	30 ივნისი, 2010
20	1.75	784290,42	811156,47	31 დეკემბერი, 2010
21	1,89	847033,65	782158,14	30 ივნისი, 2011
22	2,04	914258,55	777804,96	31 დეკემბერი, 2011
23	2,19	981483,44	750862,22	30 ივნისი, 2012
24	2,35	1053189,99	739047,57	31 დეკემბერი, 2012
25	2,51	1124896,54	705817,06	30 ივნისი, 2013
26	2,69	1205566,41	694517,80	31 დეკემბერი, 2013
27	2,87	1286236,29	658948,86	30 ივნისი, 2014
28	3,05	1366906,16	643574,28	31 დეკემბერი, 2014
29	3,25	1456539,35	605591,22	30 ივნისი, 2015
30	3,45	1546172,54	585850,50	31 დეკემბერი, 2015
31	3,66	1640287,39	548215,52	30 ივნისი, 2016
32	3,88	1738883,90	520705,10	31 დეკემბერი, 2016
33	4,11	1841962,07	477244,45	30 ივნისი, 2017
34	4,35	1949521,90	447496,69	31 დეკემბერი, 2017
35	4,59	2057081,73	400993,50	30 ივნისი, 2018
36	4,85	2173604,87	365583,91	31 დეკემბერი, 2018

37	5,12	2294609,68	315909,69	30 ივნისი, 2019
38	5,39	2415614,49	274233,74	31 დეკემბერი, 2019
39	5,68	2545582,62	222403,85	30 ივნისი, 2020
40	5,98	2680032,40	172804,82	31 დეკემბერი, 2020
41	6,29	2818963,85	116088,92	30 ივნისი, 2021
42	6,59	2953413,63	60380,90	31 დეკემბერი, 2021
სულ	44816595,36	26693472,23		

წყარო: 2005 წლის 28 დეკემბრის N **2616** დადგენილებით შეთანხმება საქართველოს მთავრობასა და რუსეთის ფედერაციის მთავრობას შორის. [**67**].

www.parliament.ge/files/international-acts/agreements/2005/2616-rs-28-12-2005.doc

ფინანსთა სამინისტროს ინფორმაციით, 2010 წლის 30 ივნისის მდგომარეობით, რუსეთის მიმართ საქართველოს 117 მლნ. 438 ათას დოლარიანი დავალიანება ჰქონდა. საგარეო ვალის სტატისტიკური მონაცემების მიხედვით, ერთი წლის განმავლობაში საქართველომ რუსეთს 1 მლნ 385 ათასი დოლარი დაუბრუნა, რადგანაც 2009 წლის 30 ივნისის მდგომარეობით რუსეთის მიმართ საქართველოს საგარეო ვალი 118 მლნ. 823 ათას დოლარს შეადგენდა. 2009 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით კი, საქართველოს საგარეო ვალმა რუსეთის ფედერაციის მიმართ 118 მლნ. 160 ათასი დოლარი შეადგინა, მაშინ, როდესაც 2008 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, რუსეთის მიმართ საქართველოს ვალმა 119 მლნ. 433 ათასი დოლარი, ხოლო 2007 წლის 31 დეკემბრისთვის 120 მლნ. 495 ათასი დოლარი შეადგინა. 2010 წლის 30 ივნისის მდგომარეობთ საქართველოს სულ სახელმწიფოს მიერ და სახელმწიფო გარანტიით აღებული კრედიტების მოცულბა 3 მლრდ 464 მლნ. 795 ათასი დოლარითაა განსაზღვრული [67].

2019 წლის ივნისის მონაცემებით საქართველოს ვალი რუსეთის ფედერაციის მიმართ შეადგენს 56 მილიონ 478 ათას აშშ დოლარს.

საქართველო ფლობს პატიოსანი დებიტორის სტატუსს და ამდენად არ უჭირს სახელმწიფო გარანტიებით საერთაშორისო სასესხო რესურსების მოზიდვა. სწორედ ამოტომ ძალზე მნიშვნელოვანი იქნება ახალი ვალების აღებისგან შეკავების მიზნით

გარკვეული საკანონმდებლო შეზღუდვები დაწესდეს ხელისუფლებებისთვის, რომ მათ საერთაშორისო რესურსები ინვესტირების გარდა სხვა დანიშნულებით არ გამოიყენონ.

3.2 საქართველოს ვალის მართვის ეფექტიანობის ამაღლების შესაძლებლობები

საგარეო ვალის მართვის მიზანია საქართველოსთვის საგარეო საფინანსო რესურსების მოზიდვასთან ერთად მიმდინარეობდეს ძველი დავალიანების შეზღუდვის ეფექტიანი მექანიზმების შემუშავება და მათი სწრაფად ამოქმედება. საგარეო ვალის მართვის პოლიტიკასთან დაკავშირებული პრობლემების შესამცირებლად მაქსიმალურად უნდა იქნას გაანალიზებული საერთაშორისო გამოცდილება და პრაქტიკა. განვითარებადი ქვეყნებისთვის საგარეო ვალის წარმატებული მართვისა და რესტრუქტურიზაციის საკითხების ყოველთვის დგას დღის წესრიგში. საგარეო დავალიანების ტვირთის შეზრუდვის მიზნით მსოფლიოში წარმატებით მოქმედებს პროგრამა ,,გარემოს დაცვა ვალების ნაცვლად". საქართველოსთვის პროგრამა ,,გარემოს დაცვა ვალების ნაცვლად" მიმზიდველად შეიძლება ჩაითვალოს შემდეგი მიზეზების გამო:

• უზრუნველყოფს ახალ და დამატებით სახსრებს ადგილობრივ ვალუტაში;

• დებიტორ ქვეყანაში ეკოლოგიური საქმიანობისთვის შესაძლებელია დამატებითი ფინანსების მოძიება, რაც მნიშვნელოვანი იქნება ქვეყნის ეკონომიკური განვითარებისთვის;

• ამ პროგრამით სიღატაკის დაძლევის პროგრამაში ეკოლოგიასთან დაკავშირებული საკითხების ჩართვის საშუალება გვაქვს;

• ეს პროგრამა გარემო პირობების გაუმჯობესების, ჯანმრთელობის დაცვის, ახალი სამუშაო ადგილების შექმნის და ადგილობრივი რესურსების გამოყენების საკითხების წინ წამოწევის საშუალებას გვაძლევს;

• პროგრამა ,,გარემოს დაცვა ვალების სანაცვლოდ“ ისეთი მცირეშემოსავლიანი ქვეყნისთვის როგორიც საქართველოა, გარემოს დაცვის კუთხით საერთაშორისო შეთანხმებების შესრულების დაწყების საშუალებასაც ჰქმნის (მაგალითად: გაეროს ჩარჩო ხელშეკრულება კლიმატის შეცვლის შესახებ, კონვენცია ბიოლოგიური მრავალფეროვნების შესანარჩუნებლად, ვენის კონვენცია ოზონის შრის დაცვის შესახებ);

• ამ პროგრამით შესაძლებელია ასევე შემცირდეს არსებობის ზღვარზე მყოფი ბუნებრივი რესურსების გამოყენებასთან დაკავშირებული პრობლემების რაოდენობა (მაგალითად: მიწისქვეშდა და ზედაპირზე არსებული წყლები და ტყეები);

• ამ პროგრამის სათანადო ორგანიზება ხელს შეუწყობს ქვეყნის ინსტიტუციური შესაძლებლობების გაფართოებას და ეკოლოგიური პროგრამების განხორციელებას, რაც მიმართული იქნება პროექტების მომზადებასა და სახელმწიფო ფინანსების გამჭირვალედ და ეფექტურად მართვაზე.

საქართველოში ეს პროგრამა დიდი რაოდენობის ვალების გაცვლის საშუალებას მოგვცემს. ეს რა თქმა უნდა ქვეყანაში ინფლაციის დონის მომატების საშიშროებასაც წარმოშობს, რადგან დიდი პროექტების დაფინანსება ადგილობრივ ვალუტაში უნდა მოხდეს. თუმცა ტრანსაქციების სწორი ორგანიზებით ამ რისკების გადალახვაც შესაძლებელია. ერთჯერადი გადარიცხვების მაგივრად, უნდა იქნას გამოყენებული ნაწილებად გადარიცხვის პრინციპი. კრედიტორებისთვის გაცილებით მიმზიდველია გაცვლები ,,ვალები განვითარების დასახმარებლად“ რადგან მათ რიგი მნიშვნელოვანი მახასიათებლები აქვთ. ზემოთ წარმოდგენილი ტიპის ოპერაციები მიმზიდველია კრედიტორებისთვის, რადგან გამჭირვალე ტრანსაქციებს მოიცავენ და ჩვეულებრივ ხორციელდება ერთჯერადი ფულადი გადარიცხვებით. ამ საშუალებათა მართვა საკმაოდ ადვილად შეიძლება ჩამოყალიბდეს კონკრეტული შეთანხმების ხელშეკრულებებში. ამ გზით კრედიტორებს შეუძლიათ პირდაპირ აკონტროლონ დებიტორის დანახარჯები, ხოლო საბაზისო ბიუჯეტის შემცირებითა და შეთანხმებული შესყიდვების საშუალებით(კრედიტორისთვის დასაბრუნებელი თანხით დებიტორი ქვეყანა გარკვეულ პროდუქციას კრედიტორ ქვეყანაში ყიდულობს) კრედიტორებს საკუთარი თანხების ნაწილობრივ დაბრუნების

საშუალება ეძლევათ. უფრო მეტიც ,,ვალების გაცვლა განვითარებისთვის“ კრედიტორს აძლევს დებიტორი ქვეყანისთვის ვალის ჩამოწერის საშუალებას რაიმე დამატებითი საფინანსო რესურსების გადარიცხვის გარეშე. თუმცა საქართველოსთვის ასეთი ტიპის ვალების გაცვლა არ უნდა იყოს დიდად მიმზიდველი. მან შეიძლება ჩაანაცვლოს ის დახმარებები, რომლებიც საქართველოს უსასყიდლოდ გადაეცემოდა. განვითარებისთვის გამოყოფილი სახსრების გასაზრდელად, კი საქართველოს აწყობს, რომ ვალების გაცვლა დაფინანსების ახალ წყაროდ მიიჩნიოს, ისე რომ მან ხელი არ შეუშალოს სხვა დახმარებებს. თუ იქნება მყარი გარანტია, რომ ამგვარი ვალების გაცვლა არ შეუშლის ხელს მომავალში სხვადასხვა უსასყიდლო დახმარებებს, მაშინ იარსებებს შესაძლებლობა, რომ ვალების გაცვლა განვითარებისთვის აქტუალური გახდეს საქართველოს მთავრობისათვის.

კრედიტორებისთვის ყველაზე სასურველია გაცვლები ,,ვალები აქტივებზე“. განსხვავება გაცვლებისა ვალები აქტივებზე(ვალის სხვა გაცვლებთან შედარებით) დებიტორი ქვეყნისთვის არის ის, რომ პირველ შემთხვევაში, სხვა შემთხვევებთან შედარებით, კრედიტორი ქვეყანა საკუთარი აქტივების ყველაზე დიდ რაოდენობას იბრუნებს(სწორედ ეს ვარიანტი უნდა გამოეყენებინა საქართველოს ხელისუფლებას ,,ნულოვან ვარიანტზე“ დათანხმების სანახვლოდ). ეს პროგრამა საკმაოდ წარმატებული აღმოჩნდა, ლათინური ამერიკის ქვეყნებში. კრედიტორ ქვეყნებში ვალების რესტრუქტურიზაციის გავლენით გამოწვეული ნეგატიური ეფექტებითა და საკუთარი საფინანსო ინსტიტუტების გაუარესებული მდგომარეობის საკომპენსაციოდ, გაცვლები ,,ვალი აქტივებზე“ განსაკუთრებით მიმზიდველი აღმოჩნდა. ზოგიერთი კრედიტორი ამ ინსტრუმენტს დებიტორ ქვეყანაში სტრატეგიული აქტივების(მაგალითად, ელექტროენერგეტიკის, ინფრასტუქტურის, ან სხვა დარგში არაკონკურენციული სეგმენტის) შესაძენად იყენებს. ამ ტიპის ტრანსაქციებს აქტიურად მიმართავს რუსეთი ყოფილი საბჭოთა კავშირის წევრ ქვეყნებში, რომლებსაც რუსეთის მთავრობასთან ან მთავრობის კონტროლის ქვეშ მყოფ ენერგოკომპანიებთან დაგროვილი ვალი გააჩნიათ. რაც საქართველოს ხელისუფლებამ ვერცერთხელ ვერ გამოიყენა. აღნიშნული ტრანსაქციები მიმზიდველია კრედიტორებისთვის წმინდა ეკონომიკური მოსაზრებების გამო,

როდესაც გაცვლილი ვალის რაოდენობა ნაკლებია ნაყიდი აქტივების ფასზე (ან მისი ტოლია). ჩვენ ვერ მოვიყვანთ და არც გვაქვს სარწმუნო და ოფიციალური ინფორმაცია იმის შესახებ შესთავაზეს თუ არა რუსეთს(ქვეყანა, რომელმაც საქართველოს ტერიტორიის 1/3-ის ოკუპაცია განახორციელა) ვალის სანაცვლოდ საქართველოს მნიშვნელოვანი სტრატეგიული აქტივები. ასეთი ეჭვი ნამდვილად არსებობს, მაგრამ თუ ეს მოხდა, შეთავაზება განხორციელდა არა ვალის არამედ საკუთარი გამდიდრების სანაცვლოდ.

მცირეა იმის შესაძლებლობა, რომ საქართველოსთვის მომგებიანი ეკონომიკური ტრანსაქციები, ასევე მიმზიდველი იქნება კრედიტორი ქვეყნებისთვის, თუ აქტივების ფასები არ იქნება იმაზე დაბალი, ვიდრე ეს თავისუფალ ბაზარზეა. რა თქმა უნდა კრედიტორები ამ გარემოებასა და აქტივობას არ მიიჩნევენ ქველმოქმედებად. საქართველოსთვის ამ ტიპის გაცვლაზე უფრო უკეთესი იქნებოდა, მოთხოვნადი აქტივები ბაზარზე გაეყიდა და შემოსული თანხით ვალების ეფექტიანი მართვის მექანიზმები შეექმნა.

საქართველოს საგარეო დავალიანების რესტრუქტურიზაციის პოლიტიკა უნდა ეფუძნებოდეს საერთაშორისო გამოცდილების გამოყენებას. ამ თვალსაზრისით უპირველეს ყოვლისა გასათვალისწინებელია, რომ კრედიტორ ქვეყნებს განსაკუთრებით იზიდავთ კონკრეტულ პროექტებზე მიბმული ვალების პატიება. მიზეზად კი შეიძლება ჩაითვალოს შემდეგი გარემოებანი:

• ასეთი მოდელი იძლევა გარანტიას, რომ ნაპატიები თანხები ზუსტად დაიხარჯება კრედიტორისთვის სასურველ და შეთანხმებულ პროექტის განხორციელებაზე;

• პროექტის განხორციელებისას კრედიტორს საშუალება აქვს დებიტორ ქვეყანას გაუწიოს რჩევები და რეკომენდაციები.

პროექტის შესრულება გამოირჩევა შედარებით დაბალი ადმინისტრაციული და სხვა დანახარჯებით, რადგან ცალკე სტრუქტურის შექმნისა და მართვის საჭიროება არ დგება. არსებობს ალტერნატივა ამ პროექტების და ვალის ჩამოწერის განხორციელება სპეციალურად შექმნილი საფინანსო სტრუქტურის მეშვეობით. მთლიან პროცესს ამ შემთხვევაში ეს ინსტიტუტი ანხორციელებს. მას გააჩნია

პროცედურები და წესები. განკარგვის წესები და ტრანსაქციები წინასწარ შეთანხმებულია კრედიტორ ქვეყანასთან. პროექტების განხორციელება და მის ფარგლებში გაკეთებული შესყიდვები გაცილებით ეფექტურია, რადგან იქმნება კონკურენტული გარემო. მსგავსი ინსტიტუტების შექმნა და პროექტების შერჩევა განსაკუთრებით მნიშვნელოვანია საქართველოსთვის. პროექტების შერჩევა კონკურენციის პირობების გათვალისწინებით ხელს უწყობს რესურსების ეფექტიან გამოყენებას და ეკოლოგიური შედეგების გაუმჯობესებას. კონკურენციის გარეშე, კი რასაც რესტრუქტურიზაციის მოყვანილი პრაქტიკის შემთხვევაში აქვს ადგილი, მთლიანი შესყიდვები ხორციელდება კრედიტორი ქვეყნის მითითებით და ძირითადად უცხოური პარტნიორებისგან. ისინი ცდილობენ საკმაოდ დიდი ფასების დადებას მომსახურებასა და პროდუქციაზე, შესაბამისად, დებიტორი ქვეყნისთვის პროექტების კოლოსალური თანხების პირობებშიც ვერ მიიღწევა მაქსიმალური ეფექტი.

საქართველოში საგარეო ვალის(მათ შორის რუსეთის ვალის) მართვის პოლიტიკის ეფექტიანობის ასამაღლებლად სასურველია ჩამოყალიბდეს გამჭვირვალე მართვის მქონე ფინანსური ინსტიტუტი, რომელიც ძირითადად ეკონომიკური განვითარების, გარემოსდაცვით და სოციალურ პროგრამებს განახორციელებს და არა ბიუჯეტის პერმანენტური დეფიციტების დაფინანსებას. ამ ინსტიტუტმა ხელი უნდა შეუწყოს გრანტების მოზიდვას დაინტერესებული ქვეყნებიდან და საერთაშორისო არასამთავრობო ორგანიზაციებიდან. მსგავსი საფინანსო ინსტიტუტის შექმნა მომგებიანი იქნება საქართველოსთვის. იგი განახორციელებს და ზედამხედველობას გაუწევს ისეთი პროგრამების ხორცშესხმას, რომლებიც ძირითადად სოციოეკონომიკური პრობლემების მოგვარებაზე იქნება ორიენტირებული. რა თქმა უნდა, აუცილებელია და მუდმივად უნდა ხდებოდეს საფინანსო ორგანიზაციით მიღებული დადებითი ეფექტის გამოთვლა, აგრეთვე მისი შედარება იმ ორგანიზაციულ და ადმინისტრაციულ ხარჯებთან, რომელსაც ორგანიზაციის შექმნა/ფუნქციონირება წარმოშობს.

რუსეთის მიმართ საგარეო ვალის მართვასთან დაკავშირებით მომავალში ძალზე მნიშვნელოვანი იქნება სავალუტო პოლიტიკის საკითხის განხილვაც, რადგან

ამ სფეროში ჩვენ სწორედ რუსეთში წარსულში(იგულისხმება 1997-1998წწ. განხორციელებული სავალუტო კრიზისები) მიმდინარე პროცესების მძევლები გავხდით და მნიშვნელოვნად დავზარალდით.

დასკვნები

რუსული ისევე როგორც ევროკავშირის ბაზარი მიმზიდველია, უპირველეს ყოვლისა, მხოლოდ მაღალ ხარისხიანი პროდუქციისა და მომსახურების მწარმოებელი მეწარმეებისთვის. მხოლოდ მაშიმ მივაღწევთ რისკის მინიმიზაციას. სხვა შემთხვევაში კი ისევ ,,ონიშჩენკოების“ სურვილებზე ვიქნებით დამოკიდებულები;

ქართველმა ბიზნესმენებმა კარგად უნდა გაიაზრონ ის ფაქტი, რომ მხოლოდ რუსული ბაზარი კი არ არის არამდგრადი არამედ მათი პროდუქციის ხარისხია საეჭვო და სწორედ ამიტომაა მათი ბიზნესის პოზიციები არამდგრადი;

არა მარტო ბიზნესმა არამედ მთელმა ქართულმა საზოგადოებამ უნდა გაითავისოს, რომ ვერავითარი პოლიტიკური ნება და ცალკეულ(თუნდაც უაღრესად ავტორიტეტულ) პიროვნებათა მცდელობა ამ მდგომარეობას ვერ გამოასწორებს ხანგრძლივი პერიოდით. ერთადერთი გზა ამ მხრივ პროდუქციისა და მომსახურების სტანდარტების ამაღლება და საექსპორტო პოტენციალის დიფერენცირებაა;

პროდუქციისა და მომსახურების დიფერენცირება(ინტელექტევადი პროდუქტებისა და მომსახურების წარმოების მიმართულებით) ხელს შეუწყობს ქართველი ექსპორტიორებისათვის ბაზრების დივერსიფიკაციას. მით უფრო, რომ ეს ერთადერთი გზაა ჩვენი მცირე ღია ეკონომიკის განვითარებისთვის(ევროკავშირთან ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი ვაჭრობის შესახებ შეთანხმების, ჩინეთთან და ევროპის თავისუფალი ვაჭრობის ასოციაციასთან უკვე არსებული და აშშ-სთან მომავალი თავისუფალი ვაჭრობის შესახებ შეთანხმებების გათვალისწინებით);

საქართველოს ეკონომიკის დარგობრივ სტრუქტურის ცვლილებები ინტელექტტევადი საქონლისა და მომსახურების წარმოების განვითარების მიმართულებით ჩვენს ქვეყანას დაუმკვიდრებს ღირსეულ და დამსახურებულ ადგილს შრომის საერთაშორისო დანაწილების სისტემაში;

საქართველოს ენერგეტიკა, სასმელი წყალი, მინერალური წყლები, წიაღისეული სიმდიდრე(ოქრო, მარგანეცი, და სხვ.), მსხვილი მობილური ოპერატორი ,,ბილაინი" და სხვა მრავალი აქტივი რუსეთის ფედერაციის სახელმწიფო და კერძო კომპანიებისა და მოქალაქეების საკუთრებაში აღმოჩნდა. ამავე დროს არავინ იცის რამდენად ეფექტიანად გამოიყენება ეს აქტივები. საქართველოს მოქალაქეებმა ისევე როგორც ხელისუფლებამ უნდა იცოდნენ რამდენად ეფექტიანად უძღვება და მართავს მესაკუთრე საქართველოს ბუნებრივ სიმდიდრეს;

მნიშვნელოვანია ენერგეტიკის სექტორში ენერგიის ალტერნატიულ წყაროთა(განსაკუთრებით მზისა და ქარის) განვითარების საფუძველზე შევამციროთ უცხოელთა მფლობელობაში მყოფი აქტივების დაკნინების შედეგთა მიღების რისკი;

რუსეთის ფედერაცია ოკუპანტი ქვეყანაა და სანამ არ აღდგება საქართველოს ტერიტორიული მთლიანობა ჩვენმა ხელისუფლებამ და კერძო ეკონომიკურმა აგენტებმა მაქსიმალურად უნდა შეიკავონ თავი ამ ქვეყანის წინაშე ვალდებულებათა აღებისაგან.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. არჩვაძე ი. რას მიიღებს საქართველოს ეკონომიკა რუსეთის WTO–ში შესვლით 2011წ. ნეტგაზეთი, 11.11.2011. [27]; http://netgazeti.ge/business/11467/.
2. ბერუკაშვილი ა. დაბა ყაზბეგში "ლარსი ჰესი" გაიხსნა. ნეტგაზეთი, 24.01.2014. [53]; http://www.netgazeti.ge/GE/105/News/27337/.
3. გვასალია ც. მადნეული-იაფი საგანძური. ლიბერალი, 22.11.2012. [46]; http://www.liberali.ge/ge/liberali/articles/113284.
4. დავითაშვილი ზ. ჩემი სამყარო. ჟურნალი ახალგაზრდობისთვის. №8 2015 . თბილისი, გვ. 39. [2];
5. დვალი ა. ანალიზი: საქართველო-რუსეთის სავაჭრო ეკონომიკური ურთიერთობები საქართველოსა და ევროკავშირს შორის ასოცირების შესახებ შეთანხმების ხელმოწერის შემდეგ. [9]; http://regional-dialogue.com/georgia-russia-trade/.
6. დუშუაშვილი თ. ქართული თხილის ბაზრის ანალიზი. ჟურნალი: Forbes Georgia, 31.08.2015. [11]; http://forbes.ge/blog/127/qarTuli-Txilis-bazris-analizi4.
7. ევგენიძე ნ. რუსეთის წილი საქართველოს სავაჭრო ურთიერთობებში. რადიო თავისუფლება 26.05.2014. [7]; https://www.radiotavisupleba.ge/a/25399807.html.
8. ვალტერი ვ. რუსეთის სავაჭრო რეჟიმის ზეგავლენა საქართველოზე. გერმანიის ეკონომიკური გუნდი, საქართველო 2014 წლის მარტი. GET Georgia, პოლიტიკის მიმოხილვა. [40]; https://www.get-georgia.de/wp-content/uploads/2014/10/PB_03_2014_geo.pdf.
9. თუშურაშვილი გ. ახალი პარლამენტის მშენებლობის ხარჯები და დაფინანსების სქემა. საჯარო ინფორმაციის ანალიტიკური ბლოგი, 10.12.2012. [44]; https://opendatablog.wordpress.com/2012/12/10/axali-parlamentis-mseneblobis-xarjebi-da-dafinansebis-sqema/.
10. ლემონჯავა სალომე. აგვისტოს ომიდან 10 წლის შემდეგ რუსეთი საქართველოს ეკონომიკაზე გავლენას ზრდის. რადიო კომერსანტი 23.03.2018.

[12]; [14]; https://commersant.ge/ge/post/agvistos-omidan-10-wlis-shemdeg-ruseti-kvlav-saqartvelos-mtavari-savachro-partnioria.

11. ლემონჯავა სალომე. ეკონომისტები-უკრაინის მსგავსად რუსეთთან ეკონომიკური უთიერთობების მინიმალიზება საქართველოს უფრო დააზარალებს. რადიო კომერსანტი 23.03.2018. [13]; https://commersant.ge/ge/post/ekonomistebi-ukrainis-msgavsad-rusettan-ekonomikuri-urtiertobebis-minimalizeba-mxolod-saqartvelos-daazaralebs.
12. ლამი პასკალ. რას მიიღებს საქართველოს ეკონომიკა რუსეთის WTO–ში შესვლით 2011წ. სტატიის ავტორი: ნინო ნატროშვილი. ნეტგაზეთი, 11.11.2011. [24]; http://netgazeti.ge/business/11467/.
13. მაკალათია ი. ეკონომისტები - უკრაინის მსგავსად რუსეთთან ეკონომიკური ურთიერთობების მინიმალიზება მხოლოდ საქართველოს დააზარალებს. რადიო კომერსანტი, 23.03.2018. [19]; https://commersant.ge/ge/post/ekonomistebi-ukrainis-msgavsad-rusettan-ekonomikuri-urtiertobebis-minimalizeba-mxolod-saqartvelos-daazaralebs.
14. მარშავა ქ., ძებისაური ლ. საქართველოსთვის რუსეთის ბაზრის პერსპექტივა და ტენდენციები ემბარგოს შემდეგ. [10]; http://eprints.tsu.ge/1487/1/Perspective%20and%20tendencies%20of%20Russian%20market%20for%20Georgia%20after%20embargo.pdf
15. მჭედლიძე კ. რუსეთმა საქართველოს 94,43 მლნ დოლარის ოდენობის ვალი გადაუვადა. რადიო თავისუფლება, 26.01.2005. [64], [66]; https://www.radiotavisupleba.ge/a/1539445.html.
16. ნატროშვილი ნ. რას მიიღებს საქართველოს ეკონომიკა რუსეთის WTO–ში შესვლით 2011წ. ნეტგაზეთი, 11.11.2011. [26]; http://netgazeti.ge/business/11467/.
17. ნატროშვილი ნ. „ჯორჯიან უოთერ ენდ ფაუერს“ ლონდონის ბირჟაზე გავიტანთ. ნეტგაზეთი, 10.12.2014. [57]; http://www.netgazeti.ge/GE/105/business/39292/.
18. პაპავა გ. ეკონომისტები - უკრაინის მსგავსად რუსეთთან ეკონომიკური ურთიერთობების მინიმალიზება მხოლოდ საქართველოს დააზარალებს. რადიო კომერსანტი, 23.03.2018. [18], [22];

https://commersant.ge/ge/post/ekonomistebi-ukrainis-msgavsad-rusettan-ekonomikuri-urtiertobebis-minimalizeba-mxolod-saqartvelos-daazaralebs.

19. პაპავა ვ. საქართველო-რუსეთის ეკონომიკურ ურთიერთობათა ევოლუცია პოსტსაბჭოთა პერიოდში: განვლილი გზა და პერსპექტივები. რუსეთი და საქართველო: გამოსავლის ძიებაში. ქართველი და რუსი ექსპერტების მიერ შემუშავებული საზოგადოებრივი პოლიტიკის სარეკომენდაციო დოკუმენტები. 2011, გვ.78. [16]; http://www.papava.info/publications/Papava_RUSSIA_AND_GEORGIA_SEARCHING_THE_WAY_OUT_Ge.pdf.
20. პაპავა ვ. საქართველო-რუსეთის ეკონომიკურ ურთიერთობათა ევოლუცია პოსტსაბჭოთა პერიოდში: განვლილი გზა და პერსპექტივები. რუსეთი და საქართველო: გამოსავლის ძიებაში. ქართველი და რუსი ექსპერტების მიერ შემუშავებული საზოგადოებრივი პოლიტიკის სარეკომენდაციო დოკუმენტები. GFSIS საქართველოს სტრატეგიისა და საერთაშორისო ურთიერთობის კვლევის ფონდი. 2011, გვ. 68. [65], გვ. 70. [63]; http://www.papava.info/publications/Papava_RUSSIA_AND_GEORGIA_SEARCHING_THE_WAY_OUT_Ge.pdf.
21. სულხან-საბა ორბელიანი - სიბრძნე სიცრუისა(იგავ-არაკები). [1]; https://www.aura.ge/103-sabavshvo/4883-sulxansaba-orbeliani--sibrdzne-sicruisa-igavarakebi.html
22. ღაღანიძე გ. ეკონომისტები - უკრაინის მსგავსად რუსეთთან ეკონომიკური ურთიერთობების მინიმალიზება მხოლოდ საქართველოს დააზარალებს. რადიო კომერსანტი, 23.03.2018. [20]; https://commersant.ge/ge/post/ekonomistebi-ukrainis-msgavsad-rusettan-ekonomikuri-urtiertobebis-minimalizeba-mxolod-saqartvelos-daazaralebs.
23. ჩეჩელაშვილი ვ. ევრაზიის ეკონომიკური და რუსეთ-საქართველოს თავისუფალი ვაჭრობის შეთანხმების პრობლემები. რონდელის ფონდი, 28.12.2017. [28]; https://ria.ru/world/20140910/1023547655.htm.
24. ჩიხლაძე ს. ენერგეტიკის სამინისტრო ენგურჰესის მემორანდუმს ისევ ასაიდუმლოებს. გურია news, 07.11.2012. [51];

http://www.gurianews.com/ /left wide/6443 66 ka/energetikis saministro engurhe sis memorandums isev as aidumloebs.html.

25. ძველიშვილი ნ., კუპრეიშვილი თ. რუსული კაპიტალი ქართულ ბიზნესში. 2015. [**41**], [**48**]; https://idfi.ge/public/upload/IDFI/russian-capital.pdf.
26. წულაძე ზ. რატომ სურს რუსეთს ქართული ღვინის და „ბორჯომის“ დაბრუნება. ამერიკის ხმა, 29.08.2011. [**15**]; https://www.amerikiskhma.com/a/wto-russia-128600973/536320.html.
27. წულაძე ზ. რუსულ-სომხური ტრანზიტი და საქართველოს ინტერესები. ამერიკის ხმა, 27.02.2017. [**37**]; https://www.amerikiskhma.com/a/armenian-pm-meets-georgian-leaders-in- tbilisi/3741459.html.
28. წულაძე ზ. რუსეთი საქართველოსთან საბაჟო მონიტორინგის შეთანხმებას თავდაყირა აყენებს. ამერიკის ხმა 22.05.2018. [**39**]; https://www.amerikiskhma.com/a/moscow-signs-contract-with-swiss-company-sgs-over-georgia-russia-cargo-monitoring-deal/4405053.html.
29. ჯანდიერი გ. რას მიიღებს საქართველოს ეკონომიკა რუსეთის WTO–ში შესვლით 2011 წ. ნეტგაზეთი 11.11.2011. [**23**], [**25**]; http://netgazeti.ge/business/11467/.

ინტერნეტ - რესურსები:

30. ანალიზი: საქართველო-რუსეთის სავაჭრო ეკონომიკური ურთიერთობები საქართველოსა და ევროკავშირს შორის ასოცირების ხელმოწერის შემდეგ. [**9**]; http://regional-dialogue.com/georgia-russia-trade/
31. ენგურჰესი რუსულ-ქართულ ერთობლივ მმართველობაში გადავა. სივილ ჯორჯია, 12.01.2009. [**50**]; http://www.civil.ge/geo/article.php?id=20347.
32. ვის ეკუთვნის საქართველო: დავით იაკობაშვილი – კეზერაშვილის კომპანიების ახალი მესაკუთრე. საერთაშორისო გამჭირვალობა საქართველო, 10.09.2013. [**45**], [**60**]; http://www.transparency.ge/blog/visekutvnis-kartvelo-davit-iakobashvili- kezerashvilis-kompaniebis-akhali-mesakutre?page=3.
33. რას ნიშნავს რუსეთ-საქართველოს შეთანხმება ტვირთების მონიტორინგის შესახებ? მოკლედ სკანდალურ დოკუმენტზე; ახალი ამბები. JAM news,

6.02.2019. [36]; https://jam-news.net/%E1%83%A0%E1%83%90%E1%83%A2%E1%83%9D%E1%83%9B-%E1%83%98%E1%83%A5%E1%83%AA%E1%83%90-%E1%83%A1%E1%83%90%E1%83%93%E1%83%90%E1%83%9D%E1%83%93-2011-%E1%83%AC%E1%83%9A%E1%83%98%E1%83%A1-%E1%83%A0%E1%83%A3/?lang=ka.

34. რუსეთი საქართველოსთან თავისუფალი ვაჭრობის ხელშეკრულების შეჩერებას გეგმავს. Civil Georgia, Tbilisi / 31 ივლ. 2014 / 12:13. [8]; https://old.civil.ge/geo/article.php?id=28545.
35. საქართველოდან ღვინის ექსპორტი 59%-ით გაიზარდა, ჭაჭის 198-ით. ახალი ამბების სააგენტო „რეგ ინფო“ 07.11.2017. [17]; https//reginfo.ge/economic/item/3540-saqartvelodan-gvinis-eqsporti-59-%E2%80%93it-gaizarda,-chachis-198-%E2%80%93it.
36. საქართველო-რუსეთის ეკონომიკური ურთიერთობები 2008-2016 - ინფოგრაფიკა; ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტი. [6]; https://www.bm.ge/ka/article/-saqartvelo-rusetis-ekonomikuri-urtiertobebi-2008-2016---infografika/8001.
37. საქართველოს სახელმწიფო ენერგოსისტემა GSE. შილდა ჰესის მშენებლობა დასრულდა. 2013წ. [54]; http://www.gse.com.ge/new/?p=797.
38. საქართველოს მოქალაქეები პეტიციით ROSNEFT-ის სანქცირებას მოითხოვენ. ტაბულა 08.01.2015. [61]; http://www.tabula.ge/ge/story/91457-saqartvelos-moqalaqeebi-peticiit-rosneft-is-sanqcirebas-moitxoven.
39. შეთანხმება თავისუფალი ვაჭრობის შესახებ რუსეთის ფედერაციისა და საქართველოს რესპუბლიკის მთავრობებს შორის, თარიღით 3 თებერვლის 1994 წლიდან; დსთ-ის ქვეყნების კანონმდებლობა. [34]; http://base.spinform.ru/show_doc.fwx?rgn=23995.
40. ცნობილმა ბიზნესმენმა დავით იაკობაშვილმა კომპანია გალფში თავისი არსებული წილი გაზარდა. ამბები.GE, 27.11.2012. [62]; http://gulf.ge/index.php?lang_id=GEO&sec_id=33&info_id=159.

41. წყალი პრეზიდენტის სასახლიდან ჩვენს ონკანამდე ანუ პრივატიზაცია ქართულად. მწვანე ალტერნატივა, 25.11.2015. **[58];** http://www.greenalt.org/webmill/data/file/publications/privatizeba_qartulad_3.pdf
42. 2005 წლის 28 დეკემბრის N *2616*–რს დადგენილებით შეთანხმება საქართველოს მთავრობასა და რუსეთის ფედერაციის მთავრობას შორის. **[67];** www.parliament.ge/files/international-acts/agreements/2005/2616-rs-28-12-2005.doc.
43. 416 მომხრე, არც ერთი წინააღმდეგი - რუსეთის სათათბირომ საქართველოსთვის ახალი ეკონომიკური სანქციების დაწესებას მხარი დაუჭირა.**[21]**; https://commersant.ge/ge/post/agvistos-omidan-10-wlis-shemdeg-ruseti-kvlav-saqartvelos-mtavari-savachro-partnioria.
44. Interrao.ru, Company Capital, ჰოლდინგის ,,ინტერ რაო" აქციონერული კაპიტალის სტრუქტურა. **[43];** http://www.interrao.ru/en/company/capital/.
45. VTB-ფინანსური ჯგუფი. [49]; http://www.vtb.com/group/.
46. ,,Роснефть" и Petrocas создают совместное предприятие в области логистики и розничных продаж. Роснефть, 29.12.2014. **[59];** http://www.rosneft.ru/news/pressrelease/29122014.html.
47. Объявление о продаже активов Группы ГеоПроМайнинг в Грузии. **[47];** http://bit.ly/1zmjDqI.

ოფიციალური დოკუმენტები:

48. ევრაზიის ეკონომიკური გაერთიანების შეთანხმება საბაჟო კოდექსის შესახებ 29 მაისი 2014 წლიდან. **[30]**; https://docs.eaeunion.org/docs/ru-ru/01413569/itia_12042017.
49. ევრაზიის ეკონომიკის საბჭო, 14.11.2017. ევრაზიის ეკონომიკური გაერთიანების ახალი საბაჟო კოდექსი ძალაში შევა 2018 წლის პირველი იანვრიდან. **[31];** http://www.eurasiancommission.org/ru/nae/news/Pages/14_11_17.aspx.
50. ევრაზიის ეკონომიკის კომისია, 2019. ევრაზიის ეკონომიკის კომისიის შესახებ. **[32];** http://www.eurasiancommission.org/ru/Pages/about.aspx.

51. ევრაზიის ეკონომიკის კომისია, 2019. ევრაზიის ეკონომიკის კომისიის თავჯდომარე-სიახლეები. **[33];** http://www.eurasiancommission.org/ru/act/chairman/Pages/default.aspxშეთანხმება
52. ენერგეტიკის სამინისტრო, მემორანდუმი 19.05.2011. **[52];** http://www.energy.gov.ge/projects/pdf/pages/Darilis%20Hidroelektrosadguri%2069%20geo.pdf.
53. ენერგეტიკის სამინისტრო, 19.02.2014. ჰიდროელექტროსადგურების მშენებლობის მიზნით გამოცხადებული ინტერესთა გამოხატვა დასრულდა. **[55];** http://www.energy.gov.ge/show%20news%20mediacenter.php?id=215&lang=geo
54. ენერგეტიკის სამინისტრო. მიმდინარე საინვესტიციო პროექტები. **[56];** http://www.energy.gov.ge/projects/pdf/pages/Mimdinare%20Sainvestitsio%20Proektebi%20945%20geo.pd.
55. საგარეო საქმეთა სამინისტრო, 13.05.2017. საქართველოსა და ჩინეთს შორის თავისუფალი ვაჭრობის შესახებ შეთანხმება გაფორმდა. **[29];** http://mfa.gov.ge/News/saqartvelosa-da-chinets-shoris-tavisufali-vachrobi.aspx?CatID=5.
56. საქართველოს საკანონმდებლო მაცნე. შეთანხმება რუსეთის ფედერაციისა და საქართველოს მთავრობას შორის საბაჟო ადმინისტრირებისა და სასაქონლო ვაჭრობის მონიტორინგის მექანიზმთან დაკავშირებული ძირითადი პრინციპების შესახებ. **[35];** https://www.matsne.gov.ge/ka/document/view/1512898?publication=0.
57. საქართველოს საკანონმდებლო მაცნე. საქართველოს კანონით „ოკუპირებული ტერიტორიების შესახებ“. **[38];** https://matsne.gov.ge/ka/document/view/19132?publication=7.
58. საქართველოს საგარეო ვაჭრობა 2005. **[3];**
59. საქართველოს საგარეო ვაჭრობა 2005-2011. **[4];** http://www.economy.ge/uploads/files/2017/foreign_trade/2018_6_month.pdf
60. საქართველოს საგარეო ვაჭრობა 2018. **[5]**

61. სტატისტიკის ეროვნული სამსახური. პირდაპირი უცხოური ინვესტიციები საქართველოში. 2018, გვ. 4. [**42**]